


ესტონია დ ბაქი

600
1954 / 2



11

19·სექტემბერის სას ესტონების კულტურა·54

ს ა ქ ა რ ი ვ ა დ ი ს ს ს ხ მ ა ც ნ ი ე რ ე ბ ა თ ს ა კ ა რ ე მ ი ს რ ჩ ა ნ მ

ღიღი ოქტომბრის ძრევამოსილი წერილი

ღოცენტი ღევან ეგანობე

ღიღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში, ერა ადამიანის განთავისუფლებისა კლასობრივი და ეროვნული ჩაგვრისაგან, დაიწყო კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ღიაღი ეპოქა.

ოქტომბრის რევოლუციამ გაარღვია მსოფლიო იმპერიალიზმის ფრონტი მის სუსტ რგოლში, დამხომ კაპიტალიზმის ბატონობა მსოფლიოში უდიდეს ქვეყანაში — რუსეთში, ძალაუფლების სათავეში ჩააყენა ყველაზე მოწინავე კლასი — პროლეტარიატი, რომელმაც კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმოკლეს დროში ქვეყანაში განახორციელა ისტორიული მნიშვნელობის გარდაქმნანი — სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია, კულტურული რევოლუცია.

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე 1917 წლის 25 ოქტომბერს (7 ნოემბერს) ვ. ი. ლენინმა განაცხადა:

„...მუშათა და გლეხთა რევოლუცია, რომლის აუცილებლობის შესახებ მუდამ ლაპარაკობდნენ ბოლშევიკები, მოხდა...

ამიერიდან იწყება ახალი ხანა რუსეთის ისტორიაში, და რუსეთის ამ მესამე რევოლუციის საბოლოო შედეგად უნდა მოჰყვეს სოციალიზმის გამარჯვება”*.

ღიღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია ნიშნავდა ძირეულ მობრუნებას არა მარტო ჩვენი სამშობლოს, არამედ მსოფლიო ისტორიაში. მან გადაარჩინა რუსეთი იმპერიალისტების კოლონიური დამონების საფრთხისაგან, რაც მას გარდუვალად ემუქრებოდა, და დააყენა იგი კომუნიზმის ძლევამოსილი მშენებლობის ავანგარდში. ოქტომბრის რევოლუციის კოლონიალური ნაყოფი ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა — სსრ კავშირი პირველი კაფავს კომუნიზმისაკენ მიმავალ უვალ გზას და ამით ფასდაუდებელ ამაგს დებს კაცობრიობას. მსოფლიოს ყველა ქვეყნის განვითარებაზე ჩვენს ეპოქაში უდიდეს ზეგავლენას ახდენს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანა — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის პირმშოა.

„ოქტომბრის რევოლუცია არის მსოფლიოში პირველი რევოლუცია, — ალნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — რომელიც დასავლეთის მუშებისა და ჯარისკაცე-

ბისათვის ცოცხალი მხსნელი მაგალითი გახდა და ომისა და იმპერიალიზმის უღლისაგან ნამდვილი განთავისუფლების გზაზე დააყენა ისინი”*.

სახალხო-დემოკრატიული წყობილების გამარჯვება ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, პროლეტარული განმათავისუფლებელი მოძრაობის გიგანტური ზრდა მთელ მსოფლიოში — ასეთია ის უმნიშვნელოვანესი ისტორიული შედეგები, რაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიად მაგალითს მოჰყვა.

მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს ხუთი წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც ევროპის ცენტრში შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — ნამდვილად დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე სახელმწიფო. ამასთან დაკავშირებით ბერლინში გამართულ საზეიმო სხდომაზე ა/წ. 6 ოქტომბერს ვ. მ. მოლოტოვმა თქვა: „...გამოხატავდა რა საბჭოთა ხალხის ფიქრსა და გრძნობებს, იოსებ ბესარიონიძე სტალინმა ამ ღირსშესანიშნავ ისტორიულ თარიღს უწოდა „შემობრუნების პუნქტი ევროპის ისტორიაში“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა სსრ კავშირის დახმარებით სწრაფად მიღის წინ ახალი ცხოვრების გზით და მშვიდობის, დემოკრატიისა და თავისუფლების ბურჯს წარმოადგენს ევროპაში.

ღიღი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მსოფლიოში პირველი რევოლუციაა, — ალნიშნავდა ი. ბ. სტალინი, — რომელმაც საუკუნეობრივი ძილისაგან გამოაღვიძა აღმოსავლეთის ჩაგრულ ხალხთა მშრომელი მასები და ჩააბა ისინი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ძლევამოსილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კოლონიურ სამყაროში, რაც ღიღი ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვებით დაგვირგვინდა, კორეის ხალხის გმირული ბრძოლა ამერიკელ იმპერიალისტ აგრესორთა წინააღმდეგ, რამაც სამ წელზე მეტხანს გასტანა და მშვიდობის ძალების გამარჯვებით დამთავრდა, ვიეტნამის, მალაის, ფილიპინების ხალხების თავდადებული ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის იმპერიალისტთა წინააღმდეგ, რაც აგრეთვე წარმატებით მიმდიმარეობს, — აი არასრული სურათი ოქტომბრის რევოლუციით გამოვიძებული კოლონიური ხალხების გრანდიოზული მოძრაობისა იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის შედეგად კოლონიური სისტემის კრიზისის გამწვავება გამოიხატა კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძღვრი აღმავლობით. ამით საფრთხეში ჩავარდა კაპიტალისტური სისტემის ზურგი. კოლონიების ხალხებს აღარ სურთ ძველებურად იცხოვრონ. მეტროპოლიის გაბატონებულ კლასებს აღარ შეუძლიათ ძველებურად მართონ კოლონიები. ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამხედრო ძალით დათრგუნვის ცდები ახლა კოლონიების ხალხთა უფრო და უფრო მზარდ შეიარაღებულ წინააღმდეგობას აწყდება.

კოლონიებსა და დამოკიდებულ ქვეყნებში ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ახალ ფაზაში შევიდა. ამ მოძრაობის გაძლიერება ხელს უწყობს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებას, რაც ერთიანი მსოფლიო ბაზრის დაშლასთან არის დაკავშირებული.

დიდი ჩინელი ხალხის ისტორიული გამარჯვება იმპერიალიზმზე, შექმნა ჩინეთის დემოკრატიული რესპუბლიკისა, რომელიც კომუნიზმის ბურჯთან — სსრ კავშირთან მშენდრო თანამეგობრობით გრანდიოზულ წარმატებებს აღწევს ქვეყნის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ყველა სფეროში, ახალ უდიდეს მაგალითს წარმოადგენს მთელი კოლონიური სამყაროსათვის, რომელიც ძლევამოსილად მიისწრაფვის იმ მიმართულებით, რომ თავი დააღწიოს იმპერიალისტურ ჩაგვრას, დაადგეს ახალი, დამოუკიდებელი ცხოვრების, თავისუფალი განვითარების გზას.

ომისშემდგომ წლებში აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში მოხდა უდიდესი ცვლილებანი, წარმოიშვნენ და გიგანტურ ძალად განვითარდნენ მშვიდობისა და დემოკრატიის მძღვრი ბასტიონები. ამ ობიექტურად შექმნილი მდგომარეობისათვის ანგარიშის გაუწევლობა ნიშნავს პოლიტიკურ სიბეჭეს, ავანტიურიზმს.

ამ ობიექტურ პირობებს შორის, — აღნიშნავდა ახ. გ. მალე ნკოვი 1953 წლის 19 სექტემბერს, — უმნიშვნელოვანებია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საერთაშორისო წონა და პოლიტიკა. მრავალი ათეული წლის მანძილზე იმპერიალისტური ჯგუფების ბრძოლა ჩინეთში ბატონობისათვის საერთაშორისო ურთიერთობის განსაკუთრებულ დაბაზულობას ქმნიდა აღმოსავლეთში. ამჟამად ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა აზიასა და წყნარი ოკეანის აუზში გამოდის როგორც სტაბილიზაციის მძღვრი ფაქტორი. სწორედ იმიტომ არიან გაბოროტებული აგრესიულ საქმეთა ოსტატები, რომ ჩინეთი აღარ არის და არასოდეს აღარ იქნება მათი ხრიკებისა და ექსპლოატაციის ობიექტი, რომ მან არა გარტო ფორმალურად, არამედ ფაქტიურადაც მოიპოვა სუვერენიტეტი, რომ იგი საერთაშორისო ასპარეზზე გამოდის არა როგორც სტატისტი, არამედ ახორციელებს თავის დამოუკიდებელ პოლიტიკას. მსოფლიოში გაჩნდა ახალი დიდი სახელმწიფო,

რომელიც მთელ მშვიდობისმოყვარე ძალებთან ერთად იცავს მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების ინტერესებს. ეს უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო ცხოვრების განვითარების ჭეშმარიტად უმნიშვნელოვანები ისტორიული შედეგია, რომელიც აშუქებს არა მარტო განვლილ გზას, არამედ პერსპექტივებსაც.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მსოფლიო ორ ბანაკად გაპყო: კაპიტალიზმის ბანაკად, სადაც დარჩა და გაძლიერდა მისთვის დამახასიათებელი კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრა, და სოციალიზმის ბანაკად — სსრ კავშირის სახით, სადაც კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრა მოსპობილია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმის ძალები საერთოდ დასუსტდა, სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები განმტკიცდა. თავისუფლებისმოყვარე ხალხები სულ უფრო და უფრო მტკიცედ ირაზმებიან მშვიდობის ურყევი ბურჯის — სსრ კავშირის გარშემო, ამაში ხედავენ ისინი თავიანთი ქვეყნების დამოუკიდებლობისა და თავისუფალი განვითარების საიმედო გარანტიას.

დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1920 წელს აღნიშნავდა, რომ „... მოვლენათა მსვლელობით ხალხები ეჩვევიან უყურონ რუსეთს, როგორც მიზიდულობის ცენტრს“. სოციალიზმის გამარჯვების შედეგად საბჭოთა კავშირი უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, გახდა მშრომელი კაცობრიობის მიზიდულობის გრანდიოზული ცენტრი. საბჭოთა კავშირი და მისი დედაქალაქი მოსკოვი მთელ მშრომელ კაცობრიობას წარმოდგენილი აქვს, როგორც „კაპიტალისტური მონბისაგან მშრომელი კაცობრიობის განმათავისუფლებელი მოძრაობის მქადაგებელი... პლუტოკრატიისა და იმპერიალიზმის ბატონობისაგან მსოფლიოში ყველა მშრომელი ადამიანის, ყველა დაჩაგრული რასისა და ერის განთავისუფლებისათვის ბრძოლის დროშა...“ (სტალინი).

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო მკვეთრად, ვიდრე ოდესმე, დაისახა ორი მიზიდულობის ცენტრი: ერთი მხრივ, სსრ კავშირი, რომელიც, დგას რა სოციალიზმისა და დემოკრატიის ბანაკის სათავეში, თავის გარშემო იკრებს მთელი კაცობრიობის პროგრესულ ძალებს, შეუპოვრად იბრძვის ომის იმპერიალისტ გამჩაღებელთა ასალაგმავად, მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის, ხალხებისა და ერების სუვერენულ უფლებათა დაცვისათვის; მეორე მხრივ, ამერიკის იმპერიალიზმი, რომელიც თავის გარშემო იკრებს მსოფლიოს მთელ რეაქციულ ძალებს იმისათვის, რომ მოაწყოს აგრესიული ომი ხალხებისა და ერების დასარბევად, გასაძარცვავად და დასამონებლად. „ამჟამად ამერიკის იმპერიალიზმი მოქმედებს უკვე არა მარტო როგორც აგრესორი, არამედ აგრეთვე როგორც მსოფლიო უანდარმი, რომელიც

ცდილობს ჩაახშოს თავისუფლება ყველგან, სადაც კი შესაძლებელია, და დანერგოს ფაშიზმი”*.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 37-ე წლისთავს სსრ კავშირის ხალხები მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით შეხვდნენ. საწარმოო ძალთა გიგანტური განვითარების საფუძველზე შექმნილია მძღავრი მძიმე ინდუსტრია. 1925 წლიდან 1952 წლამდე სამრეწველო პროდუქცია ჩვენს ქვეყანაში 29-ჯერ გაიზარდა. ინდუსტრიულ ბაზაზეა დაფუძნებული ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის მეურნეობა, რომელიც ყველაზე მსხვილი სოციალისტური მეურნეობაა მსოფლიოში.

სოციალისტური წარმოების გრანდიოზული ზრდის შესაბამისად გაიზარდა საბჭოთა ხალხის — მუშების, გლეხობის, ინტელიგენციის მატერიალური კეთილდღეობა. ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა კულტურული რევოლუცია.

სოციალიზმის გამარჯვებამ მოსპონ ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი კლასობრივი და ნაციონალური ჩაგვრის საფუძველი. წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრების მოსპონბასა და ექსპლოატატორული კლასების ლიკვიდაციასთან ერთად აღმოიფხვრა ჩვენში ხალხთა ურთიერთუნდობლობა, დამყარდა ხალხთა დიადი ლენინურ-სტალინური მეგობრობა.

სოციალიზმის საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება, როცა ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულება წარმოების პროცესში ხასიათდება, „როგორც ექსპლოატაციისა გან თავისუფალი მუშაკების ამხანაგური თანამშრომლობისა და სოციალისტური ურთიერთდახმარების ურთიერთობანი“. ასეთ საზოგადოებაში გამორიცხულია როგორც კლასობრივი, ისე ნაციონალური ჩაგვრის ყოველგვარი შესაძლებლობა და მიღწეულია უდიდესი ისტორიული მონაპოვარი — ხალხთა დიადი მეგობრობა, რომელიც ისტორიაში პირველად ჩვენს ქვეყანაში გახდა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების საფუძველი, საბჭოთა საზოგადოების მამოძრავებელი ძალა.

სოციალიზმის გამარჯვების საფუძველზე, — გვასწავლის ი. ბ. სტალინი, — გაიშალა ისეთი მამოძრავებელი ძალები, როგორიცაა საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

კაცობრიობის ისტორიაში პირველად სსრ კავშირში წარმოიშვნენ და განვითარდნენ საზოგადოების ეს მამოძრავებელი ძალები. ასეთი მამოძრავებელი ძალები დამახასიათებელი თავისებურებაა მხოლოდ იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც სოციალისტური ერებისაგან შედგება. ეს თავისებურებანი სოციალისტურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებას მტრებისათვის მიუვალ ციხესიმაგრედ ხდიან.

საბჭოთა ხალხი უდიდესი ალფროვანებით შეხვ-

და კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. ხალხი ერთსულოვნად იწონებს პარტიის მიერ შემუშავებულ პოლიტიკას, რომელიც ემყარება სოციალიზმის ძირითად ეკონომიურ კანონს და მიმართულია ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისაკენ. ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ყველა რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში და რაიონში, ყველა საწარმოსა და კოლმეურნეობაში. სსრ კავშირის მუშები, კოლმეურნეები და ინტელიგინცია ახალი ხუთწლედის განხორციელებისათვის შრომობენ ისე, როგორც ეს შეფერის კომუნიზმისათვის ბრძოლის აგანგარდში მდგომი ქვეყნის ხალხს, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი დიადი მისია კაცობრიობის წინაშე.

საბჭოთა ხალხი მთელ თავის წარმატებებს კომუნიზმისათვის ბრძოლაში უმაღლის ბრძოლებში ნაცადი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ-სტალინურმა ნაციონალურმა პოლიტიკამ უზრუნველყო მრავალეროვანი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის მატერიალური და სულიერი ძალების კოლოსალური განვითარება. ამ ნიადაგზე აღმოცენდა და განმტკიცდა სსრ კავშირის ხალხთა დიადი მეგობრობა, ჩვენი სახელმწიფოებრივი წყობილების ძლიერებისა და უძლეველობის საფუძველი.

საბჭოთა ხალხი უდიდესი ალფროვანებით შეხვდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის, 1954 წლის თებერვალ-მარტის და ივნისის პლენურების დადგენილებებს „სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, „ხორბლის წარმოების შემდგომი ზრდისა და ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების შესახებ“. ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ყველა ხალხი პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენურების ამ დადგენილებებში ხედავს თავისი მატერიალური და კულტურული კეთილდღეობისათვის კომუნისტური პარტიის განუწყვეტელი ზრუნვის ბრწყინვალე განსახიერებას.

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების არასაკმაო ღონისა და სოფლის მეურნეობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი დარგების ჩამორჩენის მიზეზების ბრწყინვალე მარქსისტული ანალიზი და დასახულია ქმედითი ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და იმ ჩამორჩენათა სალიკვიდაციოდ, რასაც ადგილი აქვს სოფლის მეურნეობის მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს დარგებში.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში შექმნილია მძღავრი, ტექნიკურად სრულყოფილი მძიმე ინდუსტრია და მნიშვნელოვნად განმტკიცდნენ კოლმეურნეობანი, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ ამ ბაზაზე უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი აღმავლობა. ეს მოგვცემს საშუა-

* გ. მალენკოვი, საანგარიშო მოხსეხება პარტიის XIX ყრილობას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ, გვ. 30.

ლებას ორ-სამ წელიწადში მკვეთრად გადიდეს ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის უზრუნველყოფა სასურსათო საქონლით და ამასთან ერთად კოლმეურნე გლეხობის მთელი მასისათვის უზრუნველყოფილ იქნეს მატერიალური კეთილდღეობის უფრო მაღალი დონე.

საბჭოთა ხალხი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებში დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლას. სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკაში, ყველა ოლქში, რაიონში, ყველა მდის-სა და კოლმეურნეობაში გაჩაღებულია დიდი მუშაობა ამ საერთო-სახალხო ამოცანების შესრულებისათვის. ჩვენი ქალაქები, მუშათა კლასი და ინტელიგენცია აქტიურად ეხმარებიან საკოლმეურნეო სოფელს. მათ იციან, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობა მათი ღვიძლი საქმეა. ამ დიდ საერთო-სახალხო ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში კიდევ უფრო მტკიცე ხდება მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი, კიდევ უფრო მტკიცდება და ვითარდება ხალხების ძმური ურთიერთდახმარება, საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შედეგად შექმნილმა სსრ კავშირმა პირველად უჩვენა მსოფლიოს ნაციონალური საკითხის სწორად გადაწყვეტის უდიდესი მაგალითი. სსრ კავშირის სახით მსოფლიოში არსებობს დიდი მასშტაბის მრავალეროვანი ქვეყანა, რომელსაც აქვს „ეროვნებათა შორის ურთიერთობის მოწესრიგების მრავალმხრივი გამოცდილება“. ამ გამოცდილებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. სსრ კავშირის მიერ მოპოვებული გამარჯვებანი გზას უნათებენ ყველა ხალხს, რომელიც თავისი ნამდვილი ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის იბრძვის, განუმტკიცებენ მათ საკუთარი ძალებისადმი რწმენას, გამარჯვების რწმენას.

კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად იწონებს და მხარს უჭერს თავისი მთავრობის სამშვიდობო საგარეო პოლიტიკას. ამასთან ერთად საბჭოთა ადამიანებს მუდამ ახსოვთ, რომ იმპერიალისტური ძალები მსოფლიოში გამალებით ამზადებენ ახალ ომს და ამიტომ ჩვენი ქვეყნის ხალ-

ხები აძლიერებენ თავიანთ სიფხიზლეს, განამტკიცებენ თავიანთი სოციალისტური სამშობლოს თავდაცვას. საბჭოთა ადამიანები უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამენ იმით, რომ მათ საკმაო რაოდენობით მოეპოვებათ ყველა სახეობის თანამედროვე სამხედრო ტექნიკა და მიუხედავად ამისა ისინი არავის ემუქრებიან თავდასხმით, არამედ მთელ თავიანთ ძალებს მშვიდობისათვის ზრუნვას ახმარენ. ჩვენი ხალხი, მისი მშობლიური საბჭოთა მთავრობა ყველაზერს აკეთებენ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მაღი იქნეს მიღწეული შეთანხმება შეიარაღების მნიშვნელოვანი შემცირებისა და ატომის, წყალბადის, ბაქტერიოლოგიური და ადამიანთა მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის გამოყენების აკრძალვის შესახებ.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ მისწრაფებათა შესანიშნავი გამოვლინებაა მისი საშინაო პოლიტიკა. სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის მთელი ხარჯების ოთხი მეხუთედი ხმარდება ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ განვითარებას, მშვიდობიან მშენებლობას. გახადოს საბჭოთა მოქალაქეების ცხოვრება კიდევ უფრო უკეთესი და მშვენიერი, — აი საითკენ არის მიმართული კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საშინაო პოლიტიკა.

საბჭოთა ქვეყანა, რომელსაც თავისი ეკონომიკისა და კულტურის ახალი, უფრო მძლავრი განვითარების, მთელი ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ყველა შესაძლებლობა აქვს, ახლა ძალობრივი სავსეა. ახლა უფრო, ვიდრე ოდესმე, ერთიანი და მონოლითურია საბჭოთა ხალხი, რომელიც წარმატებით წყვეტს კომუნისტური მშენებლობის ამოცანებს. საბჭოთა კავშირთან ერთად იზრდება და მტკიცდება მთელი დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე ბანაკი, რომელიც მძლავრი დაბრკოლებაა აგრძესიული ძალების გზაზე.

ლენინ-სტალინის ყოვლისმძლე დროშით, ბრძოლებში გამობრძმედილი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი ძლევამოსილად მიდის წინ, კომუნიზმის ახალ-ახალ გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

300035 СЕМЬЯ ПОДЪЯЧИХ

აკადემიკოსი პ. ლ. იოვე

მეცნიერებათა აკადემიის 1757 წლის ყოველ-
თვიურ თხზულებებში გამოქვეყნებულია სტატია
„სარგებლობის შესახებ, რომელიც ფიზიკის მოძღვ-
რებას მოაქვს ეკონომიისათვის“. პირველ ადგილზე
აქ ხაზგასმულია ფიზიკის მნიშვნელობა სოფლის მე-
ურნეობისათვის. „ფიზიკა ეკონომიის ლამპარია“,
— ამბობს ავტორი. ის აყენებს კითხვას: „როგორ
შეიძლება აიძულო მიწა, რომელზედაც მხოლოდ
უვარგისი ბალახი და ძეგვი იზრდება, დამშვენდეს
ყვავილებითა და ნაყოფით, რომ აქ იზრდებოდეს სა-
სარგებლო ბალახი, რომ იგი კვებავდეს და ამრავ-
ლებდეს უამრავ საიმედო თესლს, თუ არ გვაქვს
ცოდნა თვისებებისა და ძალებისა... და სხვა საგნე-
ბის შესახებ, რომლებიც ყველანი ფიზიკაზეა დამო-
კიდებული“*.

XVIII ს. რუსული აგრონომიული მეცნიერების
შემქმნელნი — მ. ვ. ლომონოსოვი, ა. ტ. ბოლოტო-
ვი და ი. ი. კომოვი — განსაკუთრებით დიდ მნიშვ-
ნელობას აძლევდნენ ფიზიკას, თავის წიგნში „მი-
წათმოქმედების შესახებ“ ი. ი. კომოვი წერდა, რომ
„მიწათმოქმედება სხვა არაფერია თუ არა მხოლოდ
ნაწილი ცდისეული ფიზიკისა, მხოლოდ ყველაზე
უფრო სასარგებლო“. ასეთივე შეხედულების იყო
მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი მ. გ. პავლო-
ვი, რომელმაც, ფიზიკის კურსთან ერთად, XIX საუ-
კუნის 30-იან წლებში გამოსცა სოფლის მეურნე-
ობის ხუთტომიანი კურსი, რომლის I ტომი ატარებს
საგულისხმო სათაურს „მიწათმოქმედების ფიზიკუ-
რი საფუძვლები“.

ეს ტრადიცია გააგრძელეს მოწინავე რუსმა და
საბჭოთა აგრონომებმა — ვ. ვ. დოკუჩაევმა, პ. ა.
კოსტიჩევმა, ვ. რ. ვილიამსმა. ვ. რ. ვილიამსი მეუბ-
ნებოდა, რომ მისი ცხოვრების ოცნება იყო აგროტექ-
ნიკის შეხამება ფიზიკასთან.

ლომონოსოვის დროიდან 200 წელმა განვლო.
ფიზიკა შევიდა მიწათმოქმედებაში, მაგრამ მაინც
არა იმდენად, როგორც მოსალოდნელი იყო.

აგროფიზიკამ ერთგვარი ადგილი მოიპოვა მხო-
ლოდ ნიადაგმცოდნეობაში.

კიდევ უფრო შორსაა თანამედროვე ფიზიკა მეც-
ნოველებისაგან. ამავე დროს კი 1757 წლის ხსენე-
ბული სტატია ფიზიკას ისეთსავე გადამწყვეტ მნიშ-
ვნელობას უთმობს მეცხოველეობაში, როგორსაც მი-
წათმოქმედებაში. მას მაგალითად მოჰყავს „სახელო-
ვან აკადემიკოს“ რეომიურის წიწილების მოშენების
წესი, „რითაც უკეთ, ვიდრე სხვადასხვა მსჯელობით
დასტურდება ფიზიკის მჭიდრო კავშირი ეკონომიას-

თან“ და სხვა მაგალითი ფლორენციის აკადემიისა,
რომელმაც თათბირი მოიწვია „მიწათმოქმედების
უკეთეს მდგომარეობაში მოსაყვანად“*.

საოცარი კონტრასტი არსებობს ფიზიკის სამრეწ-
ველო წარმოების პროცესში და სოფლის მეურნეო-
ბაში მონაწილეობას შორის.

ეს განსხვავება წარსულში მეტწილად შეიძლე-
ბოდა აგვეხსნა სოფლის მეურნეობის წვრილკუსტა-
რული ხასიათით, სადაც ხელის შრომა ჭარბობდა.
ასეთ მეურნეობაში საჭიროა კარგი თესლი, სასუქე-
ბი, მაგრამ ფიზიკას, როგორც ფიქრობდნენ, მასში
თითქო არაფერი აქვს გასაკეთებელი. ხომ არ შეიძ-
ლება კლიმატის შეცვლა რამდენიმე ჰექტარ ნაკვეთ-
ზე.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სოფლის მე-
ურნეობის ხასიათი შეიცვალა და მასთან ერთად მო-
ისპო დაბრკოლებანი ფიზიკის შეჭრისათვის სასოფ-
ლო-სამეურნეო პრაქტიკაში.

კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების
მინდვრების სივრცეები, გეგმიანი სოციალისტური
სოფლის მეურნეობა გზას უხსნის აქტიურ ზემოქმე-
დებას ნიადაგურ და კლიმატურ პირობებზე. ჩვენი
მიწათმოქმედების მაღალი პროდუქტიულობის მოთ-
ხოვნილება შეუძლებელს ხდის უგულებელყოფილ
იქნეს მოსავლიანობის ისეთი მნიშვნელოვანი ფაქ-
ტორები, როგორიცაა სინათლე, სითბო, მცენარეთა
უზრუნველყოფა წყლითა და ნახშირორუანგით.

საწარმოო პროცესების თითქმის მთლიანი მექა-
ნიზაცია და მზარდი ელექტროფიკაცია დაბეჭითე-
ბით მოითხოვს იმ ფიზიკური მოვლენების შესწავ-
ლას, რომლებიც განაპირობებენ იარაღების მუშა-
ობას და ოპერაციებს, რომლებსაც ისინი ასრულე-
ბენ. კომბაინსა და საფეიქრო აგრეგატს შორის ხომ
უფრო ნაკლები განსხვავებაა, ვიდრე ქიმიურ საწარ-
მოსა და მანქანათსაშენებელი ქარხნის მოწყობილო-
ბას შორის. ამავე დროს კი ფიზიკოსთა მთელი ყუ-
რადღება მრეწველობას აქვს დათმობილი.

თვალსაჩინო მაგალითის სახით შევადაროთ ფი-
ზიკური ცოდნის როლი, ერთი მხრივ, ლითონთა და-
მუშავებაში და, მეორე მხრივ, ნიადაგის დამუშავე-
ბაში.

არ შეიძლება ითქვას, რომ ხენის სახალხო-სა-
მეურნეო მნიშვნელობა ნაკლები იყოს, ვიდრე ლი-
თონთა ჭრის მნიშვნელობა ანდა რომ ნიადაგი ფი-
ზიკური კვლევის უფრო ნაკლებად საპატიო ობიექ-
ტი იყოს, ვიდრე ლითონი.

ლითონთა ცხლად და ცივად დამუშავების პრო-
ცესები გულდასმით შეისწავლება ფიზიკის მიერ
მრავალი ათეული წლების მანძილზე. პრაქტიკასთან

* «Ежемесячные сочинения к пользе и увеселению служащие». Сентябрь, 1757 года. В Санкт-Петербурге при Императорской Академии Наук, стр. 254.

მუდმივ ურთიერთქმედებაში აღმოცენდა მეცნიერული თეორია და სწრაფად ვითარდება წარმოება. მეცნიერული ცოდნის კარგად შემოწმებულ ნიადაგზე ჰყვავის სტახანოველ-მეჩეკარულთა წარმატებები. ჩნდება სულ ახალ-ახალი იარაღები და ხერხები: ფრეზა, ნაწარმთა ნაპერწკლური დამუშავება, ქიმიური მოპრიალება, ხარშვის ახალი ხერხები.

პროდუქციის ხარისხის კონტროლისათვის გამოყენებულია ფიზიკის ყველა საშუალება: სპექტრული და რენტგენული ანალიზი, მაგნიტური და ულტრაბგერითი დეფექტოსკოპია, ინტერფერენციული მეთოდები.

ამასთან შედარებით მეცნიერება ნიადაგის დამუშავების შესახებ ჯერ კიდევ საწყის სტადიაში იმყოფება. გაფხვიერებისა და ბელტის გადაბრუნების პროცესი ნაკლებადაა შესწავლილი; ძირითადი წარმოდგენები დამაჯერებელი არ არის, ხოლო კანონზომიერებანი არ არის დადგენილი. არის მხოლოდ დასახარჯავი შრომისა და საჭირო სათბობის უხეში შეფასება, თუმცა იგი ქვეყანას მრავალი მილიარდი ზანეთი უჯდება. თანამედროვე გუთანი ორი ათასი წლის განმავლობაში არც ისე შორს წასულა წინ თავისი წინამორბედისაგან.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ამ საქმეში არ არის და არც შეიძლება იყოს ახალი გზები. მაგრამ ეს არ არის მართალი! ელექტრული პოტენციალის მიწოდება გუთანზე ნიადაგის თვისებების მიხედვით ენერგიის ხარჯს 5—15% -ით ამცირებს. სწორად შერჩეული ვიბრაციით დასახარჯავი მუშაობა შეიძლება თითქმის ერთიორად შევამციროთ. რა გავლენას მოახდენს ნიადაგის დამუშავების დროს ფრეზის ან ხერხის პრინციპის გამოყენება? როგორია პერსპექტივები ულტრაბგერისა როგორც გაფხვიერებისა და მოხნული ფენის სიღრმის გაზომვის საშუალებისა? ამ კითხვებზე არ არსებობს პასუხი, თუმცა ერთერთი ამ ხერხის წარმატება მიღიარდობით მანეთს დაზოგავდა და, შესაძლოა, დამუშავების ხარისხსაც აამაღლებდა.

ნიადაგში და ჰაერის ნიადაგისპირა ფენაში სითბოს, წყლისა და ნახშირორეანგის მოძრაობის რთული პროცესები, რასაკვირველია, ცნობილია აგროტექნიკოსებისათვის, მაგრამ მათ არა აქვთ თავიანთი თეორია.

მხოლოდ მცირე ხნის წინათ დამუშავებულ იქნა მათემატიკური თეორია სითბოს გავრცელებისა ისეთ რთულ და არაერთგვაროვან გარემოში, როგორსაც ნიადაგი წარმოადგენს. შეისწავლება სხვადასხვა გზები ტენის გადანაცვლებისა თავისი სპეციფიკური კანონზომიერებებით, შიდანიადაგური კონდენსაციის მოვლენები, აორთქლება როგორც ნიადაგის ზედაპირიდან, ისე ტრანსპირაცია მცენარეული საფარიდან.

თეორიის ნაცვლად და მისი უქონლობის გამო აგროტექნიკა კმაყოფილდება მისი პირველი სტადიით — პრაქტიკული გამოცდილების თვისობრივი განზოგადებით.

განა შეიძლება წარმოვიდგინოთ და დავუშვათ, რომ საბჭოთა კავშირში, რომელიც ყველაფერში მოწინავე მეცნიერებას ეყრდნობა, სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი უბანი და მოსახლეობის უმრავლესობის წარმოებითი საქმიანობა ეყრდნობოდეს ემპირულ მონაცემებს, რომლებიც გაშუქებული არ არის ზუსტი თეორიით?

მაგრამ ეს ხომ ასეა! აგრონომებმა არ იციან ფიზიკა — იგი პრაქტიკულად გამორიცხულია აგროტექნიკური განათლების სისტემიდან, ხოლო ფიზიკოსებმა არ იციან და არც არიან დაინტერესებული აგროტექნიკით. სოფლის მეურნეობის მუშაკებს შორის არ არიან ფიზიკოსები და წმინდა ფიზიკურ კვლევას, როცა ეს აუცილებელია, აწარმოებენ ადამიანები, რომლებიც სუსტად იცნობენ ფიზიკური ცოდნის საფუძვლებს.

გავიხსენოთ, მაგალითად, ნიადაგის დამუშავება. არსებობს კი თეორია იმ ფიზიკური ცვლილებებისა, რომელიც გუთანს შეაქვს ნიადაგში, თეორია ნიადაგის ჭრისა და გაფხვიერებისა, მისი მიწებებისა და მისი გადაადგილებისა? ასეთი თეორიის პირველი მითითებანი წამოყენებული იყო პროფ. ვ. პ. გორიაჩინის მიერ, მაგრამ თვით ის ფიქრობდა, რომ სახნავი იარაღების თეორია — შორეული მომავლის საქმეა.

აგროტექნიკის ფიზიკური თეორია მხოლოდ ახლა ისახება.

მიწათმოქმედებაში ფიზიკის მიღწევების სისტემატური გამოყენების ამოცანა საბჭოთა კავშირში პირველად წამოყენებულ იქნა 20 წლის წინათ ფართო კოლექტივიზაციის განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის სისტემაში მოწყობი აგროფიზიკური ინსტიტუტი, ჯერჯერობით ერთადერთი მსოფლიოში.

შემადგენლობით მცირე, სუსტად აღკაზმულ ინსტიტუტს თანამშრომელთა მცირე რიცხვით, რომელთაც შეხამებული აქვთ აგროტექნიკური და ფიზიკური ცოდნა, არ შეეძლო აგროფიზიკის პრობლემის გაშლა მთელი თავისი მოცულობით.

მიუხედავად ამისა, მე არა ერთხელ მომიხდება აგროფიზიკური ინსტიტუტის გამოცდილებაზე მითითება იმის საილუსტრაციოდ, თუ რისი გაკეთება შეუძლია ფიზიკას სოფლის მეურნეობისათვის.

ფიზიკის უმნიშვნელოვანების ამოცანა — ეს არის შესწავლა, ხოლო შემდეგ — აქტიური ზემოქმედებაც მცენარეთა მიერ სინათლის გამოყენებაზე, სითბურ და წყლის რეჟიმზე.

ამ მიზნით აგროტექნიკამ შეიმუშავა მთელი რიგი ხერხები, შემოწმებული მრავალწლიანი პრაქტიკით. მაგრამ რაოდენ გაიზრდება ჩვენი ძალაუფლება მოსავლიანობის ფიზიკურ ფაქტორებზე მაშინ, როცა ჩვენ ზუსტად გვეცოდინება მცენარეთა მოთხოვნილებანი და აგროტექნიკა შესაძლებლობას მიიღებს დაეყრდნოს იმ პროცესების რაოდენობრივ თეორიას, რომლებიც ნიადაგში, მცენარეში, გარეგანზოგადებით.

შომცველ ჰაერში მიმდინარეობს! ასეთ თეორიაში ფიზიკის კანონებთან ერთდება ერთად ბიოლოგიისა და ქიმიის მონაცემები.

საჭიროა შესაძლო სიზუსტით განისაზღვროს გარკვეული კულტურის მოთხოვნილებანი და შემუშავებულ იქნეს ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების აკროტექნიკური ხერხები.

თუ რამდენად ცუდად გვაქვს შესწავლილი მცენარეთა მოთხოვნილებანი, ამას ნათლად გვიჩვენებს ფაქტი ბოსტნეულის არასრულფასოვანი მოსავლისა, რომელიც მიიღება ჩვენს სათბურებსა და ორანჟერიებში. აქ კი, თითქოს, ყველაფერი ჩვენს ხელშია — სინათლეც, სითბოც, წყალიც, კვებაც.

უკანასკნელ დრომდე ითვლებოდა, რომ სწორედ წითელი სხივებია პასუხისმგებელი მცენარეთა განვითარებისათვის. გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მცენარე მოითხოვს განათებას, რომელიც ჭარბობს მზის სპექტრში და რომელთანაც შეგუებულია ადამიანის თვალი. მხოლოდ ასეთი განათებით მიიღება სრულფასოვანი ბოსტნეული. ამიტომ მოთხოვნილება განათების წყაროებისადმი მცენარეთა შუქულტურისათვის ისეთივეა, რაც ცხოველებისა და ადამიანისათვის, როგორც ეს მოსალოდნელი იყო გარემო პირობებისადმი მცენარეთა შეგუების ფაქტის საფუძველზე.

ითვლებოდა, რომ სუსტ განათებას თან უნდა ახლდეს დაბალი ტემპერატურა. სინამდვილეში კი, პირიქით, არასაკმაო განათებისას საჭიროა ნიადაგისა და სადგომის მაღალი ტემპერატურა.

არასწორი წარმოდგენები არსებობდა სინათლის რაოდენობაზედაც და სათბურების გათბობის საშუალებაზედაც, ფოტოპერიოდიზმზედაც.

შუქულტურის ცალკეული შედეგებიდან დავასახელებ: მერქნიანი კულტურების განვითარების დაჩქარება ათჯერ, წელიწადში ხორბლის 5—6 მოსავლის მიღება, 90 დღეში ბამბის, 60 დღეში — პამიდორისა და 15 დღეში — თვის ბოლოკის გამოყვანა.

შუქულტურის ფართოდ გავრცელების მთავარი დაბრკოლება — მისი სიძვირეა. მაგრამ ეს დაბრკოლებაც დაძლეული იქნება დახურული გრუნტის სპეციფიკის დაუფლების მეოხებით. ზუსტი ფიზიკური მეთოდების გამოყენებით აღმოჩენილ იქნა რიგი კანონზომიერებანი, რომელიც განსაზღვრავენ შუქულტურისათვის სინათლის, სითბოსა და კვების აუცილებელ პირობებს. ამ მაგალითზე შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ შეპქონდა სიცხადე ფიზიკურ მეთოდებს მოვლენათა დახლართულ და ნაკლებ შესწავლილ დარგში და მისაწვდომი გახადეს იგი რაოდენობითი ანგარიშიანობისათვის. მიღებული მონაცემების საფუძველზე შეიძლება დავასაბუთოთ დახურული გრუნტის ეკონომიკა და რეალურად დავაყენოთ ქალაქების მთელი წლის განმავლობაში ბოსტნეულით მომარაგების ამოცანა. შეიძლება იმედი ტნეულით მომარაგების ამოცანა. შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ ფაბრიკებისა და ქარხნების გამოუყენებელი სითბოთი გათბობა, აირის სანათები,

წყლის კულტურები კიდევ უფრო შეამცირებენ ხარჯებს და ეკონომიურად ხელსაყრელად გახდიან შუქულტურას.

ყველასათვის გასაგებია მნიშვნელობა იმ პირობების შესწავლისა, რომლებშიც მიმდინარეობს მცენარეთა ცხოვრება, მაგრამ შეგვიძლია თუ არა ჩვენსასურველი მიმართულებით შევცვალოთ ისინი მინდვრის პირობებში?

აგროფიზიკური ინსტიტუტის გამოცდილება შესაძლებლობას იძლევა დადებითად ვუპასუხოთ ამ კითხვაზე. აი რამდენიმე მაგალითი. საბჭოთა კავშირის ჩრდილოეთ რაიონებში კარტოფილის კულტურა ხშირად ზიანდება შემოდგომის აღრეული წაყინვისაგან, რომელიც ღუპავს ფოჩს და აჩერებს ტუბერების ზრდას. რ. ნ. ასეიკინმა (დაიღუპა სამამულო ომში), რომელიც ავითარებდა აგრომეტეოროლოგის ფუძემდებლის პ. ი. ბროუნოვის იდეებს, მიუთითა, რომ ნიადაგსა და ჰაერში წაყინვის დროს კიდევ ბევრი სითბოა, მაშინ როცა ფოთლების ტემპერატურა ნულზე გაცილებით დაბალია. ის მივიდა დასკვნამდე, რომ კარტოფილის დარგვით გათხელებულ, მაღალ თხემებზე, რომლებიც ქარის მიმართულებითაა განლაგებული, შეიძლება ფოჩების დაცვა დაღუპვისაგან იმ სითბოს ხარჯზე, რაც კიდევ ჭარბადაა მომარაგებული ნიადაგში.

მართლაც, რვაწლიანმა ცდებმა კარელია-ფინეთის რესპუბლიკასა და მურმანსკის ოლქში გვიჩვენეს, რომ კარტოფილის დაღუპვა თხემებზე არასოდეს არ აღემატებოდა რამდენიმე პროცენტს, მაშინ, როცა გლუვ ნათესში წაყინვა ზოგჯერ 90%-ზე მეტს ღუპავდა. ამის შედეგად გაცილებით მსხვილი ტუბერები, რომლებიც უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში ვითარდებოდნენ, თხემებზე 30—40%-ით მეტ მოსავალს იძლეოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ სარგავი მასალა გაცილებით ნაკლები რაოდენობით იყო. ახლა ეს ხერხი ჩრდილოეთში მიღებულია საწარმოო მასშტაბით.

გამოანგარიშებამ და ცდამ გვიჩვენა, რომ 10 სმ სიღრმეში თხემის ზედა ნაწილში დღისითაც და ღამითაც გაზაფხულისა და ადრეული ზაფხულის მთელ მანძილზე ტემპერატურა უფრო მაღალია, ხოლო წყლის რეჟიმი უკეთესი როგორც არასაკმაო, ისე ჭარბი დატენიანებისა და დაჭაობების პირობებში. ამიტომ კარტოფილის რგვა თხემებზე ლენინგრადის ოლქშიც ადრეული კარტოფილის დიდ მოსავალს იძლევა.

ბამბის თხემზე თესვა შუა აზიაში, გლუვი ნათესისაგან განსხვავებით, მორწყვის შემდეგ ინარჩუნებს ნიადაგურ სტრუქტურას, აუმჯობესებს სითბორ პირობებს და იწვევს ბამბის მოსავლის გადიდებას 20% -დე.

ამავე გარემოებით აიხსნება წარმატება პროფ. ნ. გ. უშჩიკოვის ხერხისა ნაზვინზე ხეხილის ბაღების გაშენებაში.

თხემზე თესვა და რგვა — ერთ-ერთი მაგალითია სითბორი რეჟიმის გაუმჯობესებისა ჩრდილოეთში

ან ნიადაგის სტრუქტურის დაცვისა მორწყვისას რობებში ბოსტნეულის მოსავალი ჰექტარზე 50—
სამხრეთში.

ცდამ გვიჩვენა, რომ რელიეფის შესაბამისი არ-
ჩევითა და მცენარეთა სათანადო განლაგებით შეიძ-
ლება შევცვალოთ ენერგეტიკული ბალანსი და ზე-
გავლენა მოვახდინოთ სინათლის რეჟიმზე, გავაუმ-
ჯობესოთ მიკროკლიმატი და შევუგუოთ იგი მოსაყ-
ვანი კულტურის მოთხოვნილებებს.

რეკომენდებულ იქნა და მინდვრის პირობებში
გამოსცადეს ნიადაგზე ზემოქმედების სხვადასხვა სა-
შუალებანი.

იმ მიზნით, რომ ნიადაგს კოშტოვანი სტრუქტუ-
რა მიცემოდა და შეემოწმებინათ ასეთი სტრუქტუ-
რის მნიშვნელობა, შემუშავებულ იქნა ხერხები
ტორფის ნაწურისა და წარმოების ნარჩენების, მა-
გალითად, სულფიდური თუთქის შეტანისა (დიდი
ხნით ადრე, ვიღრე შეერთებულ შტატებში ხმაურს
ასტებდნენ კრილიუმით ხელოფნური სტრუქტურის
შექმნის გარშემო). ხელოვნური ნიადაგური სტრუქ-
ტურები თავისი წყალსიმტკიცით არ ჩამოუვარდება
შავმიწანიადაგს და ამავე დროს წებო წარმოადგენს
სასუქს, რომელიც შესამჩნევად ამაღლებს მოსავლი-
ანობას.

მცირეოდენი ნავთსაპონის დამატებით შეიძლება
მივაღწიოთ იმას, რომ ნიადაგის ნაწილაკები არ
სველდებოდეს წყლით. ამ გზით მიღებული პიდრო-
ფობული მიწა სწყვეტს ფილტრაციასა და წყლის
გაუონვას, ჰქენის კარგ სითბურ და ელექტრულ იზო-
ლიაციას.

ერთ-ერთი საფარი, რომელიც გამოსცადეს ნია-
დაგზე — ბიტუმის მოფრქვეული ემულსია, კარგი
საშუალება აღმოჩნდა იმ სილის დასამაგრებლად,
რომელსაც ქარი ფანტავდა, და უდაბნოებში მცენა-
რეულობას განვითარებისათვის.

ამ ხერხის მრავალწლიანმა გამოცდამ ყარა-ყუმსა
და ქვემო-დნეპრის ქვიშრობში ნათელყო, რომ
ემულსით მოსხურების შემდეგ წარმოქმნილი ბი-
ტუმის აფსკი მჭიდროდ ამაგრებს სილას გრიგალი-
სებრი ქარის დროსაც კი, ხოლო აფსკის ქვეშ დარ-
გული თესლი ან კალმები იძლევა მტკიცე აღმონა-
ცენს. კარგად ვითარდება ამ პირობებში ბალახეუ-
ლობაც. 15 წლის წინათ ყარაყუმში ჩატარებული
ნარგავების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ საც-
დელ ნაკვეთებზე იზრდება ასობით საქსაულის ხე 3
მეტრი სიმაღლით და ფართო კრონით. ასევე კარგად
იზრდება ბიტუმიზებულ ნაკვეთებზე ნაძვი ქვემო
დნეპრზე.

დიდი ორგანულ-მინერალური გრანულების გა-
მოცდა წარმოადგენდა საინტერესო ცდას კონცენ-
ტრირებული ხსნარის მაღალი ოსმოსური წნევის
გამოყენებისა იმ მიზნით, რათა გრანულაში შეენარ-
ჩუნებინათ ტენი და ამნაირად ხელი შეეწყოთ მცენა-
რის კვებისათვის მთელ ვეგეტაციურ პერიოდში საკ-
მაოდ მაღალ დონეზე.

გრანულა გაიჭოლება იმ მცენარის ფესვთა სის-
ტემით, რომელსაც იგი კვებავს სასუქით... ასეთ პი-

100 ცენტნერით იზრდება.

რასაკვირველია, მოყვანილი ფაქტებით არ ამო-
იწურება ჩვენი შესაძლებლობანი ფიზიკურ ფაქტო-
რებზე ზემოქმედებისა — ისინი მხოლოდ ცალკეუ-
ლი მაგალითებით ასურათხატებენ დასმული ამოცა-
ნის რეალობას.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ კლიმატის მარ-
თვა და ამინდის კეთება. მაგრამ პროგნოზების ცენ-
ტრალური ინსტიტუტი წინასწარმეტყველებს მას
(სწორად, ზოგჯერ კი — არასწორად) უახლოესი
დღეებისა და თვეებისათვის. ამ მონაცემების დახმა-
რებით, როგორც აღმოჩნდა, შეიძლება მოცემა ტემ-
პერატურის პროგნოზებისა ნიადაგის სახნავ ფენა-
ში სხვადასხვა სიღრმეზე ორი კვირით ადრე, რის
ცოდნაც უსარგებლო როდია თესვის პერიოდში. შე-
იძლება საღამოდანვე დანამდვილებით ვიწინასწარ-
მეტყველოთ დილის წაყინვა. როცა პროგნოზების
უტყუარობა გაიზრდება, შეიძლება ვიმსჯელოთ ტემ-
პერატურისა და ტენიანობის მსვლელობაზე არა
მარტო ჰაერში, არამედ ნიადაგშიც ვეგეტაციის გან-
მავლობაში. და შესაბამისად ავაგოთ აგროტექნიკა.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ვოლგაზე
და როსტოვის ოლქში სარწყავი მეურნეობის, კერ-
ძოდ, მძლავრი ერთჯერადი შემოდგომის მორწყვის
(ტენმომარაგების) გავლენის შესწავლისას გამო-
ირკვა, თუ სარწყავი წყლის რა ნაწილი გამოიყენე-
ბა მცენარეთა მიერ და რა ნაწილი მიდის ღრმა პო-
რიზონტებში, რომლებიც მიუწვდომელია ფესვთა
სისტემისათვის; როგორ წარმოიშვება ნიადაგების
დამლაშება და როგორ ავიცილოთ იგი თავიდან. შეს-
წავლილ იქნა მათს ურთიერთქმედებაში სითბური,
რადიაციული და წყლის რეჟიმი მთელი ვეგეტაციუ-
რი პერიოდის განმავლობაში, მცენარეული საფარის
განვითარება და მისი საბოლოო შედეგი — მოსავა-
ლი მორწყვას მოკლებულ მასივებთან შედარებით.

ამასთან გამოირკვა, რომ, როცა წარმოიშვა მცე-
ნარეული საფარი, წყლის ძირითადი ხარჯი — ეს
არის ტრანსპირაცია, რომელიც, როგორც აღმოჩნდა,
არ არის დამოკიდებული ნიადაგის ტენიანობაზე, სა-
ნამ ტენიანობა მინდვრის ტენტევადობის 60%-ზე
მეტია. ამ პირობებში მცენარისათვის საჭირო წყა-
ლი ნაწილდება რადიაციური ბალანსით, ე. ი. სხვა-
ობით მიღებულ მზის ენერგიასა და მცენარეული სა-
ფარის გამოსხივებას შორის, ყოველ 600 კალ შთან-
თქმულ სითბოზე იხარჯება აორთქლებული წყლის
1 კგ. ეს კავშირი გვიჩვენებს, თუ როგორ დიდ როლს
თამაშობს მცენარეთა ტრანსპირაციაში მოთხოვნი-
ლება — თავიდან ავიცილოთ მათი გადახურება. სით-
ბოს სულ 10% მიდის ნიადაგში.

ამგვარად, აღნიშნულ პირობებში მოცემული
რაიონის რადიაციული ბალანსის მიხედვით შეიძლე-
ბა ვიმსჯელოთ სარწყავი წყლის საჭირო რაოდენო-
ბაზე.

აგრონომები ზორზოხი და არასრულყოფილი სა-
ზომი ხელსაწყოებით სარგებლობენ ისეთი ფიზიკუ-

რი მაჩვენებლისთვის, როგორიცაა ნიადაგისა და ჰა-
ერის ტენიანობა, ზედაპირის ტემპერატურა, ნიადა-
გისა და მცენარის მიერ აორთქლების აღრიცხვისა-
თვის. ზოგიერთი საყოველთაოდ მიღებული ხელსაწ-
ყოები სულ სხვა რამეს უჩვენებენ, ვიდრე აგრონომს
ან ტერესებს. სრულიად არ არსებობს ხელსაწყო
კონდენსაციის აღრიცხვისათვის, ნიადაგში წყლისა
და საკვები ნივთიერების მოძრაობაზე დაკვირვები-
სათვის.

ასე, მაგალითად, ნიადაგის ზედაპირის ტემპერა-
ტურა და ტემპერატურები სხვადასხვა სიღრმეზე მი-
ღებულია განისაზღვროს ვერცხლისწყლის თერმო-
მეტრით. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებ-
ში გვიხდება აღვნიშნოთ ვერცხლისწყლის სვეტის
მდგომარეობა, როგორ უნდა დავიხაროთ და როგორ
ზიანდება გაზომვების დროს გარშემო მდებარე მცე-
ნარეულობა. ასევეა საქმე ტენიანობის გაზომვისას
ასმანის ორთერმომეტრიანი ფსიქრომეტრებით —
ჰაერით მათი მოქრევის დროს. ყველა ეს XIX ს.
საზომი ხელსაწყოებია.

ამავე დროს კი თანამედროვე მეტროლოგიას, რომელიც რაოდენობრივად აღრიცხავს უმცირეს
ცვლილებებს, უდავოდ შეეძლო დაეძლია მოთხოვნი-
ლებები, რომლებიც ფართოდ შევიდა ექსპერიმენტის
ტექნიკაში. ნახევრადგამტარი ხელსაწყოების გამო-
ყენება ნაცვლად ვაკუუმური ნათურებისა კიდევ უფ-
რო ამარტივებს ამოცანას. დამზადების სიიაფე და
მასობრიობა, მექანიკური სიმტკიცე (მთელი ხელ-
საწყო — ეს არის 2—3 მმ ზომის კენჭი), უქონლო-
ბა ვარვარების ძაფისა, რომელიც საჭიროა ვაკუ-
უმურ ნათურებში, და აქედან გამომდინარე — ელექ-
ტროენერგიის მცირე ხარჯი, ნახევრადგამტარულ
რადიოტექნიკას განსაკუთრებით სასარგებლოდ
ხდიან სოფლის მეურნეობის პირობებში.

ნახევრადგამტარები სხვა საზომ ამოცანებსაც
სწყვეტენ: მიღიმეტრის რამდენიმე მეათედის სიღი-
დის მარცვალი ზომავს ფოთლის ტემპერატურას, ჰა-
ერის ტემპერატურასა და ტენიანობას, ნიადაგის
ტემპერატურას ყოველგვარ სიღრმეზე ან ზედაპირ-
ზე, ამასთან ერთად, როგორც ყოველგვარი ელექ-
ტრული მოწყობილობა, იგი შესაძლებლობას იძლე-
ვა რეგისტრირებულ იქნეს მაჩვენებლები და ჩავა-
ტაროთ დაკვირვება შორიდან.

ნახევრადგამტარი ფოტოელემენტები განსაზ-
ღვრავენ განათებულობას როგორც ზედაპირზე, ისე
ნაბალახარის შიგნით ან ტყეში.

ფიზიკა გამოყენებული უნდა იქნეს აგრეთვე
კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების გა-
უმჯობესებისათვის. მაგალითად, თერმოელექტრუ-
ლი ბატარეა, რომელიც მოთავსებულია ნავთის ნა-

თურის შუშის ზემოთ, ელექტროენერგიით კვებავს
რადიომიმღებს და, ამგვარად, რადიომაუწყებლობას-
თან აკავშირებს ჩვენი ქვეყნის ყველაზე შორეულ,
ჯერ კიდევ ელექტრობას მოკლებულ კუთხეებს. რა-
დიო მისაწვდომი ხდება უკიდურეს ჩრდილოეთში,
მთიან და უდაბურ რაიონებში, ხე-ტყის დამუშავება-
ზე, გზის გაყვანაზე და ა. შ. ათასობით კოლმეურნე-
ობა უკვე მომარაგებულია ნახევრადგამტარი თერ-
მობატარეებით.

ასეთივე, მაგრამ გაცილებით უფრო მძლავრ
თერმოელექტრულ ბატარეებს, დამზადებულს ნახევ-
რადგამტარებისაგან, შეუძლიათ ელექტროენერგიით
უზრუნველყონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურის რა-
დიოსადგური და მინდვრად ტრაქტორებისა და მან-
ქანების მუშაობის რადიომართვის სისტემა, შეუძ-
ლიათ ელექტრული განათებით უზრუნველყონ მინ-
დვრის სამუშაოები.

ნახევრადგამტარებს შეუძლიათ გადაწყვიტონ
სოფლის მეურნეობისათვის სხვა მნიშვნელოვანი
ამოცანა — მაღლუჭებადი პროდუქტების შენახვა
სიცივის შექმნის გზით.

„როგორც კი სასოფლო სამუშაოებს მოაწყობენ
განათლებული ადამიანები, მიწათმოქმედებაც ისე-
თივე პატივისცემაში იქნება, როგორც სხვა საქმე და
ჩვენ მიერ გაწმენდილი მიწა უარს არ გვეტყვის თა-
ვისი ნაყოფის სიუხვით დაგვაჯილდონს ჩვენ“*, —
ასე მთავრდება XVIII ს. ხსენებული სტატია.

ახლა ჩამოვაყალიბოთ ფიზიკის უმნიშვნელოვა-
ნესი ამოცანები სოფლის მეურნეობაში.

ეს არის, პირველ ყოვლისა, — სინათლის, სით-
ბური და წყლის რეჟიმის შეგუება მოსაყვანი კულ-
ტურების მოთხოვნილებებისადმი, ნიადაგისა და
რაიონის კლიმატისადმი. კერძოდ, სითბური მელიო-
რაცია ჩრდილო რაიონებისათვის; ზამთრის აგრო-
ტექნიკა; მზის სინათლისა და ნიადაგის ტენის რა-
ციონალური გამოყენება; ბრძოლა ფილტრაციასთან
სარწყავ მიწათმოქმედებაში. სელექციამ შეიძლება
კიდევ უფრო წარმატებით შეუწყოს ხელი კულტუ-
რების წაწევას სხვა კლიმატურ ზონებში, თუ იგი
მოახერხებს შეგნებულად შეცვალოს ოპტიკური,
თერმული და მექანიკური ოვისებები და ტრანსპირა-
ცია.

მეორე, სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებთან და-
კავშირებულ პროცესთა შესწავლა. კერძოდ, ნიადა-
გის დამუშავების თეორია; ნიადაგში წყლისა და
სითბოს მოძრაობის მექანიზმი და კანონები; ნიადა-
გისა და ჰაერის ნახშირორუანგის შესწავლა; ფიზი-
კური ფაქტორების გავლენა მცენარეებსა და მიკრო-
ფლორაზე; მარცვლისა და ბალახეულის ხმობის
პროცესები; მარცვლეულის გაწმენდა; სახნავი იარა-
ღების თეორიის საფუძველზე დამუშავება იარაღის
მიერ დახარჯული მუშაობის შემცირებისა ელექ-
ტროგაბოხვის, ვიბრაციისა და ა. შ. ხერხებით. ნია-

* Ежемесячные сочинения к пользе и увеселению слу-
жашие, გვ. 270.

დაგის გაფხვიერებისა და გადაადგილების ახალი გზების გამოცდა.

მესამე, თანამედროვე ფიზიკის ახალი მეთოდებისა და ხერხების შეტანა ნიადაგსა და მცენარეებში მიმდინარე პროცესების შესწავლაში რაოდენობრივი აგროტექნიკური მეცნიერების შემუშავების მიზნით. რადიოაქტიური ინდიკატორების მეთოდის ფართო გამოყენება; უმნიშვნელოვანესი კანონზომიერებების მათემატიკური ფორმულირება.

მეოთხე, ბოსტნეულის მოყვანა დახურულ გრუნტში და ხელოვნური განათების პირობებში ადრეული ბოსტნეულის მიღება ქალაქების მთელი წლის განმავლობაში მოსამარაგებლად. შუქულტურის რაციონალური ეკონომიკა, სინათლის წყაროს ამორჩევა; სითბოს ნარჩენების გამოყენება, პიდროსათბურები, ხელოვნური ნიადაგური სტრუქტურები.

მეხუთე, შექმნა ფიზიკური მოწყობილობებისა, რომლებიც ზომავს სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს. საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და ტელემართვა.

მეექვსე, გაუმჯობესება და ავტომატური კონტროლი სოფლის მეურნეობის პროდუქტების შენახვისა და ტრანსპორტის პირობებზე სამაცივრო ტექნიკის, შრობის რაციონალური ხერხების, ტენისა და ჰაერის ჟანგბადისაგან დაცვის წესების გამოყენებით.

შეიძლება დავსახოთ მეცხოველეობაში ფიზიკის მონაწილეობის ანალოგიური ფორმები. მიღებულია ეს საკითხები ბიოფიზიკას მიაკუთვნონ. თუ ფიზიკას მეცენარეობაში ჩვენს ქვეყანაში თავისი ისტორია და ზოგიერთი, თუმც არასაკმაო, მიღწევები აქვს, მეცხოველეობაში ფიზიკა უკანასკნელ დრომდე არავითარ მონაწილეობას არ იღებდა.

როგორც მემცენარეობის, ისე მეცხოველეობის მეცნიერული საფუძველია ბიოლოგია. მაგრამ არ შეიძლება ორგანიზმის განხილვა მისი არსებობის პირობებისგან მოწყვეტით. ამიტომ ბიოლოგი იძულებულია მიმართოს ნიადაგმცოდნეს, აგროქიმიკოსს, აგროფიზიკოსს.

მით უფრო შეუძლებელია ფიზიკური მოვლენები ცოცხალ ბუნებაში მოვწყვიტოთ მათს ბიოლოგიურ საფუძველს; ნიადაგის სითბური და წყლის თვისებები, მისი სტრუქტურა — მიკროფლორის მოქმედებისაგან, ფესვთა სისტემის გავლენისაგან. აგროფიზიკაზე კარიკატურად გამოიყურება ცდა — წარმოვიდგინოთ ნიადაგი როგორც კაპილარების კრებული ან ღრუბელი, რომელიც მცენარეს წყლით ამარაგებს.

რა დიდიც არ უნდა იყოს, ჩვენი აზრით, ფიზიკის როლი სოფლის მეურნეობაში, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფიზიკური ზემოქმედება — მხოლოდ დამხარე საშუალებაა მცენარეთა უკეთესი აღმოცენებისათვის.

რამდენადაც მოსავალს გარეგანი გარემო პირობები განსაზღვრავს, ფიზიკა და ქიმია — მინდვრის მოსავლიანობის გაზრდის მძლავრი საშუალებაა.

სოციალისტური მიწათმოქმედება სწრაფი ტემპით იარაღდება სულ ახალი მანქანებითა და იარა-

ღებით, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა სულ უფრო მჭიდროდ უკავშირდება ფიზიკასა და მექანიკას.

ამიტომ ყოვლად მოუთმენელია ისეთი მდგრმარეობა, როცა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა შეუღებელყოფს თავისი ზრდის ისეთ მძლავრ იარაღს, როგორიცაა ფიზიკის მიღწევები, როცა ინდუსტრიალიზებული სოფლის მეურნეობა ისაზღვრება ათასწლოვანი სიძველის ტრადიციული ხერხებით. საჭირო არ არის იმის მტკიცება, რომ სინათლის სითბური და წყლის რეჟიმის შეგუებით მცენარის მოთხოვნილებებთან, ჩვენ ვზრდით მოსავლიანობას, ამასთან ახალ რაიონებში გადაადგილდება სამხრეთის კულტურები, გამოცოცხლდება ჩვენი ჩრდილოეთის უზარმაზარი სივრცეები და უდაბნო ადგილები სამხრეთში.

ჩვენმა ფიზიკოსებმა თავისი მონაწილეობით მრეწველობაში, დაკისრებული აქტუალური და ძნელი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტით უკვე გვიჩვენეს, რომ მათ შეუძლიათ ქმედითი მონაწილეობა მიიღონ ჩვენი სოფლის მეურნეობის აღმავლობაშიც. სოციალისტური სისტემა აღმოფხვრის ყველა დაბრკოლებას, რომლებიც ამ მიზნების მიღწევის გზაზე დგას. საჭიროა ფიზიკა და საბჭოთა ფიზიკოსები ჩავაბათ სოფლის მეურნეობის დახმარების დიად საქმეში; საჭიროა ფართოდ გაიხსნას ფიზიკური ცოდნის ახალი სასოფლო-სამეურნეო ფრონტი. აგროფიზიკა არა ნაკლებ საჭიროა, ვიდრე რადიოფიზიკა, მეტალოფიზიკა.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო განათლების სისტემაში შევიტანოთ ფიზიკის საფუძვლების სწავლება, გამოცემულ იქნეს ფიზიკის სახელმძღვანელო სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისათვის და შევქმნათ კადრები მეცნიერ-აგროფიზიკოსებისა უნივერსიტეტებსა და სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებში.

საჭიროა სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების ფიზიკის კათედრების საკვლევი მუშაობის თემატიკა წარვმართოთ სოფლის მეურნეობის ინტერესების მიმართულებით.

საბჭოთა აგროფიზიკამ ყველა თავის რგოლში უნდა შეისწავლოს და განაზოგადოს სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილება, წარსულის ათასწლოვანი გამოცდილება და აგროტექნიკის მიღწევები, როგორც სსრ კავშირში, ისე საზღვარგარეთ.

საჭიროა მოწყოს სოფლის მეურნეობისათვის რაციონალური ფიზიკური მოწყობილობების წარმოება და ამ ხელსაწყოებით მოვამარაგოთ ზონალური და საცდელი სადგურები და აგროფიზიკოსების კადრების მომზადების მიხედვით გავგზავნოთ ისინი ამ სადგურებში.

რაც უფრო ჩქარა და სრულად მოხერხდება ფიზიკური ცოდნის, ფიზიკური მეთოდებისა და ფიზიკური ხელსაწყოების ჩართვა აგრონომიულ მეცნიერებაში, მით უფრო ჩქარა და წარმატებით გადაიჭრება ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ამოცანები.

ასენი რეინატეგონი სერიული სამღებანიალოება

1956 გვერდი 1

ფერნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, თბილისის ნაგებობათა და პიდრონერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის
დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში

გაზეთ „პრავდაში“ მიმდინარე წლის 20 აგვის-
ტოს დაიბეჭდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური
პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავში-
რის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „მშენებლო-
პისათვის ასაწყობი რეინაბეტონის კონსტრუქციე-
ბისა და დეტალების წარმოების განვითარების შე-
სახებ“.

ამ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ასაწყობი
რეინაბეტონის კონსტრუქციებისა და მათი დეტალე-
ბის წარმოება არადამაკამაყოფილებლად ვითარდება.
ამავე დროს კი სამრეწველო, სამოქალაქო და სა-
მოფლო მშენებლობებზე ასაწყობი რეინაბეტონის
კონსტრუქციების გამოყენება შესაძლებლობას იძ-
ლევა დავზოგოთ ლითონი, ამცირებს ხე-ტყის მასა-
ლების ხარჯს, უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერე-
ბის ზრდას და აჩქარებს მშენებლობის ტემპებს.

როგორც ცნობილია, ზოგიერთი სამინისტროები,
არღვევენ რა შენობათა და ნაგებობათა მშენებლო-
ბის დროს სახელმწიფო ინტერესებს ლითონის ეკო-
ნომიის დარგში, სარგებლობენ ლითონური კონს-
ტრუქციებით ნაცვლად ასაწყობი რეინაბეტონის
კონსტრუქციებისა, ვითომდა მშენებლობის ვადების
შესამცირებლად, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შემ-
ცირება არ გამოდის.

შეიძლება აღინიშნოს, რომ ასაწყობი რეინაბე-
ტონის კონსტრუქციების უაღრესად არადამაკამაყო-
ფილებელი გამოყენება მშენებლობაში და ლითონი-
სა და ხის მასალის არასწორად გამოყენება აიხსნე-
ბა სამშენებლო და საპროექტო ორგანიზაციების
მხოლოდ ინერტულობითა და უინიციატივობით.

ასაწყობი რეინაბეტონის კონსტრუქციების წარ-
მოების სუსტი განვითარება აგრეთვე იმის შედეგს
წარმოადგენს, რომ სსრ კავშირის საშენი მასალე-
ბის მრეწველობის სამინისტროს და მშენებლობის
განმახორციელებელ სხვა სამინისტროებს აქამდე არ
შეუსრულებიათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1952 წლის 26 იანვრის დადგენილება არამაღნეული
საშენი მასალების მოპოვების განვითარებისა და
ასაწყობი რეინაბეტონის კონსტრუქციების წარმოე-
ბის შესახებ. ამასთან ერთად რეინაბეტონის ნაწარ-
მის ახალი ქარხნების მშენებლობის გეგმები სისტე-
მატურად არ სრულდება.

დადგენილებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ აქამ-
დე ადგილი აქვს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოე-
ბის მკვეთრ ჩამორჩენას სამრეწველო შენობებისა და

ცალკე კონსტრუქციული ელემენტებისათვის ახალი
კონსტრუქციების შექმნის დარგში.

იმ მიზნით, რომ აღიკვეთოს დაუშვებელი ჩამორ-
ჩენა მშენებლობაში ასაწყობი რეინაბეტონის კონს-
ტრუქციებისა და დეტალების გამოყენების საკმეში.
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრა-
ლური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბ-
ჭო დადგენილებაში ითვალისწინებენ რიგ ღონის-
ძიებებს.

დადგენილება ავალებს სამინისტროებსა და უწ-
ყებებს გაადიღონ ასაწყობი რეინაბეტონის კონ-
სტრუქციებისა და დეტალების წარმოება, რისთვი-
საც გააფართოონ არსებული და ააგონ ახალი სა-
წარმოები და უზრუნველყონ ამ საწარმოებში ასაწ-
ყობი რეინაბეტონის დეტალების — ფილების, კო-
ჭების, სვეტების, მილების, ხიმინჯების, ელექტრო-
გადამცემი ხაზებისა და კავშირგაბმულობის ანძე-
ბის, ელექტრული რეინიგზების საკონტაქტო ხაზე-
ბის საყრდენების წარმოება, აგრეთვე — წარმოება-
ში დანერგონ ეფექტური თხელკედლიანი და ღრუ
ასაწყობი რეინაბეტონის კონსტრუქციები და დეტა-
ლები მაღალმტკიცე ხისტი ბეტონებიდან.

საპროექტო ორგანიზაციები ვალდებული არიან
ნაგებობათა და შენობათა პროექტების შედგენისას
ფართოდ დანერგონ ასაწყობი რეინაბეტონის კონ-
სტრუქციები და დეტალები და „არ დაუშვან ლითო-
ნის კონსტრუქციების გამოყენება ყველა შემთხვევა-
ში, როცა იგი შეიძლება შეიცვალოს რეინაბეტონის,
უპირატესად ასაწყობი კონსტრუქციებით“.

დადგენილება ავალებს აგრეთვე სსრ კავშირის
სახელმწიფო საგეგმო კომისიას, რიგ სამინისტ-
როებს, რსფსრ და უკრაინის სსრ მინისტრთა საბ-
ჭოებს გამოყონ კაპიტალდაბანდებანი ასაწყობი
რეინაბეტონის მრეწველობის განვითარებისათვის:
1955 წელს — 1 მილიარდი 725 მილიონი მანეთი
და 1956 წელს — 2 მილიარდი 160 მილიონი მა-
ნეთი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის
საქმეთა სახელმწიფო კომიტეტს დადგენილებით
ევალება — გააძლიეროს მუშაობა ასაწყობი რეინა-
ბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების უნიფი-
კაციისა და სტანდარტიზაციისათვის და 1955 წლის
დასაწყისში მშენებელთა საკავშირო სამეცნიერო-
ტექნიკურ საზოგადოებასთან ერთად ჩატაროს სა-
კავშირო კონფერენცია რეინაბეტონისა და ბეტონის

საკითხებზე. გათვალისწინებულია აგრეთვე საჭიროება ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა საბითუმო ფასების პრეისკურანტის შედგენისა. პრეისკურანტი უნდა ითვალისწინებდეს გასაშვები ფასების მნიშვნელოვან შემცირებას მოწინავე საწარმოებში მათი თვითღირებულების დონის მიხედვით.

დადგენილების გაცნობა გვიჩვენებს, რომ მტკიცე ხანგამძლე ნაგებობათა და შენობების მშენებლობის საქმეში პარტია და მთავრობა უდიდეს როლს უთმობენ ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების დანერგვას სამშენებლო პრაქტიკაში, ნაცვლად ფოლადისა და ხის კონსტრუქციებისა და დეტალებისა.

ითვალისწინებდა რა მშენებლობაში ასაწყობი რკინაბეტონის გამოყენების პრობლემის მნიშვნელობას, თბილისის ნაგებობათა და პიღროენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი უკვე მრავალი წლის განმავლობაში მუშაობს ამ დარგში.

ასაწყობი რკინაბეტონის პრობლემა ნაგებობათა და პიღროენერგეტიკის ინსტიტუტისათვის წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად პრობლემას, რომელიც მოითხოვს მეცნიერულ დამუშავებას და ამ პრობლემას წლიდან წლამდე სათანადო ადგილი ეთმობა ინსტიტუტის თემატიკაში.

უნდა აღინიშნოს, რომ ინსტიტუტის მიერ დამუშავებულმა რიგმა ასაწყობმა კონსტრუქციამ უკვე პოვა გამოყენება სამრეწველო მასშტაბით, თუმცა ეს გამოყენება ჯერ არასაკმაოა.

ასეთი კონსტრუქციების რიცხვს უნდა მიეკუთვნოს, პირველ რიგში, ასაწყობი საყრდენები ცენტრი-ფუგირებული რკინაბეტონიდან სხვადასხვა დანიშნულების ელექტრული საჰაერო ხაზებისათვის, აგრეთვე საკანალიზაციო მილები ცენტრიფუგირებული რკინაბეტონისაგან და შეაფრებული გადახურვები სამრეწველო და სამოქალაქო შენობებისათვის.

ინსტიტუტის ცენტრიდანულმა ლაბორატორიამ უკვე მრავალი წლის წინათ დაამუშავა და გამოსცადა სხვადასხვა დეტალები ცენტრიფუგირებული რკინაბეტონისაგან (წყალსაღენის მილები, კოჭები, დამჭერი სვეტები და სხვ.).

ჯერ კიდევ 1931—1935 წლებში ინსტიტუტი ექსპერიმენტულ-თეორიულ მუშაობას ატარებდა ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და სამონტაჟო მოწყობილობათა რაციონალური ტიპების დასამუშავებლად.

ამ ხანებში იყო რეკომენდებული ერთსართულიანი და მრავალსართულიანი შენობების ტიპები, რომლებიც აწყობილი სახით ხორციელდებოდა, შემდეგი — ეგრეთ წოდებული ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქციები. მათ თავისებურებას წარმოადგენდა პირა-პირა შეერთების ახალი ტიპების განხორციელება, რაც კონსტრუქციების განუწყვეტელ აწყობას უზრუნველყოდა.

ამავე დროს ეკუთვნის ახალი ტიპის კაბელ-ამწეს დამუშავება ასაწყობი მშენებლობის განხორციელებისათვის. ეს ამწე განხორციელებულ იქნა ნატურა-

ლური ზომით და გაისინება თბილისის ფეხსაცმლის ფაბრიკის მშენებლობაზე.

1935—1937 წლებში ინსტიტუტის სპეციალისტების ბრიგადამ გ. ცისკრელის, გ. კარმანოვისა და ე. რუსანოვის შემადგენლობით დაამუშავა ტიპები სამრეწველო შენობებისა საუკეთესო ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით.

ამ და შემდგომ პერიოდში დიდი გავრცელება პოვა ღრუ ნაფენის ასაწყობმა ტიპმა, რომელიც მილოვანი ვიბროსადებებისაგან მზადდებოდა. ეს კონსტრუქცია, დამუშავებული ინსტიტუტის თანამშრომლების კარმანოვისა და სიმონოვის მიერ, ცნობილია „სიმკარის“ სახელწოდებით. ლაბორატორიული ცდების შემდეგ, 1935—1937 წლებში, ეს კონსტრუქცია პირველად დანერგილ იქნა თბილისის სატრიკოტაჟო კომბინატის მშენებლობაზე.

ამ კონსტრუქციის მსუბუქი ბეტონის დაჩქარებული გამყარება გაორთქმვითა და ელექტროშეთბობით ხორციელდებოდა.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობითვე ამ პერიოდში განხორციელებულ იქნა ასაწყობი კონსტრუქციები დახურული ბაზრის მშენებლობაზე თბილისში.

ინსტიტუტის ხელმძღვანელობით თბილმშენადამზადა „სიმკარის“ ფილები. ასეთი ფილები გამოყენებული იყო ამიერკავკასიის მეტალურგშენის მიერ, სადაც გადახურვის ფართობი ასობით ათასი კვადრატული მეტრით განიზომება.

მეცნიერული დამუშავების პერიოდში იმყოფება აგრეთვე მთელი რიგი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ასაწყობ მშენებლობასთან, როგორიცაა მშენებლობაში რკინაბეტონისა და ბეტონის ელემენტების გამოყენება ყოველგვარი ფორმის სიღრუით, ასაწყობი რკინაბეტონის გარემოძელვის გამოყენება გვირაბებში, ჩარჩოიანი მრავალსართულიანი და მრავალმაღიანი კარკასების ახლებური გადაწყვეტა ასაწყობ რკინაბეტონში და სხვ.

შევჩერდებით რა ასაწყობ კონსტრუქციებზე, რომელთა ტიპები და დამზადების ტექნოლოგია დამუშავებული და ათვისებულია, უნდა ითქვას შემდეგი.

ელექტრული საჰაერო გზები სსრ კავშირში უკანასკნელ დრომდე შენდებოდა ლითონისა და ხის საყრდენებზე. მაგრამ ხის საყრდენებიანი ხაზების ექსპლოატაციის გამოცდილებამ ნათელყო, რომ ასეთი საყრდენები ხასიათდება ხანმოკლე სამსახურით. ჩვეულებრივ არაანტისეპტირებული ხის საყრდენის საშუალო სამსახური არ აღემატება სამონტაჟო წელი-წაღს, ანტისეპტიკებით გაუღენთილისა კი — დახლოებით 10 წელიწადს.

მაგრამ ხის საყრდენების გაუღენთვა ხშირად დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან. ამის გამო ხარჯები ხის საყრდენების გამოყენებით აგებული ხაზების შესანახად აღემატება თავდაპირველ ხარჯებს მშენებლობაზე.

ლითონის საყრდენები თუმცა დაახლოებით 30 წლამდე ძლებენ, მაგრამ მოითხოვენ ლითონის მნიშვნელოვან ხარჯს, ამასთან ფასონური პროფილებისა, მოითხოვენ პერიოდულ შეღებვას ლითონის კოროზიის თავიდან ასაცილებლად და სპეციალური რკინიაბეტონის საძირკვლების აგებას, ამიტომ ფოლადის საყრდენები ხასიათდება როგორც მნიშვნელოვანი სამშენებლო ღირებულებით, ისე დიდი საექსპლოატაციო ხარჯებით.

ამიტომ ინსტიტუტის ცენტრიდანულ ლაბორატორიაში ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ე. ე. შიხელსონის ხელმძღვანელობით დამუშავებულია კონსტრუქციები ასაწყობი საყრდენებისა ცენტრიულგირებული რკინაბეტონისაგან სხვადასხვა დანიშნულების საპარო ელექტრული ხაზებისათვის, მათი გაანგარიშების მეთოდოლოგია და მათი დამზადების ტექნოლოგია.

ასაწყობი საყრდენები ხასიათდება მაღალი სიმჭვიცით, შედარებითი სიმსუბუქითა და კარგი ტრანსპორტაბელობით. ეს საყრდენები ძლებენ საკმაოდ დიდხანს, არ მოითხოვენ რემონტს, გამოსაღევია ყოველგვარ კლიმატურ პირობებში და ფოლადის საყრდენებზე ორჯერ უფრო ეკონომიურია როგორც მასალის ხარჯით, ისე ღირებულებით.

ცენტრიფუგირებული საყრდენები ხისაზე უფრო ძვირი არაა, თუ მხედველობაში მივიღებთ ხარჯებს უკანასკნელთა მოვლა-შენახვაზე და რემონტზე. საყრდენების ელემენტები ქარხნული წესით მზადდება სპეციალურ ცენტრიდანულ ჩარხებზე, რომელთა კონსტრუქცია ინსტიტუტის მიერაა დამუშავებული.

საქართველოს სსრ ორგანიზაციები — „საქელექტროქსელმშენი“, „საქპილროენერგომშენი“, „საქენერგო“, „პიდროენერგოპროექტის“ თბილისის განყოფილება და ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროჟიკის სამსახური სათანადო ყურადღებას არ უთმობენ ცენტრიფუგირებული რკინაბეტონიდან დამზადებული საყრდენების დანერგვას ელექტრული საპარო ხაზების მშენებლობაში. საკმაოა აღინიშნოს, რომ ისეთ სპეციალიზებულ ორგანიზაციის, როგორიცაა „საქელექტროქსელმშენი“, ელექტრული საპარო ხაზების მშენებლობის დროს არ გამოუყენებია ცენტრიფუგირებული რკინაბეტონიდან დამზადებული საყრდენები.

„საქპილროენერგომშენი“ კი, რომელმაც საქართველოში კავშირგაბმულობის ხაზები ძირითად ცენტრიფუგირებულ საყრდენებზე ააგო მცირე მანძილზე, წარმოება შეწყვიტა და საყრდენების დასამზადებლად არათუ არ იყენებს ცენტრიდანულ საამქროს, რომელიც მის განკარგულებაში გადასცა ინსტიტუტმა, არამედ სრულიად მიყრუებულ მდგომარეობაში მიიყვანა იგი.

„საქენერგომ“ ელექტროხაზების კაპიტალური რემონტის დროს მასობრივი მასშტაბით უნდა გამოიყენოს ხის საყრდენების ხის საქუსლეების შეცვლა ცენტრიფუგირებული რკინაბეტონისაგან დამზადე-


ბულ ხანგამძლე საქუსლეებზე, როგორც ამას აკეთებს ტრესტი „ენერგომონტაუნეფტი“. განყო-

„პიდროელექტროპროექტის“ თბილისის განყოფილებამ რიგ შემთხვევებში თავის პროექტში ელექტრული საპარო ხაზებისათვის უნდა გაითვალისწინოს მხოლოდ და მხოლოდ ასაწყობი ცენტრიფუგირებული საყრდენები, ნაცვლად ფოლადისა და ხის საყრდენებისა.

ცენტრიფუგირებული საყრდენებით უნდა დაინტერესდეს აგრეთვე ამიერკავკასიის რკინიგზის ელექტროჟიკის სამსახური და სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტროს რწმუნებული საქართველოს სს რესპუბლიკის. პირველს შეეძლო ცენტრიფუგირებული საყრდენების გამოყენება, ფოლადისა და ხის საყრდენების ნაცვლად, საკონტაქტო ხაზების გადასაღები საყრდენების სახით, კავშირგაბმულობის უწყებას კი — ხის საყრდენების ნაცვლად, და ისიც მასობრივი მასშტაბით, კავშირგაბმულობის ხაზებისათვის.

ამასთან ერთად არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ, რომ საქართველოს სსრ ფარგლებს გარეთ ელექტრული საპარო ხაზების მშენებლობა ასაწყობ საყრდენებზე, რომლებიც ცენტრიფუგირებული რკინაბეტონიდანაა დამზადებული, უკანასკნელ წლებში ფართო სამრეწველო მასშტაბით პოულობს განვითარებას.

ასე, მაგალითად, ტრესტი „ენერგომონტაუნეფტმა“ ააგო და აშენებს ამ საყრდენებზე ელექტროგა-



ფოტოზე: ელექტროგადაცემის ხაზის საყრდენები ცენტრიფუგირებული რკინაბეტონიდან 35 ათასი ვოლტისათვის

დაცემის ხაზებს 6—10 და 35 ათასი ვოლტისათვის (იხ. ფოტო) და კავშირგაბმულობის ხაზებს სსრ კავშირის 8 რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში, დაახლოებით 1 800 კილომეტრის მანძილზე. იგივე ტრესტი წარმატებით იყენებს ცენტრიფუგირებულ საქუსლეებს ხის საყრდენებისათვის.

ყველა ეს საყრდენი ტრესტის მიერ მზადდება „ენერგომონტაუნეფტის“ მძღავრ ცენტრიდანულ ქარხანაში ქალაქ გროზნოში. ქარხანა აგებულია თბილისის ინსტიტუტის ცენტრიდანული საამქროს სამუშაოთა საფუძველზე და მუშაობს ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიის მიხედვით. ტრესტმა წარმოების პროცესში რიგი გაუმჯობესებანი შეიტანა საყრდენების დამზადების ტექნოლოგიაში, აგრეთვე დაამზადა მის მიერ გამოყენებული საყრდენების ტიპების ალბომები.

მეორე მძღავრი სპეციალიზებული ქარხანა საყრდენების დასამზადებლად ქ. გორკი, რომელიც ჩვენი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ტექნოლოგიით მუშაობს, მწყობრში შევიდა მიმდინარე წელს.


ტრესტ „ენერგომონტაუნეფტის“ ელექტროგადაცემისა და კავშირგაბმულობის ხაზების მშენებლობის პრაქტიკაში ცენტრიფუგირებული რკინაბეტონისაგან დამზადებული საყრდენების დასანერგავად მუშაობის შედეგები გვიჩვენებს, რომ ასეთი ხაზები სავსებით ამართლებენ თავს ექსპლოატაციაში და სულ უფრო და უფრო მეტ გავრცელებას პოულობენ.

საქართველოში ელექტროგაზების მშენებლობის დროს ცენტრიფუგირებული საყრდენების გამოყენება ბრკოლდება ასაწყობი ცენტრიფუგირებული საყრდენების დასამზადებლად საკმაოდ მძღავრი ცენტრიდანული ქარხნის ან მცირე ცენტრიდანული ქარხნების — სახელოსნოების აგების აუცილებლობის გამო.

სამეცნიერო-ტექნიკურ ცდებზე და სამრეწველო დანერგვის საწარმოო გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ჩაითვალოს, რომ ინსტიტუტში დამუშავებული კონსტრუქციის ასაწყობმა ცენტრიფუგირებულმა საყრდნობებმა მოკლე ხანში უნდა პოვოს უაღრესად ფართო გამოყენება კავშირგაბმულობისა და გადამცემი ხაზების მშენებლობისას 6—10, 35 და 110 ათასი ვოლტისათვის და ელექტრული რკინი-

გზების საკონტაქტო ხაზებისათვის არა მარტო საქართველოს საზღვრებს გარეთ, არამედ საქართველოშიც.

ინსტიტუტში დამუშავებულ საინტერესო კონსტრუქციებს (პროფ. ი. ი. შტაერმანისა), რომლე-



ნახ. 2

ბიც ინდუსტრიული მეთოდებით შენდება, წარმოადგენ დამრეცი ორმაგი სიმრუდის თხელი რკინაბეტონის გარსები ბრტყელი სწორკუთხა კონტურით. ეს გარსები გადახურვად გამოდგება (შეაფრებული გადახურვები) სამრეწველო, საზოგადოებრივ და სამოქალაქო შენობებში.

თხელი რკინაბეტონის ფილებისაგან დამზადებული შეაფრებული გადახურვების გამოყენება საშენი მასალების, კერძოდ, ხე-ტყისა და მუშახელის ეკონომიას იძლევა სხვა კონსტრუქციების რკინაბეტონის გადახურვებთან შედარებით.


ინდუსტრიული მეთოდი, რაც გამოიხატება შეაფრებული ფილის წინასწარდამზადებული სექციების აღგილზე შეკრებასა და გამონოლითებაში კიდევ უფრო ამაღლებს მათი გამოყენების ეფექტურობას.

უაღრესად აქტუალურია ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკის ა. კ. შანშიერის მიერ დამუშავებული მეთოდი, რომელიც პირველად იძლევა შესაძლებლობას დამზადდეს ღრუ რკინაბეტონისა და ბეტონის ელემენტები ყოველგვარი მოხაზულობისა, რომლებმაც შეიძლება ფართო გამოყენება პოვონ მშენებლობის სხვადასხვა დარგებში.

წამოყენებული მეთოდის ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ყოველგვარი სიღრუის ფორმირებისათვის არა ჩვეულებრივი ორგანოების, არამედ დატენიანებული გაყინული მასალებისაგან როგორიცაა სილა, წვრილი ხრეში, გრუნტი და ა. შ. დამზადებული გულების გამოყენება.

ახალი ტექნოლოგიის დანერგვის შემოწმების მიზნით „საქვიდროენერგომშენის“ მიერ ინსტიტუტის ხელმძღვანელობით დამზადებულ იქნა ორი ღრუ ელემენტი.

1-ლ ნახაზზე მოცემული ელემენტი წარმოადგენს სართულთშორისო გადახურვის ღრუ შეკრულ პანელს სამი დიაფრაგმით. ამგვარი პანელები შეიძლება დამზადდეს ოთახის ზომისა და ერთდროულად წარმოადგენდეს გადახურვის იატაკსა და ჭერს.



ნახ. 1

მეორე ნახაზზე მოცემულია ღრუ რკინაბეტონის ელემენტი, რომელიც სართულთშორისო გადახურვის მოდელს წარმოადგენს შინაგანი წიბოებით, რომლებიც დანიშნულია მისი მუშა ზედაპირის გასაძლიერებლად (ინუინერ ჟ. ი. კომპანიონის კონსტრუქცია).

მოყვანილი ტექნოლოგია პირველად ქმნის შესაძლებლობას — დამზადდეს ისეთი ელემენტები, როგორიცაა, მაგალითად, სხვადასხვა დანიშნულების ღრუ კოჭები და ფილები, ტიუბინგები გვირაბებისათვის, ღრუ ხიმინჯები და ა. შ.

იმ შემთხვევებში, როცა ელემენტს მოეთხოვება მისი წონის შენარჩუნება, რასაც ადგილი აქვს უმთავრესად ჰიდროტექნიკურ მშენებლობაში, გაყინული გულას მასალა კი არ გაძევდება, არამედ სამუდამოდ რჩება ელემენტში.

გარდა ამისა, ამიერკავკასიის ერთ-ერთ დიდ მშენებლობაზე დასანერგავად მიღებულია ასაწყობ-მონოლითური კონსტრუქცია ჰიდროტექნიკური გვირაბების წინასწარდაბული რკინაბეტონით მოპირკეთებისა. ეს ჰიდროტექნიკური გვირაბები ფარის წესით შენდება (კონსტრუქციის ავტორია — ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ტოკაჩიროვი).

ამ წინადადების არსი იმაში მდგომარეობს, რომ ბლოკები, ტიუბინგები ან ფილა-გარსები, რომლებიც ფარის დაცვით ან უშუალოდ სამთო გამონამუშევარში (ფარით დაუცველად) იკრიბება, გარეგანი კონტურით აღჭურვილია რგოლებრივი არმატურით, რომელსაც დასჭიმვენ დაჭიმვების აუცილებელ სიდიდემდე, რის შემდეგ გვირაბის მოპირკეთების ასეთი წინასწარ დაძაბული კონსტრუქცია განიცდის გამონოლითების პროცესს, რისთვისაც მოპირკეთების იქით ხდება დაწნეხვა ცემენტ-სილის ხსნარით, შემდეგ კი ნაკერები იკვრება გაფართოებადი ცემენტით.


ამგვარად მიღებულ წინასწარ დაძაბული მოპირკეთების კონსტრუქციას გააჩნია დიდი სიმტკიცე და იგი წყლის დიდ შინაგან წნევას უძლებს. ამგვარი კონსტრუქციის გამოყენება დიდ საწარმოო და ეკონომიურ ეფექტს იძლევა.

დიდი პერსპექტივები აქვს ასაწყობ რკინაბეტონიან, ჩარჩოიან, მრავალსართულიან და მრავალმალიან კარგასებს, რომლებსაც ამჟამად ინსტიტუტი ამუშავებს.

გადაწყვეტის ძირითადი თავისებურება მდგომარეობს უარის თქმაში კონსტრუქციის საპირაპირო ელემენტების სამონტაჟო შედუღებაზე.

ამ მიზნით პირაპირის ბუდეები ივსება გასამო-

ნოლითებელი ხსნარებით. ამ დროს ბუდეების სიმქისე ძლიერდება სპეციალური საარმატურო ღეროების — „არმატურის ჯაგრისების“ ჩაწყობით.



ნახ. 3

მე-3 ნახაზზე ნაჩვენებია რკინაბეტონის ჩარჩოიანი კონსტრუქციის კვანძის მონტაჟის სქემა. გამონოლითება წარმოებს საპირაპირო სივრცის გაფართოებადი ცემენტის ხსნარით ამოვსებით.


ეს წინადადება მეტად ნაყოფიერია და გაფართოებადი ცემენტის გამოყენებისას დადებითი შედევებია მოსალოდნელი.

ინსტიტუტში წარმოებს გაჭიმვაზე მომუშავე ელემენტების დგარების და ჩარჩოიანი კონსტრუქციების კვანძების გამოცდა იმ მიზნით, რომ განისაზღვროს ამტანუნარიანობა და ასაწყობი კონსტრუქციების სიმტკიცე (ახალი მეთოდით), რათა მოხერხდეს სამშენებლო პრაქტიკაში მათი გამოყენების შეფასება.

სკუპ და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებამ დიდი გამოხმაურება პოვა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტშიაც. ვინაიდან ანაკრები და მსხვილ-პანელიანი კონსტრუქციული ელემენტების უცვლელი სახით გადატანა სეისმურ რაიონებში, როგორიცაა საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილი, დაუშვებელია, ბუნებრივად დაისვა საკითხი ასეთი კონსტრუქციების სეისმომდგრადობის შესწავლის შესახებ. აღნიშნული საკითხი დამუშავდება სამშენებლო საქმის ინსტიტუტშიაც.

გარდა ამისა, ვინაიდან ანაკრები კონსტრუქციები მოითხოვს მაღალი სიმტკიცის ბეტონების გამოყენებას, ინსტიტუტში წამოიჭრა ადგილობრივ შემავსებლებზე მაღალი სიმტკიცის ბეტონების მიღების საკითხი. ინსტიტუტის მეცნიერი კორესპონდენტების მიერ ამჟამად უკვე დანერგილია ანაკრები კონსტრუქციების რამდენიმე სახეობა.

17 ოქტომბერს თბილისში გაიხსნა სამშენებლო გამოფენა, სადაც ნაჩვენებია თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის ინსტიტუტის აღნიშნული კონსტრუქციები, აგრეთვე ელემენტები ასაწყობი



რიგის კომბინატში „ბტროიდეტალ“, რომელიც რკინაბეტონის დეტალებს უშვებს საბინაო და სამრეწველო მშენებლობისათვის, მთავრდება მექანიზებული სამქროს მშენებლობა. იგი 8000-ზე მეტი კუბურ მეტრ რკინაბეტონის კონსტრუქციას გამოუშვებს წლიურად. სურათზე — რკინაბეტონის კონსტრუქციების ახალი სამქროს მშენებლობა

რკინაბეტონისა, რომლებსაც ამზადებენ საქართველოს სამშენებლო ორგანიზაციები — „საქპიდროენერგომშენი“, „საქმშენი“, „თბილმშენი“, ამიერკავკასიის მეტალურგმშენი და სხვ.

უნდა აღინიშნოს საქართველოში ასაწყობი რკინაბეტონისაგან დამზადებული ნაკეთობის წარმოების სრული არასაკმაობა. სათანადო ქარხნების უქონლობა საშუალებას არ აძლევს აღნიშნულ ორგანიზაციებს ფართოდ დანერგონ რკინაბეტონი სამშენებლო საქმეში. ამიტომ გადაუდებელ ამოცანად უნდა ჩაითვალოს მოკლე დროში დამთავრდეს მსხვილი სპეციალიზებული ქარხნის მშენებლობა ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა წარმოებისათვის, რაც დაწყებულია ღრმა-ღელეში.

ქარხანა გამოუშვებს ასაწყობ ელემენტებს და სართულშორისო გადახურვების დეტალებს, საფეხურებს, კიბეების ბარშებს, სვეტებს, რიგელებს, სახურავის გადახურვების ფილებს, აგრეთვე ძგიდების ბლოკებს მსხვილპანელიანი მშენებლობისათვის.

საჭიროა აგრეთვე სამშენებლო მოედნებზე გათვალისწინებულ იქნეს პოლიგონის მოედნების მოწყობა ასაწყობი რკინაბეტონის ნაკეთობათა დასამზადებლად.

ყველა ზემოაღნიშნული ღონისძიებები მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენენ ხე-ტყის მასალისა და ლითონის ეკონომიკში და საქართველოში მშენებლობის დაჩქარებასა და ხარისხის გაუმჯობესებაში.

საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ცემენტის რკინა-ბეტონის კონსტრუქციების, დეტალების. ყველა ნაწარმისა და მასალების წარმოება! გამოუშვით მეტი მაღალი ხარისხის საშენი მასალები ჩვენი სამშობლოს მშენებლობებისათვის!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან

გერმანიული ხან ქავებასის ტერიტორიაზე

1921 მარტი

გეოგრაფიის მეცნიერებათა დოკუმენტი

ჯერ კიდევ XIX საუკუნის პირველ ნახევარში ალპების მკვლევართა მიერ შემჩნეულ იქნა, რომ ამ მთიანეთის ყინვარები ოდესლაც მეტ სიღიდეს აღწევდნენ და რომ თანამედროვე ყინულსაბურველით შემოსილი მასივების კალთებზე თითქმის ყველგან დარჩენილია უფრო მძლავრი ძველი გამყინვარების ნიშნები.

ცოტა უფრო მოგვიანებით ანალოგიური მოვლენა — მძლავრი გამყინვარების კვალი — დადგენილ იქნა ჩრდილო ევროპის ვაკეზეც. შემუშავებულ იქნა მოძღვრება ყინულოვანი პერიოდის შესახებ, რაშიც უდიდესი როლი შეასრულა რუსი მეცნიერის პ. კროპოტკინის თხზულებამ. ცნობილი ინგლისელი გეოლოგი ჩ. ლაიელი ფიქრობდა, რომ „დიდ გამყინვარებას“ ადგილი ჰქონდა მესამეული პერიოდის დასასრულში და მეოთხეულის დასაწყისში. ალპებისა და ჩრდილო ევროპის შემდეგ ძველი გამყინვარების კვლები აღმოჩენილ იქნა მთელ რიგ სხვა ქვეყნებშიც, მაგალითად, ჩრდილო ამერიკაში, პირინეის ქედზე, კავკასიონზე, კარპატებში, ურალზე, გრენლანდიაში და სხვ.

კავკასიაში ძველი გამყინვარების ნიშნები პირველად დადგენილ იქნა გეოლოგ პერმან აბიხის მიერ XIX საუკუნის 60-იან წლებში. როგორც აბიხი, ისე შემდგომი დროის მკვლევართა უმრავლესობა კავკასიის ძველი გამყინვარების შესწავლისას ხელმძღვანელობდნენ. ალპებში გამომუშავებული მეთოდებით და სქემებით. აბიხის შემდეგ კავკასიონის ძველ გამყინვარებას ეხებოდნენ: ე. ფავრი, ი. მუშკეტოვი, ა. კრასნოვი, ვ. ვებერი, ნ. ლინნიკი, გ. რადე, ნ. ანდრუსოვი, მ. ლეში და სხვ. XX საუკლასაწყისში პალეოგლაციოლოგიურმა კვლევამ გადახალისება განიცადა ა. პენკისა და ე. ბრიკერის 1909 წ. გამოქვეყნებულ თხზულებაში გამოაქვეული ახალი იდეების ზეგავლენით. ნაცვლად ერთიანი ყინულოვანი პერიოდისა, წამოყენებულ იქნა დებულება გამყინვარების ეპოქებისა და გამყინვარებათაშორისი ეპოქების მორიგეობის შესახებ მეოთხეულში. ამ ახალი იდეების პირველ და ყველაზე ენერგიულ გადმომნერგველად კავკასიაში მოგვევლინა ა. ლ. რეინკარდი—ლენინგრადელი მეცნიერი, რომელიც 30 წელზე მეტი წელის განმავლობაში აწარ-

მოებდა კავკასიის ძველი გამყინვარების საკითხების კვლევას. გარდა რეინკარდისა, პენკ-ბრიკერის პოლიგლაციალისტური ჰიპოთეზის მომხრეებად კავკასიაში გვევლინებიან ვ. რენგარტენი, კ. პაფენ-ჰოლცი, ა. მოსკვიტინი, ლ. ვარდანიანცი, ა. გერასიმოვი, ლ. დისტელი და სხვ.

თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში ფართოდაა გავრცელებული შეხედულება კავკასიის ძველი გამყინვარების მრავალჯერადობასა და დიდ სიმძლავრეზე. ამ შეხედულების თანახმად, რომელსაც განსაკუთრებით ა. რეინკარდი იცავდა, კავკასიის მთებმა მეოთხეული პერიოდის განმავლობაში 3—4-ჯერ განიცადეს გამყინვარება. გამყინვარების ეპოქებში მუდმივი თოვლის საზღვარი, როგორც ა. რეინკარდი და რიგი სხვა მკვლევარები ამტკიცებენ, ახლანდელთან შედარებით 1 100—1 300 მეტრით დაბლა მდებარეობდა, ხოლო გამყინვარებათა შორის ეპოქებში იგი თანამედროვე ან მეტ სიმაღლეზეც აღიოდა. კავკასიონის ძველი ყინულები, მათივე წარმოდგენით, უზარმაზარ სიღრდეს აღწევდნენ, — ყუბანისა და თერგის ხეობებში ჩაწოლილი ყინვარები ჩრდილო კავკასიის ვაკეზე გადიოდნენ; მდ. კოდორის აუზში ყინვარები ჩამოდიოდნენ წებელდამდე, ე. ი. 350—400 მ სიმაღლემდე (ზღვის დონიდან), ხოლო ენგურის ხეობის ყინვარი ხაიშამდე აღწევდა (500 მ). კავკასიის მეოთხეულის მკვლევართა ეს შეხედულება ძველი გამყინვარების სიმძლავრეზე მიღებულია მეცნიერთა უმრავლესობის მიერ. სხვადასხვა დარგებში მომუშავე მკვლევარები — გეოლოგები, გეომორფოლოგები, ნიადაგმცოდნები, ბოტანიკოსები, ზოოლოგები, არქეოლოგები და სხვები თავიანთი მუშაობის პროცესში სწორედ აღნიშნული შეხედულებით სარგებლობენ.

საჭიროა აღინიშნოს, რომ კავკასიის მეოთხეული ისტორიის სქემა, მოცემული ზემოჩამოთვლილი ავტორების მიერ, გამართლებულად ვერ ჩაითვლება. ღებულობდნენ რა ხელმძღვანელ პრინციპებად ალპური პალეოგლაციოლოგიური სკოლის მიერ წამოყენებულ ღებულებებს, კავკასიის მკვლევარები საკმარისად არ უწევდნენ ანგარიშს აღგილობრივ ფაქტობრივ მასალას და ცდილობდნენ ეს

უკანასკნელი პენტ-ბრიკნერის სქემისათვის შე-
უფარდებინათ. კავკასიის გეოლოგიური და გეო-
მორფოლოგიური აღნაგობის ობიექტური შეს-
წავლა პალეონტოლოგიურ და ბიოგეოგრაფი-
ულ ფაქტებთან ერთად, როგორც ქვემოთ
დავინახავთ, გვიჩვენებს, რომ კავკასიაში მეოთხეულ
პერიოდში, ალპებთან შედარებით, სუსტი გამყინ-
ვარება განიცადა და რომ სწორედ ამ გარემოებით
უნდა აიხსნას კავკასიის თანამედროვე ბუნების რი-
გი თავისებურებანი.

განვიხილოთ კავკასიის ძველი გამყინვარების
სიმძლავრის პრობლემა რამდენიმე, ჩვენთვის შედა-
რებით კარგად ცნობილი რაიონის გეოლოგიურა და
გეომორფოლოგიური ავებულების მაგალიზე.

მდ. კოდორის აუზში ა. რეინჰარდმა აღწერა
„მორენა“ სოფ. წებელდასთან, ზღვის დონიდან
350—400 მ სიმაღლეზე. ამ „მორენას“ რეინჰარდი
თავდაპირველად კოდორის ხეობის ძველ ყინვარს
მიაკუთვნებდა, ხოლო უფრო მოგვიანებით იგი
წებელდას მორენის შემქმნელად სთვლიდა მდ. ამ-
ტყელის ხეობის ყინვარს და კოდორის ხეობის ყინ-
ვარის ბოლოს მდ. ჩხალთის შესართავთან (ზღვის
დონიდან 500 მ სიმაღლეზე) ათავსებდა. ადგილზე
ჩატარებული სპეციალური გამოკვლევის შედეგად
გამოიჩვა, რომ წებელდის მიდამოებში არავითარი
მორენა არ არსებობს, და რომ რეინჰარდმა მდინა-
რების მიერ დალექილი მასალა ჩათვალა მორენად.
მდ. ჩხალთის ხეობაში ყინვარული მოქმედების ნიშ-
ნები არ ჩამოდის 1 500 მეტრზე დაბლა, ხოლო
ჩხალთის ქედის ძველი ყინვარული ცირკების ფსკე-
რი მდებარეობს ზღვის დონიდან 2 000—2 200 მ სი-
მაღლეზე. არავითარი საბუთი არ არსებობს იმის
დასაშვებად, თითქოს მეოთხეულ პერიოდში მუდ-
მივი თოვლის საზღვარი კოდორის აუზში ახლან-
დელთან შედარებით 1 000 მეტრზე მეტით დაბლა
იყო. თოვლის ხაზის დეპრესიის სიღიდე ამ რაიონ-
ში, ჰეფერის მეთოდის საფუძველზე შესრულებუ-
ლი გამოანგარიშების თანახმად, არ აღემატებოდა
500—700 მეტრს.

ერთ-ერთ ძირითად რაიონს, სადაც მკვლევარე-
ბი უთითებენ მძლავრი გამყინვარების კვლებს,
თერგის აუზი წარმოადგენს. აღსანიშნავია, რომ
სწორედ აქ დაირწა კავკასიის პალეოგლაციოლოგი-
ური კვლევის აკვანი, — XIX საუკუნის 60-იან
წლებში აბიხმა თერგის ზემოწელში ჩატარებული
დაკვირვებების საფუძველზე აღიარა კავკასიონის
კალთებზე მძლავრი ძველი გამყინვარების ნიშნების
არსებობა. შემდეგში ამ რაიონის პალეოგლაციო-
ლოგიურ შესწავლას აწარმოებდნენ ა. რეინჰარდი,
ვ. რენგარტენი, ვ. ორლოვსკი და სხვ. ჩამოთვლილი
ავტორების საერთო თვალსაზრისი მდგომარეობს
თერგის ღიღი ყინვარის არსებობის აღიარებაში. ეს
უზარმაზარი დატოტვილი ყინვარი მთლიანად ავ-
სებდა თერგის ხეობას. მაღალმთიანი ზოლის ფარ-
გლებში და ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით

ქ. ორჯონივიძიდან 7 კმ მანძილზე მდებარე პუნქ-
ტამდე („რედანტის კონცხამდე“) აღწევდა, ხოლო
სხვა მკვლევარების აზრით, იგი ოსეთის ვაკეზეც
გაღიოდა და აქ, ალასკის თანამედროვე ყინვარების
მსგავსად, მთათაწინა გამყინვარებას ქმნიდა. თერ-
გის ღიღი ყინვარის არსებობას ასაბუთებენ იმ გა-
რემოებით, რომ თერგის მთელი ზემოწელის კალა-
პოტსა და თერგის ძველ ნალექებში ნაპოვნია უზარ-
მაზარი ლოდები, რომელთა გადაზიდვას ყინვარე-
ბის მოქმედებას მიაწერენ.

თერგის აუზის გეოლოგიური და გეომორფო-
ლოგიური შესწავლა გვიჩვენებს, რომ თერგის ძვე-
ლი ღიღი ყინვარის არსებობის დამადასტურებელი
ფაქტები აქ არ მოიპოვება. არსად 1 500—2 000
მეტრზე დაბლა, თერგისა და მის შენაკადთა ხეო-
ბებში მორენული მასალა არ არსებობს. ლოდების
გაღატანა ღიღი მანძილებზე აღვილად აიხსნება თვით
მდ. თერგის მოქმედებით. ცნობილია, რომ თერგს
როგორც მაღალმთიანი ზოლის ფარგლებში, ისე
ოსეთის ვაკეზე გასვლის შემდეგაც (მაგალითად,
ქ. ორჯონივიძესთან) ღიღი სიჩქარე ახასიათებს.
ყინვართა ჩამონანგრევებისა და ვულკანური ლავე-
ბის მიერ თერგის შეგუბების შედეგად გაჩენილი
ტბების საგუბრის გაგლეჯისას, რასაც ხშირად ჰქო-
ნია აღგილი, მდინარის სიჩქარე მნიშვნელოვნად
იზრდებოდა (ცნობილია, რომ მდინარის მიერ მასა-
ლის გადადგილების უნარი მატულობს სიჩქარის
ზრდის მერვე ხარისხის პროპორციულად). აქედან
ნათელი ხდება, რომ ლოდების გადატანა წყალსაც
თავისუფლად შეეძლო*. აბიხის მიერ აღწერილი
„ყინვარული ნაფხაჭნები“ დარიალის ხეობაში სი-
ნამდვილეში წარმოადგენს ტექტონიკური სხლე-
ტის კვალს სასრიალო ზედაპირზე. ძველი გამყინ-
ვარების რეალური კვლები თერგის აუზში (მაგა-
ლითად, სუათისის, ხდის, ჭუთის ხეობებში) მიგვი-
თოთებენ ძველი თოვლის საზღვრის დაწევაზე მხო-
ლოდ 600—700 მეტრით და არ ეთანხმებიან წარ-
მოდგენას „თერგის ღიღი ყინვარზე“. თერგისა და
მისი შემდინარეების ხეობებში ძველად არსებული
ყინვარების სიგრძე არ აღემატებოდა 10—15 კი-
ლომეტრს.

ანალოგიური მდგომარეობაა კავკასიონის სხვა
ნაწილებშიც. მაგალითისათვის შეიძლება ავილოთ
მდ. ასისა და ხევსურეთის არაგვის ხეობები. ვ. რენგარტენი, რომელმაც ასას ხეობის მეოთხეულ
წარსულს განსაკუთრებული ნაშრომი მიუძღვნა,
აქაური ძველი ყინვარის ბოლოს ვიურმული ანუ
უკანასკნელი გამყინვარების დროს ათავსებს ქის-
ტების სოფელ პუის ზემოთ 21/2 კმ მანძილზე,
ზღვის დონიდან 1 170 მ სიმაღლეზე. ჩვენი დაკვირ-
ვებით, ასას აუზის ძველი ყინვარები არსად აღწევ-
დნენ 2 000 მ სიმაღლეს. (მაგალითად, არხოტის-
წყლის ხეობის ყინვარი თავდებოდა ჭიმლის-კლდის

* ამ გარემოებას აღნიშნავდა უკვე ჰ. აბიხიც, როდესაც
ეხებოდა დევლარაკის ყინვარის კატასტროფულ მოქმედებას.

ბოლოსთან, ხოლო ახიელის-შეყვარისა ვერ აღწევდა
ასამდე); მათი სიგრძე არ აღემატებოდა 10 კილო-
მეტრს. ხევსურეთის არაგვის სათავეებში ყველაზე
დაბლა ჩამოდიოდა აბულელაურის ყინვარი, რომე-
ლიც ზღვის დონიდან 1850—1900 მ სიმაღლეზე
თავდებოდა. ძველი თოვლის საზღვრის დეპრესია
ორივე აოწერილ რაიონში არ აღემატებოდა 700—
800 მეტრს.

თუ განვიხილავთ სამხრეთ საქართველოს ვულ-
კანურ ზეგანს (ჯავახეთს და ქვემო ქართლის მა-
ღალ ნაწილს), საღაც, როგორც გამორკვეულია საბ-
ჭოთა მკვლევარების მიერ, აგრეთვე ადგილი ჰქონ-
და ძველ ჯამყინვარებას, აქაც ვერ გნახავთ წარსუ-
ლი ეპოქების თოვლის ხაზის 1 000 მეტრით და მე-
ტით დაწევის დამადასტურებელ საბუთებს. პ. უელ-
ტოვის, ა. გრენისა და ზოგიერთი სხვა მკვლევარის
აზრი, რომ მეოთხეულ ყინვარებს აქ უზარმაზარი
სივრცე ეკავათ და რომ თვით წალკის ქვაბულიც კი,
რომელიც ზღვის დონიდან სულ 1 500—1 600 მეტ-
რის სიმაღლეზეა, ყინულით იყო ამოვსებული, არ
ემყარება საიმედო საბუთებს. კერძოდ, ობსიდიანის
(ვულკანური მინის) ნატეხების ფართო გავრცელე-
ბა. წალკასა და სამხრეთ საქართველოს სხვა ნაწი-
ლებში, რაც ზემოაღნიშნულ მკვლევარებს მძლავრი
გამყინვარების საბუთად მიაჩნიათ, სინამდვილეში
დაკავშირებულია აღამიანის საქმიანობასთან (ობსი-
დიანის ნატეხები წარმოადგენენ პირველყოფილი
საზოგადოების იარაღებს და საიარაღე დანამზა-
დებს). გამყინვარების უტყუარი ნიშნები სამხრეთ
საქართველოს მხოლოდ იმ მასივებზე გვაქვს, რო-
მელთა აბსოლუტური სიმაღლე 2 800 მეტრს აღ-
მატება. ასეთებია მთები აბული, სამსარი, ყარადა-
ლი და სხვ.

ამგვარად, გეოლოგიური და გეომორფოლოგი-
ური საბუთების მიხედვით როგორც კავკასიონის
მთიანეთში, ისე სამხრეთ საქართველოშიც შეიძლე-
ბა დადგენილ იქნეს მეოთხეულ პერიოდში თოვლის
ხაზის დაწევა, მის თანამედროვე მდებარეობასთან
შედარებით, მხოლოდ 600—700 მეტრით.

რამდენადც საღოეისოდ ცნობილია, არც პა-
ლეონტოლოგიური მასალები ემხრობიან კავკასიის
ძველი გამყინვარების დიდი სიმძლავრის ვერსიას.
კავკასიაში არსად არის საიმედო მითითებული ნა-
მარხი ფლორის ან ფაუნის ისეთი ნაშთები, რომ-
ლებიც საშუალებას მოგვცემდნენ დაგვედგინა თოვ-
ლის საზღვრის დაწევა წარსულში 1 000 მეტრზე
მეტით. იმერეთში მდებარე გვარჯილას-კლდის
მღვიმეში განათხარი პალეოლიტური ნადგომის ფა-
უნა, რომელიც ზოგიერთ მკვლევარს ლანდშაფტუ-
რი სარტყელების: მნიშვნელოვანი დაწევის საბუ-
თად მიაჩნია (ნადგომში აღმოჩენილია ჭიხვის, არჩ-
ვისა და პრომეთეუსის თაგვის ნაშთებიც), სინამ-
დვილეში უნდა მოწმობდეს ამჟამად ალპურ და
ნივალურ სარტყელებში შენიშნული ცხოველების

დიდ ვერტიკალურ გავრცელებას ქვის ხანაში, აღა-
მიანის ბუნებაზე სუსტი ზეგავლენის პირობებში, და
არა კლიმატური ცვლილებებით გამოწვეულ გადა-
ადგილებებს. პალეოგეოგრაფიული კვლევის ისეთი
პერსპექტივიანი მეთოდი, როგორიცაა მცენარეუ-
ლი მტვრის მიკროსკოპული ანალიზი, კავკასიის პი-
რობებში ჯერ კიდევ არ არის სათანადოდ გამოყენე-
ბული.

მცენარეული და ცხოველური ორგანიზმების
თანამედროვე განაწილება კავკასიის ტერიტორიაზე
ეწინააღმდეგება წარმოდგენის მძლავრ მეოთხეულ.
გამყინვარებებზე იმ მასშტაბებით, რომლებითაც
ისინი ალპური იდეების მიმდევართ აქვთ წარმოდ-
გენილი. ცნობილია, რომ კავკასია, კერძოდ კი, კოლ-
ხეთისა და თალიშის მხარეები წარმოადგენენ სით-
ბომოყვარული მესამეული ფლორის თავშესაფ-
რებს, — აქ შემორჩენილია ისეთი მცენარეები,
რომლებიც მესამეულ პერიოდში, თბილი ჰავის პი-
რობებში, ფართოდ იყო გავრცელებული და შემ-
დეგ, მეოთხეული დროის მკაცრ კლიმატურ პირო-
ბებში, მეტწილად განადგურდა. საყურადღებოა,
რომ რიგი სითბომოყვარული მცენარეებისა იზრ-
დება მხოლოდ დაბალ ჰიდრომეტრიულ სარტყე-
ლებში და არ აღის ზღვის დონიდან 500—800 მეტ-
რზე მაღლა (კოლხეთის ფლორისტულ პროვინცია-
ში ამგვარ მცენარეებად გვევლინება წაბლი, ბზა,
ბიჭვინთის ფიჭვი, დაფნა, ხემარწყვა და სხვ.). თუ
დავუშვებთ, რომ მეოთხეული პერიოდის დიდი გა-
მყინვარების დროს ნივალური სარტყელის ქვე-
და ზღვარი ახლანდელთან შედარებით 1 100—1 300
მეტრით დაბლა იყო დაწევული, მაშინ გაუგებარი
იქნება ზემოაღნიშნული სითბომოყვარული მცენა-
რეების შემონახვის მიზეზები კოლხეთში, — სად
უნდა გაეტარებინათ მათ გამყინვარების ხანა, თუკი
მათი თანამედროვე გავრცელების ზონაში მკაცრი
ჰავა იყო გამეფებული?


აღწერილ წინააღმდეგობას კოლხეთის მცენა-
რეულობის თანამედროვე ხასიათსა და მეოთხეული
გამყინვარების დიდი სიმძლავრის ვერსიას შორის
გეობოტანიკოსები სხვადასხვანაირად უვლიან
გვერდს. ა. ფლეროვი ფიქრობს, რომ გამყინვარე-
ბებმა გაანადგურეს კოლხეთის სითბომოყვარული
ფლორა და მხოლოდ გამყინვარების შემდგომ ხანა-
ში მისი წარმომადგენლები ხელახლა შემოსახლდ-
ნენ უფრო სამხრეთით მდებარე თავშესაფრებიდან.
ვ. მალევის აზრით, ქვედა ლანდშაფტურმა სარ-
ტყელებშა უმნიშვნელო დაწევა განიკადეს, რის
მეოხებითაც შესაძლებელი იყო სითბომოყვარული
მცენარეების მიერ გამყინვარების ეპოქის მკაცრი
კლიმატური პირობების გადატანა. „კოლხეთის
ტყის მცენარეულობის ფორმაციებისა და ტიპების
მთელი ის მრავალფეროვნება, რომელსაც ამჟამად
ვერტიკალური მიმართულებით 1 800—2 000 მეტ-
რის სივრცე უკავია, — წერს ვ. მალევი, — გაშინ

თავმოყრილი იყო ორ-სამჯერ ნაკლებ მანძილზე — ვერტიკალურად 600—700 და 1 000 მეტრის ფარგლებში". როგორც ა. ფლეროვის, ისე ვ. მალევის შეხედულება ძნელი მისაღებია, რამდენადაც ა) კოლხეთის ფლორის ენდემური ელემენტების არსებობა გაუგებარია ამ ფლორის გამყინვარების-შემდგომი შემოსახლების პირობებში და ბ) მცენა, რეულობის ვერტიკალური სარტყელების ისეთი შემჭიდროება, როგორსაც ვ. მალევი გამყინვარების ეპოქებისათვის გულისხმობს, წარმოუდგენელია ეკოლოგიური თვალსაზრისით.

თუ მხედველობაში მივიღებთ ყოველივე ზემოთქმულს, ჩვენ მივალთ დასკვნამდე, რომ მეოთხეული გამყინვარების ხანა კავკასიაში არ განიჩეოდა ისეთი მკაფრი კლიმატური რეჟიმით, როგორც ეს წარმოდგენილი აქვთ ალპიური სკოლის კავკასიელ მიმღევებს. მუდმივი თოვლის საზღვარი კავკასიონისა და ანტი-

კავკასიონის კალთებზე ახლანდელთან შედარებით სულ 600—700 მეტრით იყო დაწეული. მთავარ ყინვართა ბოლოები დასავლეთ კავკასიონში ზღვის დონიდან 1 200—1 500 მ სიმაღლემდე ჩამოდიოდა, ხოლო აღმოსავლეთ კავკასიონში — 1 500—2 000 მეტრამდე. ყინვართა სიგრძე არ აღემატებოდა 40—50 კმ. თოვლის ხაზის სიმაღლე დასავლეთ კავკასიონზე ეთანასწორებოდა 2 000—2 200 მეტრს, აღმოსავლეთ კავკასიონზე კი — 2 600—3 000 მეტრს. ამ მოვლენის ასახსნელად საკმარისია ტეპერატურის დაწევა 2—3°-ით, გაზრდილი ოკეანურობის პირობებში. ტყის ზედა საზღვარი 400—500 მეტრით დაწეული უნდა ყოფილიყო, ხოლო აღპური სარტყელის ვერტიკალური სიგანე თანამედროვესთან შედარებით — შემცირებული, რაც შეესაბამება ჰავის მეტ ოკეანურობას. ამ პირობებში კავკასიის რელიეტური ფლორის შემონახვა ბუნებრივი და აღვილი გასაგებია. გამყინვარება არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც კატასტროფა.

შენაწევრებული ორთქლმავალი



ხარჯვის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივმა ამ რამდენიმე ხნის წინათ დაამთავრა დამზადება ახალი ტიპის ორთქლმავლებისა, რომლებიც წყვილ-წყვილად — შენაწევრებულად იმუშავებენ. ახალი ლოკომოტივების გამოცდამ ნათელყო, რომ საბჭოთა თბომავალმშენებლებმა ახალ შესანიშნავ წარმატებას მიაღწიეს.

ქარხნის მთავარმა კონსტრუქტორმა სტალინური პრემიის ლაურეატმა ამხ. კირნარსკიმ „გუდოვის“ კორესპონდენტს აცნობა:

— ჩვენი საწარმოს კოლექტივმა გამოუშვა ორი საცდელი თბომავალი TE-3, ორი ათასი ცხენის ძალის სიმძლავრისა თითოეული. უკანასკნელ ღრმოდე ორივე მანქანას ცალკალკე ცდილობენ. აგვისტოს დამლევს განხორციელებული იყო საცდელი გარბენა ერთი დიდწონიანი შემაღენლობით.

შენაწევრებული სახით ახალი ლოკომოტივი 4 ათასამდე ცხენის ძალას ავითარებს. ორივე სექტემბერის სინქრონულად მოქ-

მედებს. მათი მართვა, ე. ი. ორივე ძალური დანადგარის, ვენტილატორული მოწყობილობის, კომპრესორებისა და სხვა მექანიზმების ამუშავება, აგრეთვე კონტროლი საზომ ხელსაწყოებზე, რომლებიც ზეთის, წყლისა და ჰაერის ტემპერატურასა და წნევას უჩვენებენ, ხორციელდება წინა სექტემბერისას და მემანქანის საგუშავოდან. თბომავალ TE-3-ს წონა რაც ერთ ცხენის ძალაზე მოდის, 65 კილოგრამამდე შეაღენს (სერიული ლოკომოტივის TE-2-ის ანალოგიური მაჩვენებელი შეაღენს 85 კილოგრამს).

უკანასკნელი გამოცდის ღროს შენაწევრებულმა თბომავალმა გაატარა 4 050-ტონიანი შემაღენლობა. გამოცდაში უჩვენა ახალი ლოკომოტივის კარგი წევითი და საექსპლოატაციო თვისებები.

თავისი წევითი თვისებებით იგი სჭარბობს სსრ კავშირში არსებულ თბომავლებსა და ორთქლმავლებს.

მართლის გამოქაიდი

საქართველო

(„სახეობათა წარმოშობის“ პირველად გამოსვლის 95 წლისთავის შესრულების გამო)

დავით ჯონაძე

ბიოლოგის მეცნიერებათა კანდიდატი

95 წლის წინათ, 1859 წლის 24 ნოემბერს, პირველად გამოვიდა გენიალური ბუნებისმეტყველის ჩარლზ დარვინის სახელგანთქმული წიგნი „სახეობათა წარმოშობა“, რომელმაც უდიდესი გადატრიალება მოახდინა მეცნიერებაში. ეს ის ნაწარმოებია, რომელიც, დარვინის თანამედროვე ინგლისელი მეცნიერის გრანტ-ალენის თქმით, იყო „...ყუმბარა, რომელიც დარვინმა შეისროლა თავისი მშვიდი სოფლური საცხოვრებლიდან* თელეოლოგიური ბანაკის შუაგულში“..

ამ წიგნმა, რომელშიც უდიდესი სიცხადითა და დამაჯერებლობითაა ჩამოყალიბებული ორგანული სამყაროს ისტორიული განვითარების თეორია, თითქმის გამოსვლისთანავე მიიქცია დიალექტიკური მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლების — კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყურადღება. უკვე 1859 წლის 12 დეკემბერს ენგელი წერდა მარქსს: „საერთოდ ...დარვინი, რომელსაც მე სწორედ ახლა ვკითხულობ, შესანიშნავია,** ხოლო 1861 წელს კ. მარქსი წერდა ლასალს: „ძალიან მნიშვნელოვანია დარვინის ნაშრომი (იგულისხმება „სახეობათა წარმოშობა“), იგი ჩემთვის გამოსადეგია როგორც ისტორიული კლასთა ბრძოლის საბუნებისმეტყველო მეცნიერული საფუძველი“***.

ცნობილია, თუ რა დიდ შეფასებას აძლევდნენ დარვინის თეორიას ვ. ი. ლენინი და ი. ბ. სტალინი.

როგორც ვიცით, დარვინიზმი რუსეთში ათვისებულ იქნა ყველაზე უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა, რომელიმე ქვეყანაში. ეს იმით აიხსნება, რომ რუსული პროგრესული საზოგადოებრივი აზრი საამისოდ შესანიშნავად იყო მომზადებული დიდი რუსი განმანათლებლების — რევოლუციური-დემოკრატების ბელინკის, ჩერნიშევსკის, პისარევის, გერცენის, დობროლუბოვის მიერ. დარვინიზმის პოპულარიზაციას განსაკუთრებით ხელი შეუწყო დიდმა რუსმა მეცნიერმა კ. ა. ტიმირიაზევმა თავისი ბრწყინვალე საჭარო ლექციებით, სტატიებით, მრავალრიცხოვანა მეცნიერული შრომებით.

* 1842 წლიდან დარვინი ცხოვრობდა ლონდონის მახლობელ სოფელ დაუნში. აქ შექმნა მან თავისი „ტრაქტატი ბუნებაზე“ და თითქმის ყველა მეცნიერული შრომა.

** კ. მარქს და ფ. ენგელსი, რჩ. წერილები, გვ. 125.

ბუნებრივია, რომ კულტურისა და განათლებისმოყვარული ქართველი ხალხი უყურადღებოდ და გულგრილად ვერ შეხვდებოდა დარვინის მოძღვრებას. მაგრამ ამ მხრივ პირველი გამახილები მოხდა შედარებით გვიან, „სახეობათა წარმოშობის“ გამოსვლის რამდენიმე წლის შემდეგ. ამის მიზეზი უნდა ვეძიოთ იმ გარემოებაში, რომ აღნიშნულ პერიოდში საქართველოში არ არსებობდა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი. მისი არსებობა კი, მეცნიერების სხვა მიღწევებთან ერთად, უდაოდ ხელს შეუწყობდა დარვინის პროგრესული მოძღვრების სწრაფ პოპულარიზაციასაც.

70—80-იანი წლებიდან ქართულ პრესაში უკვე ვხვდებით მთელ რიგ წერილებს დარვინის შესახებ. ზოგი მათგანი ხშირად მეტად სერიოზული მეცნიერული შინაარსისაა, ზოგს კი მხოლოდ ისტორიული მნიშვნელობა აქვს. დარვინის შესახებ გამოცემულია ცალკე ბროშურებიც. ჩვენ შევეცადეთ შეგვეგროვებინა სისტემატიკური მასალა დარვინიზმის ისტორიის შესახებ საქართველოში. ამ წერილში განვიხილავთ რევოლუციამდელი ქართული ბეჭვლითი სიტყვის ზოგიერთ, ჩვენს განკარგულებაში მყოფ და, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მასალას. მასალები დალაგებული გვაქვს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით.

როგორც ირკვევა, დარვინის პირველ პოპულარიზატორად საქართველოში უნდა ჩაითვალოს საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „დროება“, რომელიც გამოიდიოდა 1866—85 წლებში სხვადასხვა პერიოდულობით*.

„დროება“ დარვინს პირველად იხსენიებს თავის 1868 წლის 49-ე ნომრის „სამეცნიერო მიმოხილვის“ განყოფილებაში, სადაც დაბეჭვლილია ორი ხელმოუწერელი. სტატია: „ფერი როგორც ნიშანი ჯიშისა“ და „თვისებების გადაცემა მემკვიდრეობით“. შესაძლებელია, რომ ეს წერილები ეკუთვნის გ. წერეთელს, რომელიც რედაქტორობდა ამ გაზეთს 1866—69 წლებში და, როგორც ცნობილია,

* მანამდე (1859 წლიდან) არსებულ ქართულ პერიოდულ გამოცემებში (ჟ. „გუთნის დედა“ — 1862—72 წწ., ჟ. „საქართველოს მოამბე“ — 1863 წ.) რამე მასალას დარვინის შესახებ ჩვენ ვერ შევხდით.

კაოგად იცნობდა ბუნების მეტყველების ბევრ საკითხს.

აღნიშნული სტატიების შინაარსის გაცნობა გვარუნებს, რომ მათი ავტორი კარგად იცნობდა დარვინის „სახეობათა წარმოშობას“ და, შესაძლებელია, „მოშინაურებულ ცხოველთა და კულტურულ მცენარეთა ცვალებადობასაც“*. ასე, მაგალითად, პირველ სტატიაში, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ თეთრი შეფერილობა ცხოველებში მოშინაურების შედეგია და საამისოდ რამდენიმე საინტერესო მაგალითზეც მიუთითებს, მოჰყავს საყოველთაოდ ცნობილი ადგილი „სახეობათა წარმოშობიდან“: „პროფესორმა უაიმენმა აცნობა დარვინს, — წერს ავტორი, — რომ ვიწვინის შტატის ერთ მხარეში გასაკვირველია, რომ შავს გარდა სხვა ფერის ლორი არ იპოვებათ. როდესაც შეუდგა ამის მიზეზის გამოკვლევასა, შეიტყო, რომ ლორები ამ მხარეში სჭამენ ერთგვარ საფერავის ძირსა (*Lachnanthes* -ის ფესვები. დ. ქ.), რომელიც ვარდის ფრათ ულებავს ძვლებს ლორებსათ და გარდა მაგისა სხვა ფერის ლორებს ჩლიქებს აყრევინებსო, რასაკვირველია, რომ მეოჯახენი ცდილობენ შავი ლორის მოშენებას, რადგან სხვა ფერებს ჩლიქები სცვივათ“.

როგორც ცნობილია, თვითონ, დარვინს ეს ფაქტი მოჰყავს ე. წ. კორელაციური ცვალებადობის მაგალითად**.

მეორე წერილში — „თვისებების გადაცემა მემკვიდრეობით“ ავტორს მოჰყავს რამდენიმე საამისო მაგალითი როგორც ცხოველური, ისე მცენარეული სამყაროდან. აქ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ მის შემდეგ სიტყვებს: „შემთხვევით გადასული რაიმე გვარი თვისება შთამომავლობაზე ზოგჯერ შესაძლებელია გახდეს იმ გვარ მკვიდრ ნიშნათ, რომლითაც განირჩევა ერთი გვაროვნება მეორესთან“.

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ აქ ლაპარაკია ე. წ. შეძენილ თვისებათა მემკვიდრეობაზე, რის შესაძლებლობასაც გადაჭრით უარყოფენ ანტიდარვინისტები (ვეისმანისტები). როგორც ცნობილია, ეს საკითხი საბჭოთა ბიოლოგიაში საბოლოოდ დარვინისეული გაგების სასარგებლოდ გადაწყდალენინის სახელობის საკავშირო სასოფ. სამ. აკადემიის 1948 წლის აგვისტოს სესიაზე.

რომ ზემოთ მოყვანილი ციტატის ჩვენებური გაგება სწორია, ამის დასასაბუთებლად მოვიყვანთ თვით ავტორის მიერ განხილულ მაგალითს: „ამბობენ თემურ ლენგს ერთი მშვენიერი არაბული ულაყი ჰყავდათ, რომელსაც ცალი თვალი და ემსაონ*** და ჭოგში გაუშვეს. იმისი კვიცები სულ ცალთვალები იყვნენ“.

* როგორც ცნობილია, უკანასკნელი შრომა ინგლისურ ენაზე გამოვიდა 1868 წელს, ხოლო მისი დიდი ნაწილი უფრო აღრე გამოსცა კოვალევსკიმ რუსულ ენაზე.

** იხ. «Проникновение видов», стр. 42, 1937 г.

*** ხაზი ჩემი. დ. ქ.

მაში ავტორს სჯეროდა შეძენილ ცვლილებათა მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობა!

შემდეგ მასალას, რომელიც დარვინს ეხება, ვხვდებით 1871 წლის ე. „მნათობში“. აქ ოთ ნომერში (№ 3-4) დაბეჭდილია წერილი „ჩვენი ჰკუის ძალა“, რომელიც ხელმოწერილია ზურაბ მოენიძის ფსევდონიმით. როგორც ირკვევა, იგი ეკუთვნის ცნობილ მწერალ ანტონ ფურცელაძეს. თუმცა ავტორი „Проникновение видов“ -ს თარგმნის როგორც „წარმომავალთა სანახაობა“, მაგრამ მაინც შინაარსიღან ჩანს, რომ ის იცნობს დარვინის ამ თხზულების შინაარსს.

საინტერესოა, რომ იგივე ანტონ ფურცელაძე თავის წერილში „რამდენიმე სიტყვა „ივერიის“ მაისის შინაურ მიმოხილვაზე“ (უურნ. „იმედი“, 1882 წ., № 7—8, გვ. 83) წერს, რომ „...ჩვენი მომავლის წარმატებისა და ლსნისათვის უნდა ვბაძავდეთ ახალ დაწინაურებულთ ხალხთა და დაწინაურებულს აზრებსა“. ამ „დაწინაურებულს აზრებს“ შორის მას მეტად მნიშვნელოვნად მიაჩნია დარვინის თეორიაც, ხოლო თვით დარვინი — როგორც ერთ-ერთი „კაცობრიობის მოძღვარი“.

როგორც ირკვევა, მოწინავე ქართულ საზოგადოებრიობას უყურადღებოდ არ რჩებოდა მსოფლიო მოწინავე მეცნიერთა და მათ შორის დარვინის ახალი შრომების გამოქვეყნების ამბებიც. ასე, მაგალითად, 1877 წლის 21 ივლისის „ივერია“ იურიება, რომ ინგლისურ უურნალ „Mind“ -ში „...დაიბეჭდა მეტად ლირს-შესანიშნავი წერილი გამოჩენილის მეცნიერის ჩარლზ დარვინისა. ამ წერილის საგანი ის არის, თუ როგორ ეხსნება ბავშვს ცნობიერება დაბადების შემდეგ. თავისი დასკვნის საბუთად დარვინის მოყავს ყოველივე ის, რაც შეუნიშნავს თავის შვილზედ (იგულისხმება ფრენისის დარვინი, შემდეგში სახელგანთქმული მცენარეთა ფიზიოლოგი. დ. ქ.) ამ ოცდა თორმეტის წლის წინათ“*.

1886 წელს ცნობილმა ქართველმა მოლვაწემ ჭ. ჭიჭინაძემ გამოსცა რ. ფანცხავას მიერ რუსულიდან თარგმნილი წიგნაკი „ინსტიქტი (ალო) დარვინის თეორიის შეხედულებით“. თარგმანს არა აქვს მითითებული, თუ ვინ არის ამ შრომის ავტორი.

იმავე ჭ. ჭიჭინაძემ 1889 წელს გამოსცა ცნობილი ლინგვისტისა და პედაგოგის პ. ჭარაიას მიერ გერმანულიდან თარგმნილი წიგნაკი „დარვინის თეორია და ენათმეცნიერება“, რომელიც წარმოადგენს გერმანელი ენათმეცნიერის ა. შლაიხერის წერილს ერნსტ ჰეკელისადმი. ამ წერილში შლაიხერი აღტაცებით ლაპარაკობს დარვინის თეორიის შესახებ და თავისებური ანალოგია გაჰყავს დარვინიზმსა და ენათმეცნიერების ზოგიერთ დებულებას შორის.

1896 წელს გაზეთ „კვალის“ 43-ე ნომერმა, აუწყა თავის მკითხველთ, რომ „გამოვიდა ახალი წიგნი „დარვინიზმი“ ე. ფერიერისა, თარგმნილი ი. ფანცხავას მიერ, გამოცემა ივ. როსტომაშვილი-

* იხ. დარვინ, სიც. 4, 1943 წ.

სა“. „კვალი“ სასიამოვნოდ მიიჩნევს ამ წიგნის გამოსვლას ქართულ ენაზე.

ცნობილი ფრანგი მეცნიერის ე. ფერიერის „დარვინიზმი“ ქართულად პირველად გამოვიდა 1896 წელს ორ პატარა წიგნად, ხოლო 1912 წელს — მეორე გამოცემა, ერთ წიგნად. მეორე გამოცემა შედგება პირველი (ორწიგნაკიანი) გამოცემის შესატყვისი ორი ნაწილისაგან. პირველ ნაწილში განხილულია „ევოლუციონური თეორია ცხოველთა და მცენარეთა წარმოშობის შესახებ“, ხოლო მეორეში — „ევოლუციონური თეორია ადამიანის წარმოშობის შესახებ“. როგორც პირველი, ისე მეორე გამოცემის ყდაზე ეპიგრაფად დაბეჭდილია სიტყვები:

„ჩვენ უნდა ვშობოთ ჩვენი მყობადი,
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!..“

ი. ჭავჭავაძე.

„ყოველი წუთი თავისუფალი დროსი
ადამიანმა სწავლას უნდა მოახმაროს!..“

კონფუცი.

როგორც ჩანს, ამ ავტორიტეტთა სიტყვებით მთარგმნელს სურს ხაზი გაუსვას დარვინის თეორიის ცოდნის დიდ მნიშვნელობას.

უნდა ვითიქროთ, რომ ამ წიგნის თარგმნისას ი. ფანცხავას ხელთ პქონია ამ წიგნის როგორც რუსული გამოცემა, ისე ფრანგული დედანი. უკანასკნელ მოსაზრებაზე მიგვითითებს ორი გარემოება:

1. უურნალ „განათლების“ 1908 წლის 3—4 ნომერში გამოქვეყნებულია კოტე ელიოზიშვილის

რეცენზია ამ წიგნის ქართულ თარგმანზე, სადაც /
სხვათა შორის რეცენზენტი, თარგმანის საერთო
დადებით შეფასებასთან ერთად, მიუთითებს ზო-
გიერთი ფრანგული სიტყვის არასწორ თარგმნაზე.

2. თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში არის ამ წიგნის ფრანგული დედანი.

ხსენებულ რეცენზიაში ნათქვამია, რომ „დარ-
ვინის თეორიის ცოდნა ეხლა ყოველ განათლებულ
და შეგნებულ კაცს მოეთხოვება, ხოლო ეს თეორია
ფერიერზე უკეთესად და გასაგებად არავის აუხს-
ნია. თვითონ დარვინმა რომ წაიკითხა ფერიერის
წიგნი, სთქვა: „ცხადი, განსაცვიფრებელი სიმარ-
ტივით არის ახსნილი ჩემი თეორიაო“.

ცხრასიანი წლების ქართული პერიოდიკა უკვე
შედარებით მდიდარია დარვინიზმის შესახებ სტა-
ტიებით. საინტერესოა, რომ ვალერიან გუნიას მი-
ერ შედგენილ და გამოცემულ 1897 წლის საქარ-
თველოს კალენდარში დაბეჭდილია ბევრი გამოჩე-
ნილი პიროვნებისა და მათ შორის დარვინის პორ-
ტრეტი (გვ. 30). მის მარცხნივა პირველი ქართვე-
ლი პროფესორის დ. ჩუბინაშვილის, ხოლო მარჯ-
ვნივ — ცნობილი ისტორიკოსის მარი ბროსეს
პორტრეტები.

უურადღებას იპყრობს წერილების სერია, რომ-
ლებიც დაბეჭდილია 1897 წლის გაზეთ „კვალის“
რამდენიმე ნომერში (№№ 10, 11, 12, 14, 17) სა-
ერთო სათაურით „ცხოველთა შთანაჩენის განვითა-
რება“*. ეს წერილები ეკუთვნის ჩვენთვის უკვე
ცნობილ ი. ფანცხავას, რომელიც აქ ყველა წე-
რილს ხელს აწერს ფსევდონიმით — „ფხა“, გარდა
ბოლო წერილისა.

პირველ წერილში ავტორი, ზოგადად ახასია-
თებს რა მეცნიერების მიღწევებს, აღნიშნავს, რომ
მეცნიერება განსაკუთრებით წავიდა წინ XVIII —
XIX საუკუნეებში ნამდვილი, ჰეშმარიტი მეცნი-
ერული ფაქტების მოპოვების გამო, რაც „... ჰკვეთს,
სპობს სხვადასხვა ცრუ მორწმუნეობას, რაც შე-
უქმნია ადამიანის უვიცა და ბრიყვ გონებას და
რასაც სარწმუნოება ქომაგობს, ესარჩება, ულა-
ლავებს“. მეცნიერების მიღწევებმა „...გააფართოვა
და უტყუარ ფაქტათ აღიარა, რომ მთელი მსოფ-
ლიო, ბუნება და ყველაფერი, რასაც იგი შეიცავს,
განვითარების გზას ადგას, ცვალებადია და წარმა-
ვალი: ყოველივე და ყველაფერი იზრდება, იცვლე-
ბა და ვითარდება. ამ გარემოებას ავტორი გამოხა-
ტავს ტერმინ „ევოლუციით“.

თუმცა ი. ფანცხავა განიხილავს ემბრიოლოგიის
ზოგად საკითხებს, ამ წერილებში გამოთქმუ-
ლი წოგიერთი დებულება საინტერესოა მისი
მსოფლმხედველობის დახასიათებისათვის. პირველ
რიგში აღსანიშნავია, რომ ის ერთმანეთისაგან ას-
ხვავებს ზრდისა და განვითარების პროცესებს („კვა-

* სიტყვა „შთანაჩენი“ ავტორის მიერ ნახმარია რუსულ
ვარიაცია „შესატყვისად, რაც თანამედროვე ტერმინოლო-
გიით ნიშნავს ჩანსახს, ემბრიონს.

დარვინიზმი

ავტორი:

გ. ჭავჭავაძე

რევიუვი

ექიმიანული და სოციალური მეცნიერებების აკადემია

ი. ჭავჭავაძე-გაბაძე.

მეცნიერება და სოციალური მეცნიერებების აკადემია
ექიმიანული და სოციალური მეცნიერებების აკადემია
ი. ჭავჭავაძე-გაბაძე.

რევიუვი
საქართველოს აკადემია
1893

ე. ფერიერის „დარვინიზმის“ მეორე წიგნის ქართული
გამოცემა

ლი", №11, გვ. 231). შემდეგ, ის აღიარებს, რომ „უეჭველია, ცოცხალი ორგანული არსება უორგანო (ე. ი. არაორგანულ. დ. კ.) სხეულთაგან გამოირკვა და განვითარდა“. იგი წარსულს უტოვებს იმ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ორგანული ნივთიერებანი „...რალაცა საიდუმლო ცხოველმყოფელი ძალის მეოხებით მზადდებოდა ორგანიზმი“.

ავტორისათვის უცნობი არ ყოფილა ის გარემოება, რომ სიცოცხლე დაკავშირებულია ცილოვან სხეულთან და რომ „მეოთხმოცე წლებში ქიმიურ ლაბორატორიაში იქმნა მომზადებული ცილი“*. იგი ცდილობს ხიდი გადოს არაორგანულსა და ორგანულს შორის, კერძოდ, მას სჯერა არაორგანული ნივთიერებიდან ორგანულ არსებათა შექმნის შესაძლებლობა: „ეს იმედი ახლა ფუყე და სათუთი როდია“.

აქვე ის აყალიბებს ცოცხალისათვის დამახასიათებელ ძირითად თვისებებს: კვება (ნივთიერებათა ცვლა. დ. კ.), გალიზიანების უნარი, გამრავლება. უკანასკნელი, მისი აზრით, წარმოადგენს „წინაბოლის“, „ორგანული ევოლუციის“ აუცილებელ პირობას.

მომდევნო („კვალი“, № 14) წერილში განხილულია განაყოფიერებისა და კვერცხიდან ჩანასახის განვითარების საკითხები, სადაც სხვათა შორის მოყვანილია ცნობილი ადგილი დარვინის „ბუნებისმეტყველის მოგზაურობიდან“, თუ როგორ ჩასვეს საპყრობილები ქ. სან-ფერნანდოში პატრებმა (კათოლიკე მღვდლებმა) და გუბერნატორმა გერმანელი მოგზაური რენსი. იმის გამო, რომ ის ამტკიცებდა შესაფერისი მატლებიდან პეპლების განვითარების შესაძლებლობას.

ემბრიოლოგის საკითხებია განხილული ბოლო წერილშიც („კვალი“, № 17).

საერთოდ ამ სტატიების შინაარსიდან ჩანს, რომ ი. ფანცხავა კარგად იცნობდა თავის თანამედროვე ბიოლოგიურ ლიტერატურას და იყო თავისი დროის უაღრესად განათლებული აღამიანი ბიოლოგიური ცოდნის დარგშიც. თუ მხედველობაში მივიღებთ მის თარგმნით საქმიანობასაც, იგი უნდა მივიჩნიოთ დარვინიზმის ერთ-ერთ თვალსაჩინო პოპულარიზატორად საქართველოში.

1899 წლის გაზეთ „კვალში“ (№№ 42, 44, 45, 49, 52) დაბეჭდილია წერილების სერია საერთო სათაურით „კოპერნიკიდან დარვინამდე“, გადმოკეთებული უცხოურიდან პ. სურგულაძის მიერ. წერილებში განხილულია მეცნიერების საერთო მიღწვები ამ პერიოდში, დახასიათებულია ცნობილი დიდ საბუნების მეტყველო აღმოჩენათა მნიშვნელობაც, ხოლო ბოლო ორი წერილი მთლიანად მი-

* უნდა ვიფიქროთ, რომ აქ მხედველობაშია ე. ფიშერის ცნობილი ცდები ცილის სინთეზისა. როგორც ცნობილია, ფიშერმა 18 სხვადასხვა ამინომჟავის პოლიმერიზაციის გზით შეძლო ცილის თვისებების მქონე (და არა ნამდვილი ცილის), ე. წ. პოლიპეტიდის მიღება. შემდეგში აბდელპარდენმა ამინომჟავით ეს რიცხვი 19-მდე გაზიარდა.

ძლვნილია დარვინის თეორიის ძირითადი დებულებების გადმოცემისადმი.

საყურადღებოა, რომ დარვინის სახელს ჩვენ ვხვდებით ცხრაასიანი წლების სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებების მქონე მოღვაწეთა ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართულ წერილებშიც (იხ. მაგალითად, „ივერია“, 1899, №53, „კვალი“, 1899, № 14).

უაღრესად საინტერესოა 1902 წლის „კვალის“ ფურცლებზე დაბეჭდილი სამი წერილი დარვინის შესახებ („კვალი“, 1902 წ., № 19, 21, 22).

პირველ წერილში, რომელსაც წინ უძღვის საკმაოდ დიდი პორტრეტი დარვინისა, ასეთ სიტყვებს ვხვდებით: „გასული საუკუნის ნახევრიდან გამეფებულია ორი ძლიერი თეორია, ძლიერი როგორც თავისი მეცნიერული ხასიათით, აგრეთვე პრაქტიკული მნიშვნელობით. ორივე ეს თეორია გახდა კაცობრიობის უფრო ცოცხალი და გატაცებული ნაწილის ლამპრათ. ერთი მათგანი შეეხება საზოგადოებრივ მოვლენებს,* ხოლო მეორე ბუნებისმეტყველებას. ეს მეორე — არის დარვინიზმი“. აქვე ავტორი დასძენს, რომ დარვინიზმის ცოდნა საჭიროა ყოველგვარი სპეციალობის ადამიანისათვის.

მეტად საინტერესოდაა შედგენილი დარვინის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ნაწილის შინაარსი, სადაც მოყვანილია პატარა დარვინის ხოჭოებზე „ნადირობის“ ცნობილი შემთხვევაც, რაზეც ის მოგვითხრობს თავის ავტობიოგრაფიაში. ავტორი აღნიშნავს, რომ „დარვინმა აგვისნა ორგანული განვითარების მთელი პროცესი გენიოსური სიმარტივით. ეს მისი ახსნა შეგვიძლია გამოვხატოთ სამი სიტყვით: ცვალებადობა, მემკვიდრეობა და ბრძოლა არსებობისათვის“.

შემდეგ ორ წერილში („კვალი“, №№ 21, 22) ავტორი საკმაოდ ფართოდ და შესაფერისი მეცნიერული შინაარსით განიხილავს ამ ფაქტორებს. ბუნებრივია, რომ ეს შინაარსი კლასიკურ-დარვინისტულია.

სამივე წერილი ხელმოწერილია X-ით. ავტორის ნამდვილი ვინაობის დადგენა ჩვენ ჯერჯერობით ვერ შევძელით.

მეტად პოპულარული ენითაა გადმოცემული დარვინის თეორიის მოკლე შინაარსი საყმაწვილო ურნალ „ნაკადულის“ 1905 წლის № 10-ში გამოქვეყნებულ წერილში — „რას ამბობდა ჩარლზ დარვინი“. აქ ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ისეთი მაგალითების მოყვანა, რომლებიც მისაწვდომია მოზრდილის გონებისათვის. წერილი ხელმოწერილია მხარგრძელის ფსევდონიმით.

დარვინის სახელს ვხვდებით ი. ბ. სტალინის ერთ-ერთ აღრინდელ ნაშრომში „ანარქიზმი თუ სოციალიზმი?“, რომელიც დაიწერა 1906 წელს და პირველად გამოქვეყნდა 1906-7 წლების ქართულ ბოლშევიკურ პრესაში (გაზ. „ახალი ცხოვ-

* უეჭველია, რომ აქ იგულისხმება მარქსიზმი,

ჩება“, „ახალი დროება“, „ჩვენი ცხოვრება“, „დრო“) წერილების სერიის სახით*.

როგორც ცნობილია, ი. ბ. სტალინმა ეს შრომა დაწერა ქართველ ანარქისტთა ერთი ჯგუფის (ვ. ჩერქეზიშვილი, მ. წერეთელი, შ. გოგელია და სხვ.) გამოსვლებთან დაკავშირებით, რომელნიც გააფთრებულ კამპანიას ეწეოდნენ სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. გამანადგურებლად გააკრიტიკა რა მენშევიკებისა და ანარქისტების შეხედულებანი ფილოსოფიისა და მეცნიერული სოციალიზმის ყველა საკითხში, ი. ბ. სტალინმა დაიცვა, ნათლად და ღრმა მეცნიერული შინაარსით გადმოსცა და განვითარა მარქსისტული მსოფლმხედველობა. ამ შრომაში ი. ბ. სტალინი აკრიტიკებს ანარქისტებს დარვინიზმის გაების საკითხშიც.

საქმე იმაში იყო, რომ ანარქისტები ერთმანეთთან აიგივებდნენ კიუვიეს კატაკლიზმების თეორიასა და მარქსისტულ დიალექტიკურ მეთოდს. ისინი ასკვნიდნენ, „...რომ მარქსისტები კიუვიეს ემხრობიან და, მაშასადამე, უარყოფენ დარვინიზმს“***.

დარვინის განვითარების თეორია უარყოფს კიუვიეს კატაკლიზმებს მაგრამ, ამასთანავე, მას ეს განვითარება წარმოუდგენია თანდათანობითი ევოლუციის სახით. აქ იგივე ანარქისტები ბრალად დებდნენ მარქსისტებს, „...რომ «მარქსიზმი დარვინიზმს ეყრდნობა და კრიტიკის თვალით არ უყრებს მას» ე. ი. მარქსისტები უარყოფენ კიუვიეს კატაკლიზმებს“***.

სტალინი ააშკარავებს ანარქისტების მსჯელობის უსუსურობას და აღნიშნავს, რომ „...დარვინიზმი უარყოფს არა მარტო კიუვიეს კატაკლიზმებს, არამედ დიალექტიკურად გაგებულ განვითარებასაც მისი რევოლუციით, მაშინ როდესაც დიალექტიკური მეთოდის აზრით ევოლუცია და რევოლუცია, რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილება — ორი აუცილებელი ფორმაა ერთი და იგივე მოძრაობისა“****.

ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ მაშინ შესანიშნავად იცნობდა დარვინის თეორიას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მან ჯერ კიდევ მაშინ მიუთითა ერთ მეტად მნიშვნელოვან ნაკლოვან მხარეზე დარვინიზმში, სადაც განვითარება განხილულია მხოლოდ მისი ერთი ფორმით — ევოლუციით, ე. ი. რევოლუციების (ნახტომების) გარეშე.

ქართულ ბეჭედვით სიტყვას უყურადღებოდ ამ დარჩენია დარვინიზმთან დაკავშირებული ცალკეული პრობლემებიც. ჩვენ წინაშეა უურნ. „განათლების“ 1908 წლის პირველი ნომერი, სადაც „კრიტიკა და ბიბლიოგრაფიის“ „სამეცნიერო მიმოხილვაში“ მოკლედ გადმოცემულია ცხოველთათვის დამახასიათებელი ე. წ. დამცველობითი შეფერილობის ანუ მიმიკრიის დარვინისტული გაგება. ავტორი აკრიტიკებს მათ და მათ შორის პოლანდიელ ანტიდარვინისტ მ. პიპერსს, ვინც ამტკიცებდა, რომ მიმიკრია ბუნებრივი შერჩევის შედეგი არ არის. წერილს ხელს აწერს ვინმე ვ. ვნ.

1914 წელს გამოვიდა დ. ახვლედიანის პატარა წიგნაკი „ჩ. დარვინი, მისი ცხოვრება და სამეცნიერო მოღვაწეობა“. როგორც ავტორი წინასიტყვაობაში აღნიშნავს, მას ეს წიგნი დაუწერია ქართველთა შორის წ/კ გამავრც. საზოგადოების დავალებით. „...დიდი სიამოვნებით დავთანხმდი, — წერს ავტორი, — და ვიკისრე მიმეწოდებინა ხალხისათვის იმ დიდებულ ადამიანის შესახებანი ცნობანი, რომელმაც შეჰქმნა დღევანდელი ბუნების მეტყველება“.

ასეთია ჩვენს განკარგულებაში მყოფი დარვინთან დაკავშირებული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მასალები რევოლუციამდელი ქართული ბეჭვდითი სიტყვის მიხედვით. შემდგომი (საბჭოთა) პერიოდის მასალების (და აგრეთვე ძველი მასალის შევსება-დაზუსტება) შესწავლა ჩვენი შემდგომი პერიოდის საგანს შეადგენს.

* * *

ბუნებრივია, დაგვებალება ინტერესი იმისადმი, იცოდა ან გაეგონა თუ არა რაიმე დარვინის ქართველების შესახებ? მოვუსმინოთ თვითონ მას: „ძველის ძველი მოგზაური ჩარდინი (ე. ი. შარდენი. დ. ჭ.), აღწერს რა ირანელებს, ამბობს, რომ მათი „სისხლი ახლა ძლიერ გაკეთილშობილდა მათი ხშირი ქორწინების გამო ქართველებსა და ჩერქეზებთან, ორ ხალხთან, რომელნიც ყველაზე ლამაზია მსოფლიოში. ირანში ძნელია მოიძებნოს თუნდაც ერთი დიდგვაროვანი კაცი, რომლის დედა ქართველი ან ჩერქეზი არ იყოს“*. ის (ე. ი. შარდენი. დ. ჭ.) დასძენს, რომ მათ თავიანთი სილამაზე მემკვიდრეობით მიიღეს არა თავისი წინაპრებისაგან, რადგან ზემოხსენებული შერეული ქორწინებანი რომ არ ყოფილიყო, დიდგვაროვანი ირანელები, რომლებიც თათრების შთამომავალნი არიან, მეტად უმსგავსონი იქნებოდნენ“; (Ч. Дарвин, соч. т. 5, стр. 628, Изд. АН. СССР, Москва, 1953 г.).


* დარვინი აღნიშნავს, რომ მან ეს ფაქტები მოიყვანა Lawrence-ს შრომიდან Lectures on Physiology etc. 1822. თვით შარდენმა საქართველოში იმოგზაურა 1672—73 წლებში, როცა ქართლში მეფობდა გამაპმადიანებული ქართველი ვახტანგ V (შავანავაზი). არის შარდენის „მოგზაურობა საქართველოში“ ქართულ ენაზე, შემოკლებულად თარგმნილი ვ. ბარნოვის მიერ, თბილისი, 1935.

* ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 289.

*** იქვე.

**** იქვე, გვ. 291.

ტურქიანი გეცნიერთა დედეგაცია თბილისში



სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით ამას წინათ საბჭოთა კავშირში ჩამოვიდა ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის დელეგაცია.

13 ოქტომბერს ბულგარელ მეცნიერთა დელეგაციის წევრები ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის, ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორ აკად. გ. ნაჯაკოვის, აკადემიის სწავლული მდივნის, მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორ აკად. ა. ხაჯიოლოვის, გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორ აკად. ს. გეორგიევის, ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორის, ბულგარეთის მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტ დ. ფილევის, აგრეთვე აკადემიის მეცნიერი თანამშრომლების ზ. მლადენოვისა და ა. ლიუტოვის შემადგენლობით თბილისში ჩამოვიდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მუშაობის გასაცნობად.

აეროდრომზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი, აკადემიკოსი-მდავანი გ. ძოჭენიძე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრები ნ. კეცხოველი, ა. ჩიქობავა, წევრ-კორესპონდენტი ა. ბარამიძე, ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი ქ. ლომთათიძე, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის დირექტორი ფ. თავაძე და სხვები.

14 ოქტომბერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ნ. მუსხელიშვილმა მიიღო ბულგარელ მეცნიერთა დელეგაცია. აკად. ნ. მუსხელიშვილი, აგრეთვე პრეზიდიუმის წევრები და ინსტიტუტების დირექტორები სტუმრებს ესაუბრნენ ჩვენი რესპუბლიკის მეცნ. აკადემიის მუშაობაზე.

ამავე დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში გაიმართა აკადემიის ნამდვილი წევრების, წევრ-კორესპონდენტებისა და


მეცნიერ მუშავთა საერთო კრება. კრებას ესწრებოდნენ ბულგარელი სტუმრები, რომელთაც მრავალრიცხვანი აუდიტორია გულთბილად მიესალმა. კრება შესავალი სიტყვით გახსნა აკადემიის პრეზიდენტმა აკად. ნ. მუსხელიშვილმა. მოხსენება თემაზე — „ბულგარეთისა და საქართველოს კულტურული ურთიერთობის ისტორიიდან“ — წაიკითხა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. შანიძემ. მომხსენებელმა მრავალი საგულისხმო ფაქტის დამოწმებით ნათელყო, თუ რაოდენ ხანგრძლივი და სახელოვანი ტრადიციების მქონეა ბულგარეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობა, რომლის სათავეები XI საუკუნეებდე აღწევს. მან ილაპარაკა იმაზე, რომ დღითი დღე როგორ იზრდება და მტკიცდება ბულგარელი და ქართველი ხალხების კულტურული თანამშრომლობა და მეგობრობა, რასაც ფართო შესაძლებლობანი გადაეშალა მხოლოდ საბჭოთა ჯარების მიერ ფაშისტური მონობის უღლისაგან ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ.

ბულგარელი და ქართველი ხალხების ამ თანამშრომლობასა და ურლვევ მეგობრობას მიუძღვნა თავისი სიტყვა კრებაზე გამოსულმა ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა აკად. გ. ნაჯაკოვმა. მან ილაპარაკა იმაზე, თუ რა წარმატებებს მიაღწია ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, თუ როგორ სწრაფად ვითარდება მეცნიერება ბულგარეთში და რა უდიდეს უანგარო დახმარებას უწევს საბჭოთა კავშირი ბულგარელ ხალხს. შემდეგ აკადემიკოსმა გ. ნაჯაკოვმა საქართველოს კადემიის პრეზიდენტს აკად. ნ. მუსხელიშვილს ტაშის გრიალში გადასცა სიგელი ბულგარეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად მისი არჩევის შესახებ.

კრებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ბულგარელი სტუმრები ეწვივნენ სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, დაათვალიერეს აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში დაესწრნენ ა. სუმბათაშვილის „ლალატის“ დადგმას. მათ დაათვალიერეს თბილისის ისტორიული ადგილები და სხვა ლირუმესანიშნაობანი.

15 ოქტომბერს სტუმრები გაეცნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტების მუშაობას, ხოლო 16 ოქტომბერს ინახულეს ამხანაგ სტალინის სახლი ქალაქ გორში, დაათვალიერეს მცხეთა და ატენის ხეობა.



მარცხნიდან მარჯვნიდან: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი-მდავანი პროფ. გ. ძოჭენიძე, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი აკადემიკოსი გ. ნაჯაკოვი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი აკად. ნ. მუსხელიშვილი, ტექნიკის ინსტიტუტის დირექტორი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი დ. ფილევი, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი-მუშავი ზ. მლადენოვი თბილისის ზღვაზე.

ექიმების განვითარების ასოციაცია

ატომური ენერგიით მომუშავე ელექტროსადგური

3. ჩომარინი

ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სტალინური პრემიის ლაურეატი

ბევრნი, შესაძლოა, ფიქრობენ, რომ ატომური ენერგია სულ მცირე ხნის წინ არის აღმოჩენილი ადამიანის მიერ. მაგრამ ეს არ არის სწორი. ბუნებაში ხშირად აქვს ადგილი ამ ენერგიის გამოვლინებას. მაგალითად, მზის სინათლე წარმოადგენს ატომური ენერგიის გამოყოფის პირდაპირ შედეგს, მთელი ცხოვრება დედამიწაზე კი — მზის გამოსხივების პროდუქტია. ოდესლაც ატომური ენერგიის არსებობაზე აღმიანი არც კი ფიქრობდა, ახლა კი მან დაიმორჩილა იგი, აიძულა — მისთვის ემსახურნა.

ვიდრე მკითხველებს ატომური ელექტრული სადგურების შესახებ ვუამბობდეთ, გავიხსენოთ, თუ როგორ მუშაობენ ჩვეულებრივი ენერგეტიკული აგრეგატები.

ელექტროენერგიის წარმოებისათვის ჩვეულებრივ სითბურ სადგურებში. სარგებლობენ ქვანახშირით, ნავთით, გაზით, რომელთა ძირითად საწველების ნახშირბადი და წყალბადი წარმოადგენენ.

წვის ქიმიური რეაქციების შედეგად ყოველი კილოგრამი სათბობი გამოყოფს სითბოს გარკვეულ რაოდენობას, რომელსაც საწვავის თბოუნარიანობა ეწოდება. მაღალხარისხოვან ნახშირებს 7.000-დე კილოკალორია თბოუნარიანობა აქვთ კილოგრამზე, ნავთობს — 10.000 კილოკალორია და ა. შ.

უკანასკნელ ხანებში მეცნიერებმა ისწავლეს ბირთვული ურთიერთქმედების პროცესების გამოყენება, რომელთა დროსაც გაცილებით მეტი ენერგია გამოიყოფა, ვიდრე ჩვეულებრივი ქიმიური რეაქციების დროს.

ენერგიის გამოყოფა ბირთვული პროცესების დროს ხდება ან მსუბუქი ელემენტების (წყალბადის, ლითიუმის) ბირთვების სინთეზის დროს, ან, პირიქით, მძიმე ელემენტების (ურანის, პლუტონიუმის) რღვევის დროს. ენერგიას, რომელიც ბირთვული ურთიერთქმედების დროს გამოიყოფა, ატომური ენერგია ეწოდება, თუმცა უფრო სწორი იქნებოდა მისთვის ბირთვული ენერგია გვეწოდებინა. მასალებს, რომლებითაც ბირთვული პროცესების ენერგიის მისაღებად სარგებლობენ, ბირთვული საწვავი ეწოდება. მათგან იმათ, რომლებშიც ენერგია ბირთვების რღვევის დროს გამოიყოფა ეწოდება რღვევადი ბირთვული საწვავი. ისე

როგორც ჩვეულებრივი საწვავები, ისინი შეიძლება თბოუნარიანობით დავახასიათოთ. უკანასკნელის სიდიდე დამოკიდებულია ატომური საწვავის ხარისხზე. მაგალითად, ურანსა და პლუტონიუმს აქვთ თბოუნარიანობა, რაც დაახლოებით 20 მილიარდ კილოკალორიას უდრის, ე. ი. კილოგრამზე სამ მილიონჯერ მეტია, ვიდრე საუკეთესო ხარისხის ქვანახშირის თბოუნარიანობა.

მსუბუქი ბირთვების სინთეზის დროს კილოგრამ საწვავზე კიდევ მეტი ენერგია შეიძლება გამოიყოს. ასე, მაგალითად, ოთხი ატომი წყალბადიდან ჰელიუმის ერთი ატომის წარმოქმნის დროს წყალბადის თითოეულ კილოგრამზე თავისუფლდება დაახლოებით 150 მილიარდი კილოკალორია.

თუ ასეთი ბირთვული საწვავის ერთ კილოგრამს შემოვუდებთ პირამიდულ მთას, რომლის ფუძე ერთ კვადრატულ კილომეტრს უდრის, სიმაღლე კი ერთ კილომეტრს, და „ავაფეთქებთ“ ამ საწვავს, ერთი მილიარდი ტონა წონის მქონე მთა ჰაერში ავარდება 65 მეტრის სიმაღლეზე.

ბირთვების სინთეზის რეაქცია წყალბადის ბობბებში გამოყენებულია აფეთქების სახით. ახლა ამ პროცესის რაიმე გამოყენებაზე მითითება სამრეწველო მიზნებისათვის ძნელია, ვინაიდან თერმობირთვული რეაქციები მიმდინარეობენ მეტად მაღალ ტემპერატურებზე, რომლებიც მილიონი გრადუსებით განიზომება.

ელექტრობის მისაღებად ბირთვული ენერგიის ბაზაზე ჯერჯერობით იხმარება რღვევადი ბირთვული საწვავი. ერთადერთ ბუნებრივ რღვევად ელემენტს, რომელიც ყველაზე უფრო გამოსაღებია ენერგეტიკული მიზნებისათვის, წარმოადგენს ურანი-235. ეს არის ღია ნაცრისფერი ლითონი დიდი კუთრი წონით. ურანის ბურთულა 45 მილიმეტრი დიამეტრით კილოგრამს იწონის. ურანი-235 ბუნებაში გვხვდება ურან-238-ის მცირე მინარევის სახით. მისი უმნიშვნელო რაოდენობა ურანის მაღნეულ მარაგში მეტად გააძნელებდა ბირთვული ენერგეტიკის განვითარებას, ხელოვნური ბირთვული საწვავის მიღების ხერხები რომ არ ეპოვნათ. ასეთ საწვავს ამჟამად წარმოადგენს პლუტონიუმი-239, რომელიც ურან-238-დან მიიღება, და ურანი-233, რომელიც მიიღება თორიუმ-232-დან.

ხელოვნური საწვავების წარმოქმნის შესაძლებ-

ლობა საშუალებას იძლევა თითქმის მთლიანად გამოვიყენოთ ურანისა და თორიუმის ბუნებრივი მარაგი. გამოანგარიშებულია, რომ ბირთვული ენერგიის მთელი ის რაოდენობა, რომელიც ბუნების მიერაა მომარაგებული ურანსა და თორიუმში, მრავალჯერ აღემატება ნახშირის, ტორფის, ნავთობის, გაზისა და სხვა ორგანული ნივთიერებების ენერგეტიკულ მარაგს. ამგვარად, მეცნიერებამ უხვი საჩუქარი უძღვნა კაცობრიობას, დიდი ხნით გაათავისუფლა იგი სათბობის შიმშილობის საფრთხისაგან.

პასუხი რომ გავცეთ კითხვაზე, თუ როგორ ხდება ენერგიის გამოყოფა რღვევადი საწვავიდან, უნდა გავიხსენოთ, რომ ურან-235-ის ატომს აქვს ბირთვი, რომელიც შედგება 92 დადებითად დამუხტული ნაწილაკის — პროტონისაგან და 143 ნაწილაკისაგან, რომელთაც არა აქვს მუხტი — ნეიტრონებისაგან. ერთნაირად დამუხტული ნაწილაკების (პროტონების) დიდი რაოდენობა ურანის ბირთვს არამდგრად ხდის, ვინაიდან ელექტრული ძალები, რომლებიც პროტონებს შორის არსებობენ, განუწყვეტლივ ცდილობენ დაარღვიონ ბირთვი (ერთნიშნიანი მუხტები, როგორც ცნობილია, განიზიდებიან). ბირთვის მდგრადობა დაცულია კიდევ უფრო მძლავრი ძალების ხარჯზე, რომლებიც ბირთვული ძალების სახელწოდებას ატარებენ. ისინი ახშობენ ელექტრულ ძალებს და, ამგვარად, იცავენ ბირთვის მდგრადობას. ბირთვული ძალების სიმძლავრე შეიძლება წარმოვიდგინოთ იმ არაჩვეულებრივი სიმკვრივით, რომელსაც ნივთიერება ბირთვში იძენს. წყლის სიმკვრივე, როგორც ცნობილია, ერთ ტონას უდრის კუბურ მეტრზე. სიმკვრივე ბირთვული ნივ-

თიერებებისა კი, რომელიც შებოჭილია ბირთვული ძალებით, უდრის 100. 000 მილიარდ ტონას კუბურ მეტრზე. 40 კაპიკიანი მარკა, რომელიც 40 ჰილი გრამს იწონის, ბირთვული ნივთიერებიდან რომ იყოს დამზადებული, იგი არა ნაკლებ ხუთ მილიონ ტონას აიწონიდა.


ბირთვული ენერგიის გამოყოფა ხდება ბირთვების რღვევის დროს. ისევე როგორც ჩვეულებრივი სათბობის წვის დროს, რღვევა შეუძლია მხოლოდ აგზნებულ ბირთვებს. ურან-235-ის ბირთვის აგზნება იწყება მისი ნეიტრონთან შეერთების დროს. ამ დროს წარმოშობილი ახალი ბირთვი ძლიერ აგზნებული, „გახურებული“ გამოდის, მას არ ძალუდს შეინარჩუნოს თავდაპირველი სფერული ფორმა.

ბირთვი გაიწელება, გამოიწურება. ამ დროს ბირთვის ორ ნაწილს შორის მოქმედებას იწყებენ განზიდვის ელექტრული ძალები, რომლებიც ბირთვს ორ ნატეხად ხლეჩენ. ნეიტრონი, როგორც ვხედავთ, თითქო ამფეთქებელ ასანთს წარმოადგენს ბირთვის რღვევის პროცესში.

ორი წარმოქმნილი ნატეხი ერთმანეთისაგან უდიდესი სიჩქარით განიტყორცნება. ჩვენ ვიცით, რომ, რაც უფრო სწრაფად მოძრაობენ ატომები ან მოლეკულები, რომლებიც რომელიმე სხეულს შეადგენენ, მით უფრო მაღალია ამ სხეულის ტემპერატურა. სათანადო გადაანგარიშებით ჩვენ შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ სიჩქარეები, რომლითაც განიზიდება დარღვეული ატომის ნატეხები, 400—500 მილიარდ გრადუს ტემპერატურას შეესაბამება.

მთელი იმ ენერგიის ოთხმოცდაერთი პროცენტი, რომელიც ბირთვული პროცესის დროს გამოიყოფა, მიიღება სწორედ სწრაფად მოძრავი ბირთვული ნამსხვრევებისაგან. მაშასადამე, ძირითადად ბირთვული ენერგია სითბურის მსგავსია, ვინაიდან უკანასკნელი წარმოადგენს სხვას არაფერს, თუ არა გახურებული ნივთიერების ნაწილაკების (მოლეკულების, ატომების) მოძრაობას. ეს დასკვნა ატომური ენერგიის ბუნების შესახებ განსაზღვრავს სითბოს მისაღებად მისი გამოყენების მეთოდებსაც.

მეტად მნიშვნელოვანია ალინიშნოს, რომ ურანის ბირთვის რღვევის დროს, ორი ნატეხის გარდა, გამოიყოფა ორი ან სამი ნეიტრონი. ამ ნეიტრონებს შეუძლია გამოიწვიონ ურანის ორი ან სამი ბირთვის აგზნება. ეს ნიშნავს, რომ რეაქცია წავა სულ უფრო და უფრო შორს, ღვარულად ვითარდება. ეს პროცესი ძლიერ სწრაფად მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, ურანის დიდ ნატეხში ბირთვების უმეტესობის დაშლა ხორციელდება წამის ორი მემილიონედის განმავლობაში. ამ პრინციპზეა აგებული ატომური ბომბები.



ბირთვული ენერგიით მომუშავე ელექტროსადგურის სქემა 4—რეაქტორი, 5—და 35—რეაქტორისა და ორთქლენერატორის საკვები ტუბოვები, 36—ორთქლენერატორი, 37—წყლის შემთბობი ორთქლენერატორის კვებისათვის, 38—კონდენსატორული ტუბო, 39—კონდენსატორი, 40—ტუბობინა, 41—ელექტრული დუნის გენერატორი, 42—ბეტონური დაცვა

ატომური ენერგიის ენერგეტიკული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ წარმოიშვა, როცა აღამიანმა ისტავლა ბირთვების რღვევის მართვა, მისი რეგულება, მისი გარკვეული გამოანგარიშებული სიჩქარის დაცვა. მოწყობილობა, სადაც სარეგულებელი პროცესი მიმდინარეობს, ბირთვული რეაქტორის სახელშოდებას ატარებს. თავისი დანიშნულებით იგი წააგავს ჩვეულებრივი სითბური სადგურების ქვაბის საცეცხლეს. საჭირო სიმძლავრის მისაღებად რეაქტორში დებენ ბირთვული საწვავის სათანადო რაოდენობას. ბირთვების დაშლის ნატეხები ეჯახებიან სხვა ელემენტების ბირთვებს, გადასცემენ მათ თავის ენერგიას. თვით ბირთვული საწვავი და გარემომცველი მასალები სწრაფად ხურდება. თუ ეს სითბო დროზე არ „მოვაცილეთ“ რეაქტორიდან, უკანასკნელი სწრაფად გაღნება. რეაქტორის გაცივება ხორციელდება წყლის, გაზის, უფრო ხშირად — ჰელიუმის ან თხევადი მეტალების (კალიუმი, ნატრიუმი) საშუალებით.

ეს გამაცივებელი სითხეები მიეღინებიან მრავალრიცხვანი მილებით, რომლებიც რეაქტორში გაღის. განსაკუთრებული ტუმბოები ან ჰაერსაბერები იწვევენ გამაცივებელი სითხეების განუწყვეტილ ცირკულაციას.

იმისათვის, რომ სათანადო სიმძლავრე მიიღონ, საჭიროა ნეიტრონთა ნაკადის რეგულება. ამიტომ რეაქტორის სიმძლავრის რეგულების დროს სათანადო ცვლიან ნეიტრონული ნაკადის სიმძლავრეს. ეს კეთდება განსაკუთრებული მასალების დახმარებით, რომლებიც აქტიურად შთანთქავენ ნეიტრონებს. ერთ-ერთ ასეთ მასალას წარმოადგენს კალიუმი. კალიუმისაგან დამზადებული ლერძების ჩაშვებით რეაქტორის შიგნით, შეიძლება გავაღიდოთ ან შევამციროთ „ამფეტებელი“ ნეიტრონების რაოდენობა. ნეიტრონული ნაკადის შეცვლასთან ერთად იცვლება რეაქტორის სიმძლავრეც.

რეაქტორის მუშაობის დროს მაღალი ტემპერატურები არ მიიღება. მასში არ ბობოქრობს ალი, როგორც ორთქლის ქვაბების საცეცხლეებში. რეაქტორის ცალკე ნაწილებში ტემპერატურა 250—600 გრადუსის დონეზე იმყოფება.

ახლა გავეცნოთ თანამედროვე ატომურ ელექტროსადგურს. იგი შეიცავს ოთხ ძირითად სამკროს: რეაქტორულს, ორთქლენერატორულს, ტურბინულს, ელექტრულს (იხ. ნახ.). პირველ საამქროში დადგმულია ერთი ან რამდენიმე რეაქტორი. ეს საამქრო — სადგურის გულია. როგორც აღნიშნული იყო, ბირთვების რღვევის დროს გა-

მოიყოფა ენერგია, რომლის ხარჯზედაც ცხელდება რეაქტორის მილებში გამავალი წყალი, გაზები ან თხევადი მეტალები. რეაქტორების წყლით გაცივების დროს, უკანასკნელი 50—100 ატმოსფერო და უფრო მაღალი წნევის დროს 250—300° ტემპერატურამდე ცხელდება, მეტალებითა და გაზებით გაცივების დროს ტემპერატურა შეიძლება აყვანილ იქნეს 500—550°-დე. გახურებული მასალები გადადის ორთქლენერატორებში, სადაც ცხლი სითხე თავის სითბოს გადასცემს 10—15 ატმოსფერო წნევისა და 200—500° გადამეტხურების ტემპერატურის მქონე ორთქლის მისაღებად.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ რეაქტორის მუშაობის დროს ნეიტრონების დიდი რაოდენობა და ეგრეთ წოდებული გამმა-სხივების მძლავრი ნაკადი გამოიყოფა. ნეიტრონებიცა და გამმა-სხივებიც ძლიერ საშიშია ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამიტომ რეაქტორებსა და ორთქლენერატორებს სქელ ბეტონის კედლებს უკეთებენ. რეაქტორებთან და ორთქლენერატორებთან მისვლა მათი მუშაობის დროს აკრძალულია. მართვა ხორციელდება მანძილიდან, ავტომატურ მოწყობილობათა საშუალებით.

ორთქლენერატორი წარმოადგენს ჩვეულებრივი ტიპის რიგ მილოვან ქვაბ-თბოგამცვლელებს. თბოგაცემის გასაღილებლად მილებს თბოგამცვლელებში მცირე დიამეტრისას იღებენ. თუ გამაცივებელ მასალას მეტალი წარმოადგენს, იგი გამდნარი სახით თბოგამცვლელებში გაივლის მილებს შორის, რომელთა შიგნით მიეღინება წყალი, რომელიც ორთქლად იქცევა. ორთქლი, რომელიც ორთქლენერატორიდან ტურბინებისაკენ მიდის, უსაშიშოა.

ორთქლის ტემპერატურისა და წნევის მიხედვით განისაზღვრება სადგურის მარგი მოქმედების კოეფიციენტიც მთლიანად. იგი შეიძლება მერყეობდეს 20-დან 30 პროცენტამდე. მიღებული ენერგიის ნაწილი იხარჯება მრავალრიცხვანი ტუმბოებისა და ვენტილატორების მოსაყვანად მოქმედებაში. თვლიან, რომ ენერგიის ხარჯი საკუთარ საჭიროებებზე 4,5—5 პროცენტზე მეტი არ იქნება. ეს ნაკლებია, ვიდრე ჩვეულებრივ სითბურ ელექტროსადგურებში.

ატომური ელექტროსადგურები რიგი თავისებურებებით ხასიათდება. ისინი არ საჭიროებენ ჰაერს, რეაქტორები და ორთქლენერატორები უხმაუროდ მუშაობენ, არ აბინძურებენ ჰაერს მტვერითა და კვამლით. სათბობის ხარჯი უმნიშვნელოა. ასე, მაგალითად, რაოდენობა გამოყენებული ჟრა-

ნისა მილიონი კილოვატი ელექტრული სიმძლავრის სადგურში დაახლოებით 100—200 გრამს შეადგენს საათში.

თანამედროვე ატომური ელექტროსადგურების წინაშე ისმება არა მარტო ელექტრული ენერგიის წარმოების ამოცანა, არამედ ახალი ბირთვული საწვავის მიღებაც. ამ მიზნისათვის რეაქტორის ცენტრალური ნაწილი შეიძლება დამზადდეს ინტენსიურად რღვევადი მასალებისაგან, ე. ი. მასალებისაგან, რომლებიც ურან-235-ის ან პლუტონიუმ-239-ის გადიდებულ რაოდენობას შეიცავენ. ამ რეაქტორების პერიფერიაზე კეთდება შემონაცენი ურან-238 ან თორიუმ-232-დან. იმ ნეიტრონების გავლენით, რომლებიც ამ მასალებზე ხვდებიან, მათში მიმღინარეობს რიგი პროცესები, რომელთა შედეგადაც ურან-238-ის ბირთვები გარდაიქმნება პლუტონიუმად, თორიუმ-232-ის ბირთვები კი — ურან-233-ად. ორივე ეს ახალი ელემენტი ხასიათდება ისეთივე დადებითი თვისებებით, როგორც ბუნებრივი ურან-235. ახალი საწვავით წარმოქმნილი მასალები პერიოდულად იგზავნება ქიმიურ ქარხნებში, სადაც იგი სუფთა სახით გამოიყოფა.


• რეაქტორებს, რომლებითაც ახალი საწვავის მისალებად სარგებლობენ, გამამრავლებელ რეაქტორებს უწოდებენ... საინტერესო ამ პროცესში ისაა, რომ გამამრავლებელ რეაქტორებში ახლად მიღებული საწვავის რაოდენობა შეიძლება მეტი იყოს, ვიდრე გამოყენებულისა. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ მილიონი კილოვატი სიმძლავრის ელექტროსადგურს შეუძლია დღე-ლამეში აღადგინოს სამ კილოგრამამდე პლუტონიუმი, რაც ენერგეტიკული შემცველობით 22. 000 ტონა მოსკოვახლო აუზის ქვანახშირს უდრის. ბუნებრივია, რომ, რაც უფრო უკეთ ინახება ნეიტრონები ურანის ბირთვების რღვევის დროს, მით უფრო მაღალია გამრავლების ეფექტი. ატომური სადგურების სათანადო რაოდენობის აგების შემთხვევაში გამამრავლებელი რეაქტორებით, 30 — 40 წლის შემდეგ, კაცობრიობა მთლიანად იქნება უზრუნველყოფილი ბირთვული საწვავით ყველა თავისი საჭიროების დასაკმაყოფილებლად.

ატომური დანადგარების მიერ გამომუშავებული ენერგიის ღირებულება, ერთდროულად ახალი საწვავის წარმოქმნისას დიდი არ იქნება. ყურადღება მივაქციოთ ასეთ ციფრებს. თუ ვიგულვებთ, რომ რღვევადი მასალის ერთი კილოგრამი ასი ათასი მანეთი ღირს, მაშინ ატომური საწვავის 20 პროცენტი მარგი მოქმედების კოეფიციენტით გამოყენებისას ერთი კილოვატ-სათი ელექტროენერგიის ღირებულება 2,5 კაპიკი იქნება. სითბურ სადგურში კი მაღალკალორიული სათბობის გამოყენებისას (კილოგრამის ღირებულება=12 კაპიკი), სადგურის 37,5 პროცენტი მარგი მოქმედების კოეფიციენტით მუშაობისას სათბობის ღირებულება შეადგენს 3 კაპიკს კილოვატ-სათში. ატომური სადგურის აგების დროს დიდია თავდაპირველი ხარჯები.

სადგურები ატომური ენერგიის გამოყენებისათვის სულ მცირე ხნის წინათ შეიქმნა. ტექნიკის ეს დარგი ფართო გასაქანს იძლევა მეცნიერთა, ინჟინერთა და გამომგონებელთა მუშაობისათვის. ბირთვული ენერგიის რეზერვების გამოყენება დაგვეტმარება — განვახორციელოთ ოცნება ენერგიის მძლავრი და კომპაქტური წყაროების შესახებ.

საბჭოთა მეცნიერები ნაყოფიერად მუშაობენ შვეიცარიან მშენებლობაში ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემებზე. ჩვენ შეგვიძლია ვიამყოთ იმით, რომ პირველი სამრეწველო ელექტროსადგური 5.000 კილოვატი სიმძლავრით, რომელიც ატომური ენერგიით მუშაობს, შექმნილია საბჭოთა კავშირში. 1954 წლის 27 ივნისს ამ სადგურმა დაიწყო მუშაობა — გამოიყენა ატომური ენერგია და ელექტრული დენი მისცა. მრეწველობასა და მიმღებარე რაიონების სოფლის მეურნეობას. საბჭოთა მეცნიერები და ინჟინერები შემდგომ მუშაობას ეწევიან ატომური ენერგიით მომუშავე 50—100 ათასი კილოვატი სიმძლავრის სამრეწველო ელექტროსადგურების შესაქმნელად. ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს, რომ უახლოესი წლები ახალ წარმატებებსა და გამარჯვებებს მოგვიტანენ ამ ფრონტზე. აღამიანის გონების დიდი მიღწევა და ბუნების მძლავრი ძალები გამოყენებული იქნება მშვიდობიანი მიზნებისათვის, ჩვენი ხალხისა და მთელი კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

(„კომსომ. პრავდა“, 14.IX.64)



საქავეირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი

ნინო გენაშვილი

შემოდგომის ხორბლის ახალი ტიპი


ღიდი, მჩქეფარე ცხოვრებაა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. ჩვენი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობების წარმოების წარმატებები ღრმად აინტერესებს ყველა საბჭოთა ადამიანს. ამიტომ გამოფენაზე შეხვდებით არა მარტო სოფლის მშრომელებს; არამედ მუშებსაც, მეცნიერებსაც და საბჭოთა მეომრებსაც. მოზრდილებს შორის ხშირად მოკრავთ თვალს ბავშვების ჯგუფს. ისინი, ისე როგორც ღიდები, მოვიდნენ აქ, რომ ის-წავლონ. ბევრი მათგანი თვითონ არის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოუენის მონაწილე.

თითოეული პავილიონი აქ სასახლეა, რომელსაც აქვს საკუთარი სახე, თავისი ნაციონალური კოლორიტი.

მინის გუმბათი, მსუბუქი, მწყობრი, სინათლით გამსჭვალული შენობა — ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი მთელი თავისი შესახედაობით მეტყველებს საბჭოთა ბავშვების ნათელ და სასიხარულო ცხოვრებაზე. გამოფენაზე ბავშვებს თავისი საცდელი ნაკვეთიც აქვთ. იგი ნამდვილ „მწვანე ლაბორატორიას“ წარმოადგენს.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს კრასნოდარელ ნორჩ ნატურალისტთა ცდები. სწორედ მათ გადააქციეს სასკოლო ნაკვეთები ნამდვილ ლაბორატორიებად, მშობლიური ადგილები ხებითა და ყვავილებით დამშვენეს. შემოქმედებითი მუშაობის ცენტრს წარმოადგენს ნორჩ ნატურალისტთა კრასნოდარის სამხარეო სადგური. ხილის ბალი, სანერგე, საკენკრები, ვენახი, მარცვლეულის ნაკვეთები, — ყველაფერი მეტყველებს შრომითს გაქნებაზე, ბუნების მართვის უნარზე. წლითიწლო-

ბით კრასნოდარელი ნორჩი ნატურალისტები ხორბლის, კარტოფილისა და ბოსტნეულის მაღალ მოსავალს ღებულობენ. ხელსაყრელი პირობების. შექმნით მათ ყურძნის ადგილობრივი ჯიშების გაუმჯობესებას მიაღწიეს. ნორჩი ნატურალისტები ფართოდ სარგებლობენ ახალი აგროტექნიკით. ტორფნეშომპალა ქოთნები, კვადრატულ-ბუდობრივი რგვა, გრანულირებული სასუქები, თესლის მზითა და სითბური შეთბობა. შემკვრივებული ნათესები — ყველაფერ ამას ბავშვები მაღალი მოსავლის მისაღებად იყენებენ. მნახველებს აინტერესებს, თუ რა გზით გამოიყვანეს კრასნოდარელმა ნორჩმა ნატურალისტებმა ახალი ჯიშის ხორბალი „იუნატკა“. და ექსკურსიის ხელმძღვანელმა გვიამბო: ერთხელ პიონერულ შეკრებაზე ნორჩმა ნატურალისტმა ლიდია შპიტკომ წინადადება წამოაყენა — ჩატარებინათ ცდები გაზაფხულის ხორბლის გარდასაქმნელად საშემოდგომო ხორბლად. გოგონას წინადადებას მხურვალედ დაუჭირეს მხარი. პიონერებმა აილეს ხორბლის ოთხი სხვადასხვა ჯიში და სხვადასხვა ვადებში დათესეს. მხოლოდ ერთმა ჯიშმა გაუძლო მკაცრ ზამთარს. ისიც მხოლოდ რამდენიმე ძირი გადარჩა. მაგრამ ეს უკვე იყო გამარჯვება! ნორჩი ნატურალისტები ამ გადარჩენილ ძირებს უვლიდნენ როგორც ყველაზე ძვირფას რამეს, ყველა პირობას უქმნიდნენ, რომ მათი კარგი ზრდისა და განვითარებისათვის მიეღწიათ. რა დიდი არ იყო ბავშვების შრომა, მაგრამ გამოზამთრების პირველმა მცენარეებმა მცირე მოსავალი მისცეს მათ. შემოდგომაზე აღებული მარცვალი მეორედ დათესეს. ყუბანში ამ წელს მკაცრი ზამთარი იდგა. საჭირო იყო მცენარეების დაცვა, მათი გადარჩენა დალუპვისაგან. საშინელ ყინვებში გოგონები მიიჩქაროდნენ თავისი მცენარეებისაკენ, აკავებდნენ თოვლს, მაგრამ მცენარეების ნახევარი მაინც დაიღუპა. „მესამე თაობის“ თესვა ნორჩმა ნატურალისტებმა სექტემბრის დამლევს ჩატარეს. თესვამდე ერთი თვით ადრე ნიადაგი გააფხვიერეს, თესლები მწკრივებად მოათავსეს 3—4 სმ-ის სილრმეზე. ზამთარი ამჯერად თბილი იყო და ნორჩმა ნატურალისტებია მოსავალი სრულად აიღეს. კარგად შერჩეული თესლი მეოთხედ დათესეს. შემოდგომაზე გამოკვებილმა ხორბალმა, ადრე გაზაფხულზე დაიწყო ზრდა, აბიბინდა, გამოილო სავსე თავთავები და დროზე მომწიფდა. აქვე კი, გვერდით, აგრეთვე გაზაფხულზე დათესილმა ხორბალმა, თავთავები არ გამოილო. მიჩურინის მოძღვრების საფუძველზე გაზაფხულის



ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი

ხორბალი საბოლოოდ გადაიქცა შემოღვომის კულტურად. ასე შეიქმნა შემოღვომის ხორბლის ახალი ჯიში, რომელსაც ეწოდა „იუნატკა“, — დაამთავრა თავისი ნამბობი ექსკურსის ხელმძღვანელმა და მნახველებმა ყურადღებით დაუწყეს თვალიერება გოგონების მხნე სახეებს ფოტოგრაფიებზე, ოქროს თავთავებს შორის. განა არა მათდამი, უტეხებისა და ძიებაში მამაცებისადმი არ იყო მიმართული ივ. მიჩურინის წინასწარმეტყველური სიტყვები: „ახლა დადგა დრო, როცა ადამიანს შეუძლია აკეთოს სხვადასხვა მანქანების არა მარტო მკვდარი მექანიზმები, არამედ შექმნას ახალი სახეობის მცნარეთა დიდებული ორგანიზმები, მომავალში კი, ალბათ, შეძლებს შექმნას ახალი სახის ცხოველები, უფრო სასარგებლონი მისი ცხოვრებისათვის“.

მექანიზატორები

მნახველის ყურადღებას იპყრობს ერთ-ერთი ფოტოგრაფია: ტრაქტორის საჭეს უზის ბიჭუნა, მოშორებით კი მისი ამხანაგების ჯგუფი ყურადღებით აღევნებს თვალყურს ნორჩი ტრაქტორისტის ყოველ მოძრაობას. ქვევით ფოტოგრაფიების ქვეშ დგას მოდელები მუხლუხა-ტრაქტორის „ДТ-54“-ის და ხუთკორპუსიანი სატრაქტორო გუთნისა, რომელიც დამზადებულია პოლტავის ოლქის რაშევსკის სკოლის წრის წევრების მიერ. ნორჩი მექანიზატორები გატაცებული არიან არა მარტო სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოდელმშენებლობით. სასკოლო წრეში შეიძლება ტრაქტორის მართვის შესწავლაც. ვიდრე ტრაქტორის საჭეს მიუჯდებოდნენ, ნორჩი ტრაქტორისტთა წრეში შეისწავლიან ტრაქტორის ცალკე დეტალებსა და ნაწილებს, სქემებსა და ნახატებს. როცა ძირითადი განყოფილებები შესწავლილია, ბიჭუნებს დაუშვებენ პრაქტიკულ მეცანეობაზე მინდვრად. ექვსი წელია რაშევსკის სკოლაში მუშაობს სატრაქტორო წრე. ბევრმა ახალგაზრდამ შეისწავლა ამ დროის განმავლობაში ტრაქტორი, მიიღო მისი მართვის უფლება.

უახლესი სასოფლო-სამეურნეო მანქანების მოდელები პავილიონისათვის დამზადეს ნორჩი ნატურალისტთა ომსკის საოლქო სადგურის ნორჩმა ტექნიკოსებმა. ომსკის სადგური — ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძველესი საბავშვო დაწესებულებაა. იგი დაარსებულია 1926 წლის გაზაფხულზე და უკვე თითქმის ოცდაათი წელია დიდ მუშაობას აწარმოებს მოსწავლეებისათვის საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების საფუძვლების, საკოლმეურნეო მინდვრებზე გამოყენებული მოწინავე ტექნიკის გასაცნობად. სადგური მონაწილეობას იღებდა საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენიზე 1939 წელს. ნორჩი ნატურალისტთა მიღწეულებმა

მაშინ მაღალი შეფასება მიიღო: საღგური დაჯილდოებულ იქნა საპატიო დიპლომით, 56 ბიჭუნა და გოგონა შეტანილ იქნა საპატიო წიგნში. 1954 წლის საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე განსაკუთრებით ფართოდაა ნაჩვენები სადგურის ერთ-ერთი განყოფილების — სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ლაბორატორიის მუშაობა. ეს ლაბორატორია აერთიანებს რამდენიმე წრეს, რომლებიც შეისწავლიან ტრაქტორს, ავტომობილს, კომბაინს და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ნორჩმა ტექნიკოსებმა დაამონტაჟეს 53 მოქმედი მოდელი, მათ შორის ისეთი რთული მოდელები, როგორიცაა სასილოსე კომბაინი, სანიავებელი-დამხარისხებელი, პნევმატური მარცვალსაჭერელა და სხვ.

ნორჩი ნატურალისტთა პავილიონის მნახველები დიდის ინტერესით ათვალიერებენ ექსპონატებს, რომლებიც დამზადებულია ნორჩი ტექნიკოსთა თბილისის ცენტრალურ სადგურში. აქ გამოფენილია სასკოლო რაღიოკვანძი 25 ვატი სიმძლავრისა, დამზადებული თბილისის ქალთა 25-ე სკოლის კურსდამთავრებულთა ლ. ხითარიშვილის, მ. ყოჩიშვილისა და ლ. კოლესნიკოვას მიერ. რადიოკვანძს აქვს კონტური, აწყობილი აღგილობრივ რაღიოსადგურზე. გვერდს ვერ ავუკლით ვერც ხელსაწყოს თესლის ტენიანობის განსასაზღვრავად, დამზადებულს თბილისის მე-12 სკოლის კურსდამთავრებულის ა. ჩოდრიშვილის მიერ. ყურადღებას იპყრობს პორტატული (პაპიროსის კოლოფზე ნაკლები ზომის) დეტაქტორული მიმღები, დამზადებული ორგანული მინისაგან. მიმღები დიდ კრისტალს მოგვაგონებს და მისმა ავტორმა — თბილისის მერვე სკოლის მოსწავლემ ი. უკლებამ მას სათანადოდ — „კრისტალი“ უწოდა.

არა ნაკლებ ინტერესს წარმოადგენს თესლის შესაწამლავი მოწყობილობა, აგრეთვე დამზადებული თბილისის ნორჩი ტექნიკოსთა ცენტრალურ სადგურში.

ყურძნის მტევნების მოსაჭრელმა მაკრატელმა დააინტერესა ბევრი მევენახე, რომლებმაც ნორჩი ნატურალისტთა პავილიონი დაათვალიერეს. ეს მაკრატელიც ნორჩი თბილისელების მიერაა დამზადებული.

ტყის მეგობრები


ნორჩი ნატურალისტთა პავილიონში არის დიდი მხატვრული პანო, რომელზედაც გამოსახულია მოსწავლეები, რომლებიც ტყეში მერქნიანი ჯიშების თესლს აგროვებენ. პანო მიძღვნილია ტყის ნორჩი მეგობრებისადმი — პატარა უკრაინული სოფლის იგნატოპოლის მცხოვრებლებისადმი. გეოგრაფიისა

და ბიოლოგიის შესწავლისას, წიგნების კითხვისას იგნატოპოლელი მოსწავლეები გებულობდნენ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა ნაწილში როდი იზრდება ტყე, რომ არის ადგილები, სადაც ხშირია საშინელი ხორშაკი, რომელიც ადამიანის შრომის ნაყოფს ღუპავს. სასკოლო წრის — „ტყის მეგობრების“ წევრებმა გადაწყვიტეს შეეკრიბათ ხის ჯიშების თესლი და გაეგზავნათ იგი იმ რაიონებში, სადაც ბუნების გარდაქმნის გენერალური გეგმით გაშენებული იქნება მინდორსაცავი ზოლების მწვანე მასივები. 1949 წლის ივნისში ტყის ნორჩმა მეგობრებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს: მათ შეაგროვეს 7 ათასზე მეტი კილოგრამი რკო. ეს თესლი საკმაო იყო 212 ჰექტარი ახალგაზრდა მუხის ტყის დასარგავად. ყოველწლიურად მატულობს რაოდენობა თესლისა, რასაც ტყის ნორჩი მეგობრები აგროვებენ.


დიდის ინტერესითა და კმაყოფილებით ათვალიერებენ მნახველები სტენდს, სადაც ასახულია, თუ როგორ გახდნენ ნორჩი ნატურალისტები საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი.

ეს სტენდი იმას მეტყველებს, რომ ნორჩი ნატურალისტთა წრეებმა შეძლეს თავის წევრებს პროფესიის არჩევაში დახმარებოდნენ. აქ ფოტოგრაფიებზე ნაჩვენებია მოსკოვის ხილ-კენკრას სადგურის უფროსი მეცნიერი-თანამშრომელი, სტალინური პრემიის ლაურეატი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ხ. ენიკეევი, ყოფილი ნორჩი ნატურალისტები — როდნიკოვსკის მტს-ის მექანიკოსი მ. სუშკოვი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის აგრობიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელი ზოოტექნიკოსი რ. უჟვიი, სავინის მტს-ის მთავარი აგრონომი ბ. ზობაჩოვი და ბევრი სხვა. სრულიად მართებულადაა მოყვანილი სტენდზე მ. გორკის სიტყვები: „ჩვენ გვჯერა, რომ პიონერებიდან, მოწავლეებიდან, ნორჩი მცდელებიდან საბჭოთა ქვეყანა მიიღებს ათობით და, შესაძლოა, ასობით მიჩურინელებს, რომლებიც კაცოპრიობას მისცემენ არა მარტო მოსავლიანობის მასტიმულირებული სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანის ახალ მაგალითებს, არამედ ახალ კულტურებსა და მცენარეთა ჯიშებსაც გამოიგონებენ“.

საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე



კულტივატორი-შემომტრქვევი KPH-28



ტრანსპორტერი სასუქების გამფანტველი TYP-7

ქალიშვილებო და ჭაბუკებო, ჩვენო სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში! მტკიცედ შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას! იყავით მტკიცე და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის ღიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებებიდან

დირექტორების კანკონი

ჭრის გათოვნის

მიხეილ მახატაძე

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ლითონისა და სამთო საქმის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

შესავალი

ლითონების ჭრით დამუშავების პროცესში მწარმოებლობა შემდეგ ძირითად ფაქტორებზეა დამოკიდებული: 1. ჭრის სიჩქარის სიღილეზე, 2. ჭრის პროცესში ერთდროულად მომუშავე იარაღის მჭრელი პირების დასამუშავებელ დეტალთან კონტაქტის ზე-დაპირების სიგრძეზე, 3. მოსახსნელი ფენის კვეთის (მიწოდება და ჭრის სიღრმე) სიღილეზე და 4. ლითონსაჭრელი იარაღის მედეგობაზე.

მწარმოებლობის გაზრდა თავის მხრივ დამოკიდებულია პროცესთან დაკავშირებული დამხმარედროის შემცირებაზე, რასაც სამუშაო ადგილის კარგი ორგანიზაციითა და პროცესის ავტომატიზაციის მაქსიმალური გამოყენებით უნდა მივაღწიოთ.

ჩქარული ჭრის პროცესის განხორციელება, რის საშუალებას საბჭოთა მაღალხარისხოვანი სალი შენადნობებისაგან დამზადებული საჭრელი იარაღები იძლევა, პირველ რიგში გულისხმობს ჭრის მაღალი სიჩქარების გამოყენებას, რის შედეგად მცირდება დეტალის დამუშავების სამანქანო დრო და შესაბამისად იზრდება მწარმოებლობა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ლითონების ჭრით დამუშავება ვაწარმოოთ ჭრის ნებისმიერი სიჩქარე-ებით.

ჭრის სიჩქარის აბსოლუტური სიღილის გაზრდამ მხოლოდ განსაზღვრულ სიღილემდე შეიძლება უზრუნველყოს მწარმოებლობის მნიშვნელოვანი გადიდება. რადგან ჭრის მაღალი სიჩქარე მკვეთრად ამცირებს საჭრისის მედეგობას, ამიტომ იზრდება საჭრელი იარაღის ხარჯი და ეკონომიური თვალსაზრისით ზოგჯერ ჭრის მეტად მაღალი სიჩქარეები შეიძლება ხელსაყრელი არ იყოს.

შეიძლება თუ არა მწარმოებლობის გაზრდის ერთადერთ ძირითად გზად ჩაითვალოს მხოლოდ ჭრის სიჩქარის შემდგომი გაზრდა? ცხადია, რომ არა. მწარმოებლობის გაზრდას ჭრის პროცესში, როგორც, ზემოდ ვთქვით, ერთდროულად შეიძლება მივაღწიოთ მომუშავე საჭრელი იარაღის დასამუშავებელ დეტალთან კონტაქტის ზედაპირების სიგრძის გადიდებითაც. ამ შემთხვევაში იგულისხმება მრავალსაჭრისიანი ანაწყობები, მრავალსაჭრელი-რიანი იარაღები მსხვილი კბილებით, გეგმაში მცირეკუთხიანი საჭრისები და სხვ.

აქვე შევნიშნავთ, რომ ასეთი მეთოდის ფართო საწარმოო გამოყენება შეიძლება შეზღუდული იყოს სისტემის — „ჩარხი-დეტალი-საჭრელი“ იარაღის“

არასაკმარისი სიხისტით, ან ამძრავის მცირე სიმძლავრით.

უკანასკნელ ხანებში ფართო საწარმოო გამოყენება პოვა მოსახსნელი ფენის კვეთის — მიწოდებების გადიდების პრინციპზე დაფუძნებულმა ჩქარულმა ჭრის მეთოდმა.

ცნობილია, რომ მოსახსნელი ფენის კვეთის გადიდებით მცირდება დეტალის დამუშავების სამანქანო დრო და, მაშასადამე, იზრდება მწარმოებლობა. მაგრამ მოსახსნელი კვეთი განისაზღვრება ნამატის სიღილით, ამიტომ ჭრის სიღრმის ხარჯზე კვეთის გადიდება, განსაკუთრებით სუფთა და ნახევრად სუფთა ოპერაციების დროს, შეზღუდულია, რადგან განსაზღვრულ სიღილეზე მეტი ფენის მოხსნა შეუძლებელია. ამიტომ მწარმოებლობის გადიდებისათვის კვეთის გაზრდის ხარჯზე მიწოდების საშუალებით უნდა მიგვეღწია. მაგრამ ნახევრად სუფთა და სუფთა ოპერაციების დროს მიწოდების გადიდება შეზღუდული იყო დამუშავებული ზედაპირის სისუფთავის ხარისხით. ჭრის პროცესში დიდი მიწოდებების განხორციელებას შემდგომში საფუძვლად დაედო ორიგინალური კონსტრუქციის — გეგმაში ნულის ტოლი კუთხიანი საჭრელი იარაღის შექმნა.


დიდი მიწოდებებით მუშაობისათვის ფართო საჭრელპირიანმა სახარატო საჭრისებმა (ნახ. 1) დასაწყისში გამოყენება პოვეს ნახევრად სუფთა დამუშავებისათვის. მიწოდების სიღილეს ასეთი საჭრისისათვის შეარჩევენ საჭრელი პირის მუშა ნაწილის ზომის მიხედვით, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს მისი სიგრძის $\frac{3}{4}$ -ს.

ი. გ. ტურჩანინოვისა და ა. ო. ეტინის მონაცემების მიხედვით („სტანკი ი ინსტრუმენტ“, № 8, 1953 წ.) საბჭოთა კავშირში გეგმაში ნულის ტოლ კუთხეებიანმა საჭრისებმა ჯერ კიდევ 1938 წელში

პოვეს გამოყენება. იგი დანერგილ იქნა ს. ორჯონიშვილის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში ასაგლევი ტბერა-ციების შესასრულებლად.


პ. ა. მილოვანოვის წინადადებით ნორმალების სამქროში დაკონსტრუქციებულ და დანერგილ იქნა

ნახ. 1




სწრაფმჭრელი ფოლადის მიმჭრელი საჭრისები (ნახ. 2) დიდი მიწოდებებით მუშაობისათვის. ამის ანალოგიურად გამომუშავებულ იქნა სალი შენადნობისაგან დამზადებული ფირფიტებით აღჭურვილი საჭრისებიც (ნახ. 3).

სწრაფმჭრელი ფოლადი-



ნახ. 2



ნახ. 3


საგან დამზადებული მიმჭრელი ორპირიანი საჭრისი გამოიყენეს ფოლადების — 30, 35 და 40 დამუშავებისათვის შემდეგი ჭრის რეჟიმით: ჭრის სილრმე $t = 7$ მმ; მიწოდება $s = 0,55$ მმ/გრ და ჭრის სიჩქარე $v = 47$ მ/წთ.

დიდი მიწოდებებით ნახევრად სუფთა და სუფთა დამუშავების მეთოდის კვლევის მიზნით შემდგომი სამუშაოები დაიწყო 1941 წლიდან კალინინის სახელობის ლენინგრადის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ტექნოლოგიურ ლაბორატორიაში პროფ. ა. პ. სოკოლოვსკის ხელმძღვანელობით. ინჟინერის ი. ს. ამოსოვისა და ვ. ა. ბლიუმბერგის მიერ შექმნილ იქნა განიერი მჭრელპირიანი საჭრისის კონსტრუქცია დიდი მიწოდებებით სუფთა ჩარხვისათვის. საჭრისი დამზადებული იყო სალი შენადნობის T 30 K 4 მარკის ფირფიტისაგან. ამ კონსტრუქციის საჭრისის გეომეტრული პარამეტრები და ზომები წარმოდგენილია მე-4 ნახ-ზე. ეს საჭრისები გამოცადეს ჭრის შემდეგ რეჟიმებში:

$$t = 0,1 \text{ მმ}, s = 3,5 \text{ მმ/გრ}$$

$$\text{და } v = 150 \text{ მ/წთ.}$$


4




ნახ. 4

ა. ს. აზაროვმა გამოიმუშავა გეგმაში ნულის ტოლი კუთხით ორპირიანი საჭრისის კონსტრუქცია დიდი მიწოდებებით მომუშავე ნახევრად სუფთა

ჩარხვისათვის (ნახ. 5). ხსენებული საჭრისები შემდგომში დანერგილ იქნა არა მარტო ნახევრად სუფთა, არამედ სუფთა ჩარხვისათვისაც. დიდი მიწოდებებით ნახევრად სუფთა ჩარხვისათვის რეკომენდებულია ჭრის შემდეგი რეჟიმები: ჭრის სილრმე $t = 0,5 - 1,0$ მმ; მიწოდება $s = 1,5 - 2,5$ მმ/გრ და ჭრის სიჩქარე $v = 160$ მ/წთ.



ნახ. 5



ნახ. 6

იმავე მონაცემების მიხედვით დიდი მიწოდებით სუფთა დამუშავებისათვის განკუთვნილი საჭრისის კონსტრუქცია (ნახ. 6) მე-5 ნახ-ზე წარმოდგენილი კონსტრუქციის ანალოგიურია, მხოლოდ ამ უკანასკნელს შედარებით ნაკლები სიდიდის უკანა კუთხეს (ა) უკეთებენ და სუფთა დამუშავების ოპერაციების დროს ვიბრაციის შემცირების მიზნით აკუთხეს 5°-ის ტოლს იღებენ.

საჭრის ამზადებენ სალი შენადნობის T 30 K 4 მარკის ფირფიტისაგან, რომლისათვისაც ჭრის რეჟიმები შემდეგი მონაცემებით განისაზღვრება: 1) ჭრის სილრმე $t = 0,03 - 0,05$; 2) მიწოდება $s = 6 - 9$ მმ/გრ; 3) ჭრის სიჩქარე — $v = 150 - 160$ მ/წთ.


როგორც ცნობილია, 1947—48 წლიდან ჭრის ჩეარულმა მეთოდმა ფართო საწარმოო გამოყენება პოვა. ჭრის მაღალი სიჩქარეების გამოყენებასთან ერთად, საბჭოთა ნოვატორები და მეცნიერები მწარმოებლობის გადიდების უზრუნველყოფის მიზნით დიდი მიწოდებების გამოყენების პრინციპზე დაფუძნებული ჩეარული ჭრის პროცესის შემდგომ კვლევასაც ატარებდნენ.

შექმნა რა ორმჭრელპირიანი ორიგინალური კონსტრუქციის საჭრისი ვ. კოლესოვმა მოგვცა ლითონების დიდი მიწოდებებით დამუშავების ახალი პროგრესული მეთოდი, რომელიც ცნობილია „ძალური ჭრის“ მეთოდის სახელწოდებით. ამიტომ ამ მეთოდს უფრო დაწვრილებით შევეხებით.

ლითონების „ძალური ჭრის“ ვ. კოლესოვის მეთოდი

ლითონების „ძალური ჭრის“ ჩეარული ჩარხვის მეთოდი, შემუშავებული ვასილ კოლესოვის მიერ, დაფუძნებულია ორიგინალური კონსტრუქციის საჭრისის გამოყენებაზე, რომელიც საშუალებას გვაძლევს ჭრა ვაწარმოოთ დიდი მოწოდებებით და ამასთან უზრუნველყოთ დამუშავებული ზედაპირის მა-

ლალი ხარისხი. ვ. კოლესოვის საჭრისს (ნახ. 7) აქვს სამდენიმე მჭრელი პირი: (1) მთავარი მჭრელი პირი გეგმაში კუთხით $\varphi = 45^\circ$; (2) დამხმარე მჭრელი პირი მდებარეობს დასამუშავებელი დეტალის ღერძის პარალელურად და მისი კუთხე გეგმაში $\varphi_1 = 0$; გარდამავალი მჭრელი პირი (3) აერთებს (1) და (2) მჭრელ პირებს და დასამუშავებელი დეტალის ღერძის მიმართ დახრილია 20° -ით, რომლის სიგრძე $0,2—0,5$ მმ ტოლია. ეს პირი, გარდა იმისა, რომ ჭრაში ღებულობს მონაწილეობას, ამასთან განამტკიცებს საჭრისის სუსტ უბანს — წვეროს და იცავს მას გამოფხვიერებისაგან.



ნახ. 7

ვ. კოლესოვის საჭრისის ყველა მჭრელი პირი ერთდროულად იღებს მონაწილეობას ჭრის პროცესში. მათგან „მჭრელი-სასუფთაო პირი“, რომლის მთავარი კუთხე გეგმაში ნულის ტოლია, ასუფთავებს ზედაპირზე ნარჩენ სავარცხლებს და ამით დიდი მიწოდებებით მუშაობის დროს უზრუნველყოფილია სისუფთავის მაღალი ხარისხი. ვ. კოლესოვის მონაცემების მიხედვით, ნახევრად სუფთა ჩარხვის დროს იგი ჭრის შემდეგი რეჟიმით მუშაობს: ჭრის სიღრმე $t = 1,2—2,5$ მმ, მიწოდება — $s = 0,25—3$ მმ/გრ, ჭრის სიჩქარე — $v = 60—150$ მ/წთ.

ვ. კოლესოვის საჭრისებით მუშაობის დროს მიწოდება 10-ჯერ და უფრო მეტად შეიძლება გავადიდოთ როგორც სუფთა, ისე ნახევრად სუფთა ჩარხვის დროს. ამასთან საყურადღებოა ის გარემოება, რომ მაქსიმალური სიჩქარე რამდენჯერმე ნაკლებია ჩვეულებრივ ჩქარული ჭრის რეჟიმთან შედარებით. მიუხედავად ამისა, კოლესოვის საჭრისებით მუშაობის დროს, ე. ი. დიდი მიწოდებებით ჩქარული ჭრის პროცესის შემთხვევაში, უფრო მეტ მწარმოებლობას ვაღწევთ. თვალსაჩინოებისათვის განვიხილოთ მარტივი მაგალითი.

ვთქვათ, დასამუშავებელია ფლ 45 ($H_B = 180$, $s_r = 65$ კგ/მმ 2) მარკის ფოლადის დეტალი. ნამზადის სიგრძე $L = 400$ მმ; ხოლო დიამეტრი — $D = 100$ მმ. განვიხილოთ ორი შემთხვევა.

ა) ჩქარული ჭრის რეჟიმები. ჭრის მაღალი სიჩქარეების გამოყენებით დამუშავების

დროს ნორმატივების მიხედვით შეიძლება შევარჩიოთ ჭრის შემდეგი რეჟიმები: ჭრის სიღრმე $t = 2$ მმ; მიწოდება — $s = 0,4$ მმ/გრ. $T = 15$ კგ მარკის სალი შენადნობის საჭრისით დამუშავების დროს $T = 90$ -წუთიან მედეგობას მოცემულ პირობებში შესაბამება ჭრის სიჩქარე $v = 214$ მ/წთ. ჩარხის შესაბამისი ბრუნთა რიცხვი $n = 700$ ბრ/წთ. განვსაზღვროთ დეტალის დამუშავებისათვის საჭირო სამანქანო დრო (T) ცნობილი ფორმულით:

$$T = \frac{L}{n \cdot s}, \text{ სადაც } L \text{ — დასამუშავებელი ზედაპირის სიგრძეა, მმ.}$$

n — ბრუნთა რიცხვი ბრ/წთ.

s — მიწოდება მმ/გრ.

მოცემულ პირობებში გვექნება:

$$T_{\text{საშ.}} = \frac{L}{n \cdot s} = \frac{400}{700 \cdot 0,4} = 1,42 \text{ წუთი.}$$

ბ) დიდი მიწოდებებით ჩქარული ჭრის („ძალოსნური ჭრა“) მეთოდით მუშაობისას დამუშავების ყველა სხვა ერთნაირ პირობებში ჩარხვის დროს კოლესოვის საჭრისისათვის შეიძლება ავილოთ მიწოდება $s = 3$ მმ/გრ, ($t = 2$ მმ) ჭრის სიჩქარეს ვამცირებთ და ნაცვლად $v = 214$ მ/წთსა ვიღებთ $n = 90$ ბრ/წთ. (ჩარხის შესაბამისი ბრუნთა რიცხვი $n = 300$ ბრ/წთ.). დამუშავების ასეთ პირობებში გვექნება:

$$T_{\text{საშ.}} = \frac{L}{n \cdot s} = \frac{400}{300 \cdot 3} = 0,44 \text{ წუთი}$$

განხილული მაგალითებიდან ჩანს, რომ, მართალია, დიდი მიწოდებებით მუშაობის დროს ჭრის სიჩქარე თითქმის 2,5-ჯერ შევამცირეთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, დამუშავების სამანქანო დრო მიწოდების გადიდების ხარჯზე ძალური ჭრის დროს 3,2-ჯერ შემცირდა, ჩვეულებრივ ჩქარული ჭრის მეთოდით მუშაობასთან შედარებით.

დიდი მიწოდებების პრინციპზე დამყარებული ძალოსნური ჭრის მეთოდის გამოყენება შეიძლება არა მარტო ჩარხვის, არამედ ფრეზვის, რანდვის, ბურლვის, განშლის და სხვა პროცესებშიც. ამიტომ მოკლედ შევეხებით ძალური ჭრის დასახელებულ პროცესებს.

ძალური (დიდი მიწოდებებით) ფრეზვა

ვ. კოლესოვის მეთოდით მუშაობის პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ დიდი მიწოდებებით მუშაობა შეიძლება ფრეზვის პროცესშიც. ამასთან დაკავშირებით საფრეზო თავების საჭრისებს ამზადებენ კოლესოვის საჭრისის გეომეტრიული პარამეტრების ანალოგიურად. უურნალ „სტანკი ი ინსტრუმენტ“-ის (№ 6, 1953 წ.) მონაცემების მიხედვით უჟანგავი ფოლადის ფრეზვის დროს ასეთი მეთოდის გამოყენებამდე ახორციელებდნენ ჭრის შემდეგ რეჟიმებს: ჭრის სიღრმე $t = 1—1,5$ მმ; მიწოდება ფრეზის ერთ კბილზე $s_r = 0,09$ მმ, ჭრის სიჩქარე — $v = 167$ მ/წთ.

ძალური ფრეზვის განხორციელების შემდეგ იგი-
ვე უჟანგავ ფოლადს ჭრის ასეთი რეჟიმით ამჟავე-
ბენ: $t = 1-2$ მმ; $s_z = 0,3$ მმ/კბ და $v = 78$ მ/წთ.

ამ რეჟიმების შედარებიდან ჩანს, რომ, მართა-
ლია, ჭრის სიჩქარე ძალური ფრეზვის დროს ორ-
ჯერ იქნა შემცირებული, მაგრამ სამაგიეროდ მი-
წოდება თითქმის 3,5-ჯერ გადიდდა, რამაც მწარ-
მოებლობის გადიდებასთან ერთად ზედაპირის სი-
სუფთავის ხარისხის გაუმჯობესებაც უზრუნველყო.


1947 წელს ი. გ. ტურჩანიშვილმა შექმნა სალი შე-
ნაღნობის ტორსული ფრეზა, რომლის საჭრელ და-
ნებს სამი მჭრელი პირი ჰქონდა, რაც საშუალებას
იძლეოდა გვემუშავნა კბილზე გადიდებული მიწო-
დებებით $s_z = 0,5-0,8$ მმ ზღვრებში.

1953 წელში „სტანკოკონსტრუქციის“ ქარხნის
მფრეზავმა ა. ა. ბაბანცევმა შექმნა ორიგინალური
კონსტრუქციის ფრეზა დიდი მიწოდებებით მუშაო-
ბისათვის და ფოლადის ფრეზვის დროს მიწოდების
სიდიდე ფრეზის კბილზე 6—8-ჯერ გაადიდა. ბაბან-
ცევის ფრეზის საჭრელი დანის კონსტრუქცია წარ-
მოდგენილია მე-8 ნახ-ზე.

ბაბანცევის მონაცემების მიხედვით, ჭედვით დამ-
ზადებული ფლ 45 მარკის ფოლადის დიდი მიწოდე-
ბებით ჩქარული ფრეზის რეჟიმები ასეთია: $t = 2-4$ მმ;
 $s_z = 0,8-1,4$ მმ/კბ, $v = 98-112$ მ/წთ.

ასეთი კონსტრუქციის ფრეზებს ამზადებენ 4 და
8 კბილიანს ($D = 175$ მმ და $D = 200$ მმ დია-
მეტრების შესაბამისად).

დიდი მიწოდებებით ძალური ფრეზვის მეთოდი
ფართოდ ინერგება ჩვენი ქვეყნის მოსკოვის, ლენინ-
გრადისა და სხვა მოწინავე მანქანათსაშენებელ ქარ-



ნახ. 8

ხელში, აგრეთვე ჩვენს რესპუბლიკაშიც. მაგალითი-
სათვის, ქვემოთ მოყვანილ ცხრილში წარმოდგენი-
ლია თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ-
ქარხანაში დანერგილი ძალური ფრეზვის რეჟიმები.

ცხრილი 1

დასამუშავებელი დეტალების დასახელება	მასალა	საფრეზო ჩარხის მო- დელი, რო- მელზედაც სრულდება ოპერაცია	ოპერაციის დასახელება	ჭრის რეჟიმები			
				საფრეზო დანერგვამდე	ძალური ფრეზვის დანერგვის შემდეგ		
				მმ/წთ	ტ მმ	სმმ/წთ	მმ/წთ
ჩარხის წინა „ფენი“	Cr II	6 A 54	სუფთა	163	6	315	163
ჩარხის უკანა „ფენი“	Cr II	6 A 54	სუფთა	163	6	315	163
ჩარხის შუა „ფენი“	Cr II	6 A 54	სუფთა	163	6	315	163
სახურავი	Cr II	6 A 54	ნახევრად სუფთა	128	8	315	128
თამასა	ფლ 3Г	6 H 12	სუფთა	283	1	190	283
ლარტყა	ფლ 45	6 H 12	სუფთა	283	1	190	183


ძალური ფრეზვის მეთოდს კარგად დაეუფლენ და
1 ცხრილში მოყვანილი რეჟიმებით მუშაობენ ქარხ-
ნის მოწინავე მფრეზავები: კულუმბეგაშვილი, კაზა-
რიანი, ზინჩენკო, ერმაკოვი და სხვები.

მიუხედავად ამისა, ძალური ფრეზვის ფართო
საწარმოო დანერგვა ჯერ კიდევ ნელი ტემპით მიმ-
დინარეობს. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ეს
მეთოდი მასობრივად დაინერგოს მანქანათსაშენე-
ბელ საწარმოებში.

ძალური რანდვა

ვ. კოლესოვის დიდი მიწოდებებით ჩქარული
ჩარხის პროცესის გაცნობის შემდეგ სტანკოველ
გორეჩინას დაებადა აზრი ფოლადის დიდი მოწო-
დებებით რანდვის შესაძლებლობის შესახებ. მან დი-
დი მიწოდებებით რანდვის განსახორციელებლად
დამზადა კოლესოვის საჭრისის ანალოგიური გეო-
მეტრიული პარამეტრების მქონე სარანდავი საჭრისი
(ნახ. 9).

ძალური რანდვის მეთოდის გამოყენებამდე ფოლადების დამუშავებას ჭრის შემდეგი რეჟიმებით



ნახ. 9

აწარმოებდნენ: ჭრის სიღრმე $t = 3-4$ მმ, მიწოდება ორმაგ სვლაზე — $s = 0,8-1,5$ მმ და ჭრის სიჩქარე — $v = 15-18$ მ/წთ. ხოლო ძალური რანდვის დანერგვის შემდეგ $t = 3-4$ მმ; $s = 6$ მმ/ორმაგ სვლაზე და ჭრის სიჩქარე $v = 15-19$ მ/წთ. ამგვარად, დამუშავების ერთსა და იმავე პირობებში მიწოდება თითქმის 4-ჯერაა გადიდებული რის გამო მწარმოებლობის მნიშვნელოვან გაზრდას აღწევენ.

ძალური ბურლვა, განლრუება და გამოჭიმვა

დიდი მიწოდებებით ჩქარული ჭრის მეთოდის გამოყენებას მეტად მნიშვნელოვანი პერსპექტივები აქვს ბურლვის, განლრუების, გამოჭიმვის და ანალოგიურ პროცესებში.

1944 წ. ა. ნ. კაშირინმა და ფ. ა. ბარბაშოვმა შეისწავლეს ნახვრეტების დამუშავების დროს ბურლის მეღეგობა დიდი მიწოდებებით მუშაობის პირობებში. დადგენილ იქნა, რომ გამოყენებული პრაქტიკული მიწოდებები შეიძლება $1,5-2$ -ჯერ იქნეს გაზრდილი.

ფოლადის დამუშავების დროს (ფლ 45) $8-10$ მმ $\div 30-35$ მმ-დე დიამეტრების მქონე ბურლებისათვის უდიდესი მიწოდებების სიღრმე რეკომენდებულია $0,5-1,1$ მმ/ბრ ზღვრებში.

მიწოდებების მნიშვნელოვანი გადიდება შეიძლება მიღწეულ იქნეს განლრუების პროცესშიც. ამ შემთხვევაში ნახვრეტის ზედაპირის სასურველი სისუფთავის უზრუნველსაყოფად საღრუეს მჭრელი პირი დამზადებული უნდა იქნეს დასამუშავებელი დეტალის ღერძის პარალელურად.

რა უნდა გვახსოვდეს ძალური ჭრის ჩქარული მეთოდით მუშაობის დროს

დიდი მიწოდებებით ჩქარული ჭრის მეთოდი შეიძლება განვახორციელოთ როგორც არსებულ, ისე მით უმეტეს თანამედროვე ახლად გამოშვებულ ჩარხებზე. მაგალითად, არსებული სახარატო ჩარხები საშუალებას გვაძლევენ ვიმუშაოთ $s = 3-2,65$ მმ/ბრ-დე მიწოდებით, ხოლო თანამედროვე 1623 და სხვა მოდელის ჩარხებით — 8 მმ/ბრ-ზე.

არსებული და თანამედროვე ახლად გამოშვებული საფრეზო ჩარხებისათვის წუთში მაქსიმალური მიწოდების სიღრმე 900—2000-მმ-დე იცვლება, ხოლო მათი სიმძლავრე 5—40 კვტ-ს აღწევს. ცხადია, ასეთ ჩარხებზე წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ დიდი მიწოდებებით ჩქარული ფრეზვის მეთოდი. თუ ზოგჯერ ჩარხები ვერ აკმაყოფილებენ ძალური ჭრის პროცესის მოთხოვნილებებს, უნდა მივმართოთ ნაწილობრივ მოდერნიზებას (მიწოდების დიაპანზონის, ამძრავის სიმძლავრის გაზრდის, სიხისტის გადიდებისა და სხვა თვალსაზრისით).

დიდი მიწოდებებით მუშაობის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უშიშროების ტექნიკის წესების დაცვას. პირველ რიგში უნდა განვახორციელოთ მიწოდებების ავტომატური გამორთვა, განსაკუთრებით მცირე გაბარიტიანი დეტალების დამუშავებისას.

პარტია და მთავრობა დიდ მზრუნველობას იჩენს დიდი მიწოდებებით ჩქარული ჭრის მეთოდის ფართო საწარმოო დანერგვის საქმეში. გასულ წელს საბჭოთა კავშირის ჩარხმუნებლობის სამინისტროს ტექნიკური საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე ჩვენი ქვეყნის მოწინავე მეჩქარულებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ჭრის დარგის გამოჩენილ სპეციალისტებთან ერთად განიხილეს საკითხი ძალური ჭრის მეთოდის შესახებ.

ვ. კოლესოვის ძალური ჭრის მეთოდი აღიარებულ იქნა მოწინავე პროგრესულ მეთოდად, რომელიც მიმართულია ჭრის პროცესის მწარმოებლობის შემდგომი გადიდებისაკენ: საბჭოს გადაწყვეტილებით ეს მეთოდი ფართოდ უნდა დაინერგოს არა მარტო სახარატო ოპერაციებზე, არამედ ჭრით დამუშავების თითქმის ყველა დარგში (ფრეზვა, რანდვა ბურლვა და სხვა).

ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ფართოდ დავნერგოთ ვ. კოლესოვის მეთოდი. ამასთან უნდა გაფართოვდეს მუშაობა ამ მეთოდის შემდგომი სრულყოფისათვის, რათა დიდმიწოდებიანი ლითონების ჩქარული ჭრის პროცესის დანერგვით და მისი შემდგომი სრულყოფით კიდევ უფრო გავადიდოთ მწარმოებლობა.

ქობური თეიმურაზ ბაგრატიონი

ნინო იდაშვილი

ქართველ მოგზაურთა შორის (სულხან-საბა ორ-ბელიანი, დანიბეგაშვილი, ავალიშვილი და სხვ.) ყურადღებას იპყრობს თეიმურაზ ბაგრატიონი.

თეიმურაზ ბაგრატიონი (1782—1846 წწ.), საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII შვილი, თავის დროისათვის მეტად განათლებული და კულტურული ადამიანი იყო.

თეიმურაზს სწავლა-აღზრდა საქართველოშივე მიუღია, მაგრამ, ეჭვს გარეშეა, რომ მის გათვით-ცნობიერებაზე განსაკუთრებულ გავლენას მოახდენდა პეტერბურგი, სადაც ის ხანგრძლივად ცხოვრობდა. პეტერბურგში შეისწავლა მან ლათინური და ბერძნული ენები და აქვე ეწეოდა ფრიად ნაყოფიერ მუშაობას. თეიმურაზი 1837 წელს არჩეული იქნა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრად. იგი ხანგრძლივად თანამშრომლობდა აგრეთვე „პარიზის საზოგადოებაში“ და მჭიდრო კავშირი ჰქონდა აკადემიკოს ბროსესთან. ეს უკანასკნელი თავის თავს თეიმურაზის მოწაფედ აღიარებდა.

თეიმურაზმა დაგვიტოვა ძვირფასი ლიტერატურული მემკვიდრეობა: „არმაზის კერპის მოკლე ისტორია“, „იბერთა ათონის მონასტრის დაარსება და თავებადასავალი“, „როდის და როგორ დაიპყრეს თურქებმა სამცხე-საათაბაგო“, „განმარტებითი ლექსიკონი ვეფხის-ტყაოსნისა“, „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ და სხვ.

თეიმურაზ ბატონიშვილის ნაშრომი — „მოგზაურობა ჩემი ევროპისა სხვათა და სხვათა ადგილთა“ აღმოჩენილ იქნა ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში და გამოქვეყნდა 1945 წ. თბილისში ა. მ. გაბისონიას და სოლომონ იორდანიშვილის წინასიტყვაობით.

თეიმურაზ ბაგრატიონის ეს ნაშრომი საინტერესოა არა მარტო ისტორიკოს-ეთნოგრაფისათვის, არამედ გეოგრაფისათვისაც.

1836 წ. მაისში თეიმურაზი პეტერბურგიდან დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა სამკურნალოდ. ფიზიკურად სუსტი, ავადმყოფობისაგან ღონემიხდილი თეიმურაზი მოგზაურობის დროს დიდი ცნობის-მოყვარეობით ეცნობა და აკვირდება უცხო ქვეყნებს, ათვალიერებს მუზეუმებს, ისტორიულად საინტერესო ადგილებს, ძეგლებს და სხვ. თეიმურაზ

ბაგრატიონი „გამოცდილი მოგზაურის თვალით სჭირებს გზად შეხვედრილ ყოველ საგანსა და მოვლენას. იგი ცდილობს და ალაგ-ალაგ კიდევაც აღ-



თეიმურაზ ბაგრატიონი

წევს იმას, რომ მისი აღწერანი იძლეოდნენ ნახულის სრულ, სინთეზურ სურათს“*.

მისი მოგზაურობის მარშრუტი ასეთი იყო: „პეტერბურგი, ესტონია, ლიფლანდია (ლატვია), კურლანდია (ლიტვა), აღმოსავლეთი პრუსია, დასავლეთი პრუსია, პომერანია, მეკლენბურგი, შვერინი, ბერლინი და მისი მიღამოები, ბოჭემია, რეინის ოლქი“.

მოგზაურს ეხერხება მოკლედ, ხშირად რამდენიმე წინადაღებითაც კი, დამაჯერებლად დაახასიათოს ახლად ნახული კუთხის ბუნება, ქალაქი, ხალხი, მათი ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და სხვა ისე, რომ მკითხველს მისცეს სრული და ნათელი წარ-

* თეიმურაზ ბატონიშვილი — „მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“. თბილისი, 1945 წ., გვ. 5.

მოდგენა. აი, მაგალითად, როგორ აგვიშერს თეიმურაზი ბოჭემიის ბუნებას: „ბოლემიის ქვეყანა ბუნებით ფრიად მაგარი არს, დიდ-დიდთა, მთათა, გორათა, ხევთა კლდიერთა, იწროთა გზათა და შესავალთა და ტყეთა მიერ“*.

ძნელად შევხვდებით ლიტერატურაში ბუნების ასე მოკლე, მაგრამ ბევრის მთქმელ დახასიათებას.

ავტორი თავის შრომაში საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს ქალაქებისა და მათი მიღამოების დახასიათებას. განსაკუთრებით მოსწონს ქართველ მოგზაურს ქალაქი შტეტინი (ამჟამად შჩეცინი). მოგზაური მას უმშვენიერეს ქალაქად თვლის „ჰაერითა, მდებარეობითა, ადგილითა და წყლითა, სიმაგრითა და შენებულებათა ყოველითავე შემკული“**.

კარგადაა დახასიათებული შრომაში აგრეთვე ქალაქი მარიამბადი, მისი მდებარეობა, ბუნება, დასახლების ხასიათი და სხვ. თეიმურაზ ბაგრატიონს განსაკუთრებით აოცებს ნაძვნარი, რომლითაც მოსილია ის შვიდი მომცრო ბორცვი, რომელზედაც გაშენებულია ქ. მარიამბადი — „ესე ვითარნი ნაძვნი ძვირად სადმე იპოვებიან, რომელნიც ძირით თვისით ვიდრე მწვერვალადმდე ესრეთ სწორეთ არიან ასულნი, რომელ განგებ კაცს ეგონება, ხარატის ჩარხში გამოყვანილი არისო“*** და ა. შ.

მოგზაურობის დროს თეიმურაზი ყურადღებას ამახვილებს უფრო მეტად სპეციფიკური ობიექტების, მოვლენებისა და ფაქტების მიმართ და გვაძლევს თითქმის მათ ფოტოგრაფიულ სურათს. თეიმურაზი სწორედ ამით განსხვავდება ჩვეულებრივი ცნობისმოყვარე მოგზაურისაგან.

მოგზაური ყურადღებას აქცევს არა მარტო ბუნებრივ მცენარეულ საფარს, არამედ კულტურულსაც; მაგალითად, ქ. დრეზდენის დახასიათებისას განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ ამ ქალაქის მიღამოები — მთაც და ბარიც, სულ მოსილია ვაზითა და ხეხილით.

რაღაც შრომა დღიურის ხასიათს ატარებს, მოგზაურობა აწერილია თანმიმდევრობით, ნახულის მიხედვით. როდესაც მოგზაური კარლსბადში ჩავიდა, უპირველესად დაათვალიერა და აღწერა ქალაქის ღირსშესანიშნავი ადგილები.

განსაკუთრებულად დაუთვალიერებია და, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, კარგად „გაუჩხრეკია“ ქალაქის ბაზარი. შრომაში აწერილია კარლსბადის ბაზარი, რომელიც იმართება ზაფხულობით, რაღაც „დიდი მოგება აქვთ ვაჭართა“ ჩამოსულ ავადმყოფდამსვენებლებისაგან და „გამვლელ-გამომვლელისაგან“. კარლსბადი არა მარტო საკურორტო ქალაქია, არამედ მოგზაურის სიტყვებით „ხალხით მრავალი

* თეიმურაზ ბატონიშვილი — „მოგზაურობა ჩემი ევროპისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“. თბილისი, 1945 წ., გვ. 58.

** იქვე, გვ. 43.

*** იქვე, გვ. 70.

და ხმელეთის ქალაქობაზე დიდად საუცხოვო სავაჭრო ქალაქი“.

თეიმურაზი მოვითხობს ქალაქ კარლსბადის წარმოშობის ისტორიას, რაც ძალიან გავს ლექსის გენდას, რომელიც ქ. თბილისის წარმოშობის შესახებ არსებობს.

თეიმურაზი ფაქტებისა და მოვლენების უბრალო ამწერი და აღმრიცხველი არ არის, გზადაგზა იგი ყოველთვის ცდილობს მოვლენები გააშუქოს მიზეზშედეგობრივი კავშირით. ამაშია სწორედ მისიღირსება და დამსახურება, როგორც მოგზაურისა და მკვლევარისა.

შრომაში საკმაოდ დაწვრილებით არის აწერილი მინერალური წყლები კარლსბადში (ამჟამად კარლოვი-ვარ) და გარიამბადში (ამჟამად მარიანსკელაზე).

განსაკუთრებით მდიდარი ყოფილა წყაროებით მარიამბადი, არა მარტო სამკურნალო, არამედ ჩვეულებრივი ან, როგორც თეიმურაზი უწოდებს, „სანიადაგო სასმელი“ წყაროებით. „გაინც ზოგად მარიამბადში, ყოველს სახლში არის წყაროები: ზოგგან ხის ლარებით, ზოგგან მილებით მთიდამ ჩამოტანილი. ისეთი წყლები არის სანიადაგო სასმელი, რომ უკეთესი გემრიელი, შემრგვა და წმინდა წყალი თუ არა საქართველოში, სხვაგან არსად მინახავს“*. მაგრამ შრომაში უფრო მეტი ადგილი აქვს დათმობილი სამკურნალო წყლების დახასიათებას და მათ ხმარების წესებს.

თეიმურაზის, როგორც მკვლევარისა და მოგზაურის, ღირსება იმაშია, რომ იგი მოგზაურობის დროს ერთი რომელიმე ობიექტით ან მოვლენით კა არ არის გატაცებული, რაც ხშირად დამახასიათებელია ზოგი მოგზაურისათვის, რომელიც ერთი რომელიმე საკითხის ძიებისას თავის ირგვლივ ვეღარაფერს ვერ ამჩნევს. პირიქით, თეიმურაზს უცხო ქვეყანაში ყველაფერი თანაბრად აინტერესებს — ბუნება, ადამიანი, მისი ყოფა-ცხოვრება, ხელოვნება და სხვ. მას აინტერესებს უფრო მეტად ის, რაც ამა თუ იმ კუთხეს ან ქვეყანას განასხვავებს მეორისაგან.

გასცდა რა მოგზაური კურლანდიის საზღვარს და ფეხი შედგა „ვილენცის გუბერნიაში“ (ყოფ. ვილნოს გუბ.). მის თვალს არ გამოპარვია ამ კუთხის სოფლისა თუ ქალაქის მოსახლეობის განსაკუთრებული სიღარიბე. თეიმურაზი გულისტკივილით გვიამბობს: „და რაც სოფლები, გინა უიეზდის ქალაქები ვილენცისა შეგვხვდა, მცხოვრებთა მათთა განსაკვირვებელი არს სიგლახაკე, რომელიცა მოგახსენოთ, დღეთა შინა ჩემითა არა რომელსა შინა ქვეყანასა, არცა ევროპისა აღგილთა, არცა

* იქვე, გვ. 75.

როსიისა, არცა აღმოსავლეთისა, გინა სხვათა აზი-ისა კერძოთა, რაიცა ადგილი მე მომივლიეს, არა მინახვანან ეგრეთნი გლახაკნი და არცა სადა ამბად მსმენიეს ეგრეთი გასაშულებული მცხოვრებნი. ძონძ-ძუნძნი მოსიათ, გასვრილნი და ყოვლითურთ შეურაცხნი**. მოგზაური არ კმაყოფილდება მხო-ლოდ ფაქტის აღნიშვნით და გვაუშებს, რომ გლე-ხებს და საწყლებს აქ ამუშავებენ „მსგავსად ფარა-ონის კირთებისა ეგვიპტურისა“, რის შედეგადაც ერთ მხარეზე გროვდება სიმდიდრე, მეორეზე ღრმავდება სილარიბე და სილატაკე.

კარგადაა შრომაში აწერილი იმდროინდელი გერმანიის ქალაქები, სასახლეები და გერმანელი ხალხის ზნე-ჩვეულებანი.

* იქვე, გვ. 19.

თეიმურაზი მოგზაურობის დროს აუცილებლად აქცევს ყურადღებას აგრეთვე პოლიტიკურ საზ-ლვრებს, უფრო მეტიც — ვის ეკუთვნოდა უწინ და ვის ეკუთვნის იმუამად და სხვ. ამრიგად, მოგზაურის ყურადღების ცენტრშია აგრეთვე პოლიტიკური გეოგრაფიაც.

ზემონათქვამიდან მკითხველს ადვილად შეუძლია გამოიტანოს დასკვნა, რომ თეიმურაზის გეო-გრაფიული პორიზონტი მეტად ფართო იყო, ამიტომაც მკვლევარი, რომელიც მიზნად დაისახავს შეისწავლოს გეოგრაფიული აზროვნების განვითარების ისტორია საქართველოში, გვერდს ვერ აუხვევს თეიმურაზის შრომას: „მოგზაურობა ჩემი ევროპიისა და სხვათა და სხვათა ადგილთა“.

საგზოთა ცეკვის გილევაგი

კატიონიტური ფილტრი

უზარმაზარ ორთქლის ქვაბსა და ლი-თონის პატარა ჩაიდანს ერთი და იგივე მტერი ყავს — მინადული... მინადულის მატება ქვაბის კედლებზე იწვევს სათბობის გადახარჯვას. ქვაბი თანდათანობით ზიანდება, საჭირო ხდება მისი რემონტი ან გაშვენდა.

რაც უფრო ხისტია წყალი, მით უფრო მეტი მინადული წარმოიქმნება.


ყველაზე ხისტია ზღვის წყალი, ყველაზე რბილია — წვიმის წყალი. წყლის სი-სრულე დამოკიდებულია მასში გახსნილი მაგნიუმის, კალციუმისა და სხვა მეტა-ლების მარილთა შემცველობაზე.

მინადულთან ბრძოლა ყველაზე უმ-კობესია ქვაბში მიღებული წყლის დარ-ბილებით.

ინჟინერმა მ. ფ. შაპროვმა დაამუშავა კონსტრუქცია კატიონიტური ფილტრისა წყლის დასარბილებლად. ამ კონსტრუქ-ციამ გაიარა გამოცდა და საფუძვლად გახდა სხვადასხვა ზომისა და სხვადასხვა მწარმოებლობის ფილტრების გამოშვები-სათვის.

წყლის დარბილება კატიონიტურ დად-გმულობაში ხორციელდება ფილტრაციის პროცესში. სულფირებული ნახშირის —

კატიონიტის ფენაში, რომელიც მოთავსე-ბულია დრენაჟულ სისტემაზე, ატარებენ



ბიან, გაცვლა-გამოცვლას იწყებენ კალ-ციუმისა და მაგნიუმის კატიონებთან, რომლებიც წყალში იმყოფებიან. ამ გაცვლა-გამოცვლის შედეგად წყალში რჩება მხოლოდ ნატრიუმის მარილები, რომლებსაც დიდი ხსნადობა ახასიათებს და არ წარმოქმნიან მინადულს. კატიონიტის ფენა, რომელიც ფილტრშია მოთავსებული, თანდათანობით და შრების მიხედვით განიცდის გაჭერებას კალციუმისა და მაგნიუმის მარილებით. ამიტომ კატიო-ნიტურ ფილტრს 10—12 საათის მუშაობის შემდეგ აჩერებენ რეგენერაციისათვის. მას ნატრიუმით „მუხტავენ“ სულფო-ნახშირის ყველა მარცვლის სუფრის მარილის 5—8 პროცენტიანი ხსნარით გა-რეცვის გზით. მარილის ხსნარის დასამზადებლად დანიშნულია კვარცის ფილტ-რი — მარილგამხსნელი.

ქვაბებისა და სამრეწველო დანადგა-რების დარბილებული წყლით კვებისას იზოგება 10 % -დე სათბობი, 60 % -ით ჩაიტანება სარემონტო სამუშაოთა მოცულობა, ქვაბების გარეცვა საჭირო ხდება არა ერთი თვის, არამედ 6—12 თვის მუშაობის შემდეგ.

(„ტექნიკა მოლოდენი“)

მესნირეგისა და ცეკვის

პეტერი

* ოთხმოცდახუთი წლის წინათ, როგორიბლის ასაღებ ყველაზე სრულყოფილ მანქანებად სამკელები და სალეშელები ითვლებოდა, ყოფ. ტვერის გუბერნიის ბეჭუცის მაზრის ს. ბორისოვსკოეში ძუშაობდა საინტერესო მანქანა. იგი ერთ-დროულად მკიდა და ლეშავდა პურს. ეს მანქანა გამოიგონა ანდრია რომანის-ძე ვლასენკომ.

1869 წლის 5 ნოემბერს „სანკტ-პეტერბურგის სენატის უწყებებში“ დაიბეჭდა ცნობა, რომ მიწათმოქმედებისა და სოფლის მრეწველობის დეპარტამენტმა ანდრია ვლასენკოს ათი წლის ვადით პრივილეგია მისცა მის მეურ გამოგონებული მანქანისათვის.

მრავალრიცხოვანი შეკითხვების საპასუხოდ ვლასენკო წერდა: „ჩემი მანქანა შედგება სამი ნაწილისაგან: პირველი — ეს არის სათიბელა, მეორე — გადამცემი, მესამე — სალეში, რომლის უკან მოთავსებულია დიდი ხის სკივრი, სადაც იყრება განალეში მარცვალი... მანქანა მიჰყავს ორ ცხენს, რომელთაც ერთი კაცი უვლის“. თავის მანქანას ვლასენკო „მომკელ-მლეშავ“ მანქანას უწოდებდა და წერდა, რომ ასეთი მანქანა 20-ჯერ უფრო მწარმოებლურია, ვიდრე ამერიკული მაკკორმიკის სამკელი მანქანა.

თავისი მანქანები ვლასენკომ საკუთარი სახსრებით დამზადა. მეფის მთავრობამ ეს მანქანები 1870 წელს ავსტრო-უნგრეთში გახსნილ მსოფლიო გამოფენაზეც კი არ გაგზავნა.

ვლასენკოს გამოგონებიდან 11 წლის შემდეგ ამერიკაში გამოსცადეს ახლად გამოგონებული პურის მოსავლის ასაღები მანქანა. იგი მიჰყავდა 24 ჯორს, რომლებსაც 7 კაცი მიჰყვებოდა. ამერიკული მანქანა — „კომბაინი“, როგორც ა. ვლასენკოს მანქანა, ერთდროულად მკიდა და ლეშავდა.

„ზემლედელჩესკაია გაზეტა“ რუსეთში ამის შესახებ წერდა: „ამერიკული კომბაინი ძლიერ გავს ვლასენკოს მანქანას, მაგრამ იგი უფრო მძიმეა და მოძრაობაში მოჰყავს 24 ჯორს, რომლებსაც 7 კაცი უვლის. ვლასენკოს მანქანა კი მუშაობს წყვილი ან სამი ცხენით, რომლებსაც ერთი კაცი უფლის. ამასთან ამერიკული კომბაინი მრავლად კარგავს მარცვალს, ვლასენკოს მანქანის შემდეგ კი მიწაზე მარცვლის პოვნა ძნელი იყო“.

რუსეთი მსოფლიოში პირველი კომბაინის სამშობლოა, ამასთან — უფრო სრულყოფილის, ვიდრე 11 წლის შემდეგ ამერიკების მიერ „გამოგონებული“ კომბაინი იყო.

* 25 წლის წინათ, 1929 წლის 5 ნოემბერს, მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირში პირველი პლანეტარიუმი. ამეამად მოსკოვის პლანეტარიუმი ყველაზე სრულყოფილია მსოფლიოში. პლანეტარიუმის მექანიკოსებმა ლეშტორთა კოლექტივთან თანამეგობრობით გამოიგონეს მთელი რიგი მოწყობილობანი, რომლებიც შესაძლებლობას იძლევიან უჩვენონ ვარსკლავთა ციმციმი, მზისა და მთვარის დაბნელებანი, კომეტები, მეტეორები, ღრუბლები.

გარდა აპარატისა — პლანეტარიუმისა, მოსკოვის პლანეტარიუმს აქვს რიგი სპეციალიზებული აუდიტორიები, დანიშნული სხვადასხვა ცდების დემონსტრაციისათვის, და ასტრონომიული მოედანი, აღჭურვილი მრავალრიცხოვანი ასტრონომიული ინსტრუმენტებით. პლანეტარიუმის მუშაობის განმავლობაში იგი 15 მილიონზე მეტმა ადამიანმა დაათვალიერა.

* 75 წლის წინათ, 1879 წლის 5 ნოემბერს, გარდაიცვალა ჯემს კლერკ მაკეველი, ელექტრობისა და მაგნიტიზმის კლასიკური თეორიის ერთ-ერთი ფუძემდებელი (დაიბადა 1831 წ.). მაქსველის მიერ დამუშავებულია სინათლის ელექტრომაგნიტური თეორია, რომლის შედეგები ცდით იქნა ბრწყინვალედ და-ასტრულებული.

მნიშვნელოვანი გამოკვლევებია შესრულებული მეცნიერის მიერ გაზების კინეტიკური თეორიის დარგში (გაზის მოლექულთა სიჩქარეების განაწილება, გაზების შინაგანი ხახუნის საკითხები და სხვ.) და ოპტიკასა და თერმოდინამიკაში.

* 30 წლის წინათ, 1924 წლის 6 ნოემბერს, საცდელ რეისში გავიდა მსოფლიოში პირველი მძლავრი (1 030 ცხენის ძალის მქონე) მაგისტრალური თბომავლი, რომლის სისტემა ნიჭიერი საბჭოთა გამომგონებელმა ი. ჭ. გაკერ მა და-ამუშავა. ახლა თბომავლებმა ფართო გავრცელება მოიპოვეს საბჭოთა კავშირის რკინიგზებზე, განსაკუთრებით უწყლო

რაიონებში და რაიონებში, სადაც წყალს ცუდი თვისებები აქვს.

* 35 წლის წინათ, 1919 წლის 15 ნოემბერს, გარდაიცვალა მ. ო. დოლივოდორის დენების ტექნიკის შემქმნელი, დიდი მეცნიერი და ელექტრული მანქანებისა და აპარატების კონსტრუქტორი (დაიბადა 1862 წ.). 1888 წელს დოლივოდოროვოლსკიმ ააგო ცვლადი დენის პირველი სამფაზიანი გენერატორი, დახლოებით 3 კვტ სიმძლავრით, პირველი სამფაზიანი ასინქრონული ძრავი, შემდეგ კი სამფაზიანი ტრანსფორმატორი. ამგვარად, მ. ო. დოლივოდოროვოლსკიმ შექმნა მანქანები, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელი აღმოჩნდა ელექტროენერგიის მანძილზე გადაცემის წარმატებით გადაჭრა. 1891 წელს მეცნიერმა შეძლო განეხორცელებინა მსოფლიოში პირველად სამფაზიანი დენის გადაცემა.

* 90 წლის წინათ, 1864 წლის 23 ნოემბერს, გარდაიცვალა ცნობილი რუსი ასტრონომი ვასილი იაკობის-ძე ესტრუზებული — ვარსკვლავური ასტრონომის ერთ-ერთი პიონერი, აკადემიკოსი, პულკოვოს ობსერვატორის დამარსებელი და პირველი დირექტორი.

ვ. ი. სტრუვე დაიბადა 1793 წლის 15 აპრილს. 20 წლის ასაკში ის მათემატიკისა და ასტრონომის პროფესორი გახდა.

დიდია ვ. ი. სტრუვეს დამსახურება ვარსკვლავური ასტრონომის, განსაკუთრებით ორმაგი ვარსკვლავების შესწავლის დარგში. 1827 წ. მან დაამთავრა და გამოსცა კატალოგი, რომელიც შეიცავდა 3 112 ორმაგ ვარსკვლავს, 1837 წელს კი გამოქვეყნდა მისი ცნობილი შრომა „ორმაგი ვარსკვლავების მიკრომეტრიული გაზომვები“, რომელიც შეიცავდა 2 710 ახლად აღმოჩნდილი ორმაგი ვარსკვლავის ზუსტ მდებარეობას.

ვ. ი. სტრუვე ხელმძღვანელობდა მერიდიანის რკალის დიდ გრადუსულ გაზომვას დუნაიდან ყინულოვან ოკეანემდე, თითქმის 2 800 კმ მანძილზე. მან პირველა მსოფლიოში გაზომვების ვარსკვლავების წლიური პარალაქსური გადადგინდება და ამით კოპერნიკის ჰელიოცენტრული სისტემის ცდისეული დამტკიცება მოგვია.

სტრუვებ წამოაყენა გაბედული აზრი ვარსკვლავთშორისო სივრცეში სინათლის შთანთქმის არსებობის შესახებ.

ვ. ი. სტრუვე 27 წლის განმავლობაში (1834—1861) პულკოვოს ობსერვატორიის მეცნიერული შრომების ხელმძღვანელი იყო. ამ შრომების მეოხებით ეს ობსერვატორია სწრაფად დაწინაურდა პირველ ადგრლზე მსოფლიოში და მას „მსოფლიო ასტრონომიული დედაქალაქი“ ეწოდა.

* ათი წლის წინათ, 1944 წლის 27 ნოემბერს, გარდაიცვალა გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი ლ. ი. მენდელი შტამი (დაიბადა 1879 წ.). მას და აკადემიკოს გ. ს. ლანდსბერგს ექუთვნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ოპტიკაში — სინათლის კომბინაციური განვითარებისა.

ლ. ი. მენდელშტამი იყო ერთ-ერთი ფუძემდებელი ახალი მიმართულებისა რხევათა ფიზიკაში — ეგრეთ წოდებული არახაზოვან რხევათა თეორიისა. მის მიერ ნ. დ. პაპალექსისთან ერთად შექმნილმა მეთოდებმა რადიოტალღების გავრცელების გამოკვლევისა და მათზე აგებულმა ხერხებმა მანძილების ზუსტი გაზომვისა საბჭოთა რადიოტექნიკა ამ დარგში მსოფლიოში პირველ ადგილზე წამოაყენეს.

* 60 წლის წინათ, 1894 წელს, გამოვიდა ფიზიკისა და ასტრონომიის მოყვარულთა ნიენი ნოვგოროდის წრის ასტრონომიული კალენდარის პირველი წიგნი (1895 წლისათვის). 1934 წელს მას სახელი გადაერქვა და ეწოდა „ასტრონომიული კალენდარი“. „ასტრონომიული კალენდარი“ დანიშნულია ასტრონომ მოყვარულებისათვის, ასტრონომიისა და ფიზიკის მასწავლებლებისათვის, აგრეთვე უცველი იმათვის, ვინც ასტრონომიული მეცნიერებითაა დაინტერესებული.


* 330 წლის წინათ, 1584 წელს, ლონდონში გამოვიდა ჯორდანონ ბრუნოს შრომა „უსასრულობისა, სამყაროსა და ქვეყნიერებათა შესახებ“. ამ ნაწარმოებმა ეპოქა შექმნა აღამიანთა აზროვნების ისტორიაში. ბრუნო არა მარტო იგრავდა კოპერნიკის ჰელიოცენტრულ სისტემას, არამედ იმ ეპოქისათვის სრულიად უჩვეულო შეხედულებებსაც ავითარებდა ვარსკვლავთა ბუნების შესახებ, როგორც შორეულ მხეებზე; გამოთქვამდა აზრს მზის სისტემის პლანეტთა დასახლებულების შესახებ და ურიცვე ვარსკვლავთა პლანეტური სისტემების არსებობის შესახებ. ამ შრომაში ბრუნო აყენებდა და იცავდა გაბედულ აზრს სამყაროს უსარულობის შესახებ.

თავისუფალი ცროს

«მოგზაური» ქვები

მთაგრეხილზე, რომელიც კალიფორნიაში ე. წ. სიკვდილის ველის დასავლეთით გადაჭიმულა, მდებარეობს ქვაბული, სადაც წინათ იყო ტბა, ახლა ამომშრალი.

ყოფილი ტბის ოვალური ფსკერი წარმოადგენს სწორ ფართობს, რომელიც ყველაზე ფართო ნაწილში ოთხ კილომეტრს აღწევს.



ამ მცენარეულობას სრულიად მოკლებულ ფართობზე გამოიყოფა მხოლოდ მცირე კლდოვანი მთა-გრეხილი და მსხვილი ვულკანური წარმოშობის ქვები.

მიმდებარე რაიონების მოსახლეობა ამ ქვებს „მოსიარულეს“, აგრეთვე „მოცეკვავეს“ უწოდებს.

ეს სახელწოდება იმით აიხსნება, რომ ქვები მართლაც ინაცვლებენ ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე, რისთვისაც ხშირად რთულ, კლაკნილ გზებს გადიან.

ამ იშვიათი მოვლენის მიზეზი მეტად მარტივია. ქვები „მოგზაურობენ“ და „ცეკვავენ“ ამ რაიონში გაბატონებული, ხშირად ჭიკი ბრძოლა აწარმოონ მათთან.

გრიგლური ქარების გავლენით, 250 კილოგრამი და უფრო დიდი წონის ქვები გრიგლების დროს სრიალებენ წვიმებით დასველებული ნიადაგის ტენიან ზედაპირზე.

მანძილები, რომლებსაც ქვები ვადიან, ათობითა და ასობით მეტრსაც კი აღწევს. აღნიშნულია შემ-

თხვევა, როცა 20 კილოგრამი წონის ქვამ 270 მეტრის მანძილზე ვადაინაცვლა.


სურათზე: ერთ-ერთი „მოგზაური“ ქვა და კვალი, რომელიც მანამშრალი ტბის ფსკერზე დატოვა.

ტასმანიის „ვეფხვი“

ავსტრალიაში და მიმდებარე კუნძულებზე ჯერ კიდევ მცირე ხნის წინათ ცხოვრობდა ჩანთოსანთა ოჯახის საინტერესო წარმომადგენელი — ჩანთოსანი მგელი. ამჟამად ეს მტაცებელი ძლიერ მცირე რაოდენობით კიდევ არის დარჩენილი მხოლოდ კუნძულ ტასმანიაზე.

ცხოველის ტანი ზურგზე დაფარულია 16 — 19 მუქი ზოლით გადასერილი მუქ-წაბლისფერი ბეწვით. ამ ზოლებისა და მძვინვარე ზნე-ჩვეულების გამო ევროპელმა მოახალშენებმა მგელს ვეფხვი უწოდეს.

გამანადგურებელი თავდასხმები, რასაც ჩანთოსანი მგელი — მძლავრი და მარდი ცხოველი მეტ-წილად ღამდამობით ახდენს ცხვრების ფარაზე და საფრინვე-




ლეებზე, აიძულებს ტასმანიელ მესაქონლეებსა და ფერმერებს სასტიკი ბრძოლა აწარმოონ მათთან. „ვეფხვზე“ ნადირობენ ძალებით, უდგამენ ხაფანგებს.

ახლა იგი დარჩენილია მხოლოდ გაუვალი ტყეებით დაფარულ ადგილებში, საიდანაც ისინი თავს ესხმიან მესაქონლეების ფერმებს.

სურათზე: ჩანთოსანი მგელი.

ეხოლოტი ეძებს თევზებს

ეხოლოტი — ეს არის ხელსაწყო ზღვის სილიმეთა გასაზომად. თანამედროვე ეხოლოტის მოწყობილობის სირთულის მიუხედავად, მისი მოქმედების პრინციპი მეტად მარტივია. ულტრაბგერა (მაღალი სიხშირის ბგერა, რომელსაც არ აღიქვამს ადამიანის ყურა), რომელიც გაგზავნილია სპეციალური გამომსხივებლის მიერ, აირეკლება ზღვის ფსკერიდან და მას იჭერს



მიმღები. ღროის იმ მონაკვეთის ზუსტად გაზომვა, რამაც სიგნალის გაგზავნის მომენტიდან ეხოს დაბრუნების მომენტამდე განვლო, შესაძლებლობას იძლევა გამოირჩეს სილიმე, ვინაიდან ცნობილია ზღვის წყალში ბგერითი რხევების გავრცელების სიჩქარე.

ხელსაწყო სილიმეებს უჩვენებს სიგნალებზე დისკოზე, რომელზედაც არის სილიმეთა სკალები, ან ავტომატურად მოხ. ზავს სპეციალურ ქალალზე ფსკერის პროფილის მრუდს.

უკანასკნელ ხანებში დაიწყეს ეხოლოტის გამოყენება თევზის ძებნისათვის, მისი მიგრაციის შესასწავლად წყლის სიზრქეში.

ჩვეულებრივ თევზის ძებნას აწარმოებენ თვითმფრინავები. მაგრამ ავიადაზვერვის საშუალებით თევზის აღმოჩენა შეიძლება მხოლოდ უმნიშვნელო სილიმეზე, დიდი გამჭვირვალობისა და სუსტი ღელვის პირობებში. ეხოლოტს კი შეუძლია თევზის აღმოჩენა ყოველგვარ სილიმეზე, დღე-ღამის ყოველგვარ ღროს და ამინდის სხვადასხვა პირობებში.

შავ ზღვაზე ეხოლოტის დახმარებით აღმოჩენილ იქნა ხამსის დიდი გროვები.

ნ. ი. ჩუგუნვის და კ. ი. იუდანოვის გამოკვლევებმა კასპიის ზღვაზე ნათელყო, რომ ეხოლოტის დახმარებით შეიძლება დადგენილ იქნეს ზუსტი სილიმე, რომელზედაც განლაგებულია თევზის ძირი. მასა. გამოიჩვა, რომ დღე-ღამის განმავლობაში ჭიჭიყინა შეარჩევს წყლის სხვადასხვა პორიზონტებს.

გამორჩეულია სხვა საგულისხმო თავსებურებაც. ზღვის წყლის ზედა ფენის ქვეშ, რომელიც ჩვეულებრივ კარგადაა შერეული, განლაგებულია წყლის ნაკლებ


მოძრავი ფენი, უფრო დაბალი ტემპერატურით. ტემპერატურა მათ შორის იცვლება მკვეთრი ნახტომის ფორმით. აღმოჩნდა, რომ კასპიის ჭიჭიყინა განსაკუთრებით მრავლადა ამ ფენების საზღვართან.

ცდებმა ნათელყო თევზის ორგვისთვის ეხოლოტის გამოყენების დიდი შესაძლებლობანი.

მარბენალი ფრინველები

ამ ფრინველებს ვხვდებით აფრიკისა და არაბეთის უდაბნოებში, ავსტრალიის საგანგებში, სამხრეთ ამერიკის პამპებში, ახალი გვინეის ტყეებში, ინდონეზიის კუნძულებსა და ახალი ზელანდიის ჭაობებში.

მათ რიცხვს ეკუთვნის ყველაზე მსხვილი მარბენალი ფრინველი — აფრიკის სირაქლემები და უფრო წვრილი: ავსტრალიის ემუ და კაზუარები, სამხრეთ აშერიკის ნანდუ და პატარა, ქათმისოდენა ახალი ზელანდიის კივი. ყველა ამ ფრინველს, გარდა კივისა, გრძელი მძლავრი ფეხები და მაგარი ნისკარტები აქვს.



სირაქლემები 2,75 მ სიმაღლეს აღწევენ და იწონიან 50-დან 90 კილოგრამ-მდე. ემუ, კაზუარები და ნანდუ — უფრო პატარაა, მათ არც ისე დიდი კისერი იქვთ და მათი სიმაღლე მეტრნახევარს არ აღემატება.

მარბენალი ფრინველები იყვებებიან მცენარეებით, სხვადასხვა მწერით, ზოგ-

ჯერ კი — წვრილი ხერხემლიანი ცხოველებითაც.


ისინი ცხოვრობენ წყვილ-წყვილად ბუდეებს აკეთებენ პირდაპირ მიწაზე. ზოგერთი სახეობის ფრინველისაგან განსხვავებით, კვერცხზე ზის მამალი, რომელიც მხოლოდ ხანმოკლედ ტოვებს ბუდეს — საჭმელის საძებრად. როცა ბარტყები გამოიჩეკება, მათ უკლის მამალი. დედალი თავის ოჯახს უერთდება, როცა ბარტყები დამოუკიდებლები ხდებიან.

დიდი ხნის განმავლობაში არსებობდა შეხედულება, რომ საფრთხის მომენტში სირაქლემა თავს მალავს სილაში, ბუჩქებში და მაშინ იგი ადვილი დასაჭერია.

თანამედროვე დაკვირვებები ნათელყოფენ, რომ ეს აზრი სწორი არ არის. ამგვარად, ცნობილი თქმულება სირაქლემას შესახებ მოკლებულია საფუძველს.

სირაქლემები ძლიერ სწრაფად დარბიან. მსხვილი ფრინველების მძლავრი ნისკარტისა და ფეხების დარტყმა შეიძლება ცხენის ჩლიქის დარტყმას შევაღარით.

ზოგიერთი მარბენალი ფრინველები კარგად ეგუებიან ტყვეობას. ამიტომ აფრიკის რიგ რაიონებში, სამხრეთ ავსტრა-



ლიასა და სამხრეთ ამერიკაში მათ ადვილად აშინაურებენ. არის მთელი ფერმები, სადაც სირაქლემებსა და კაზუარებს ძვირფასი ბურტყლისა, ხორცისა და კვერცხისათვის აშენებენ.

ს უ რა ა თ ზ ე: სირაქლემები (მარცხნივ) და ემუს ბარტყები (მარჯნივ).

(„ვორუგ-საჭა“).

იცი თუ არა შენ ფიზიკა?

1. რატომ არის ყინული კარგი გამაცივებელი მასალა?

2. რატომ იხმარება წყალი ავტომობილის, ტრაქტორისა და სხვა მანქანების გამაცივებელ სისტემებში?

3. რატომ საკამაოდ მცირე წინაღობით ხდება მძიმედ დატვირთული მარხილების სრიალი?

4. რატომ ხდება, რომ წყალი, იყინება

რა ნაპრალებში, იშვევს მთის ქანების რღვევას?

5. რით აისწენა, რომ უძლიერეს ჯინვებშიც კი მდინარეები ფსკერამდე არ იყინება?

6. რატომაა, რომ ნამუშევარი წყლის ორთქლი გამოიყენება როგორც სითბოს წყარო და ამ მიზნით გადაეცემა თბომცვლელს.

(„ტეხნიკა ზოდოდევი“)

მინანქარი და ზოგიერთება

მინანქარი ეწოდება მინის მსგავს მასას, რომელიც სხვადა-სხვა მინერალურ ნივთიერებათა შელლობით მიიღება და და-ნიშნულია ფოლადის, თუკისა და ფერადი ლითონებისაგან გამ-ზადებული სხვადასხვაგვარი ნაკეთობის დასაფარავად. ზოგი-ერთი მინანქრით შეიძლება თიხისა და თვით მინის ნაკეთობაც კი დაიფაროს.

მინანქარი გარეგნულად გავს მინასა და ჭიქურს. მაგრამ ამ მასალებს შორის არსებითი განსხვავება არსებობს. მინა წარ-მოადგენს ერთგვაროვან (ჰომოგენურ) მასას, რომელიც აღებუ-ლი მასების სტული შელლობით მიიღება, მინანქარი კი სხვა-დასხვაგვაროვანია (ჰეტეროგენულია), ვინაიდან მიიღება ოღ-ბული მასალების მხოლოდ ნაწილობრივი შელლობის შედეგად. მინანქრებში კომპონენტების ნაწილი წვრილკრისტალურ სუ-პენზირებულ მდგომარეობაშია, რის გამოც მინანქრები გაუმ-კვირვალეა. მინანქრები მინისაგან განსხვავდება აგრეთვე უფ-რო რთული ქიმიური შემადგენლობით. ჭიქურებს საშუალო მდგომარეობა უკავია მინანქრებსა და მინას შორის. ჭიქურე-ბის შემადგენლობა უფრო რთულია, ვიდრე მინებისა, მაგრამ ნაკლებ რთული, ვიდრე მინანქრებისა. ჭიქურები უმთავრესად იხმარება კერამიკული, მინანქრებივი ლითონის ნაკეთობათა დასაფარავად.

ლითონის საგნებს მინანქრებით ფარავენ დაუანგვისაგან დასაცავად, აგრეთვე უფრო ლამაზი შესახედაობის მისაცე-მად...

მინანქრიან ნაწარმებს ახასიათებს მაღალი თერმული მდგრადობა. მინანქრის ფენის დიდი სიმკვრივე (შეულწევობა) კარგად იცავს ლითონს კოროზისაგან და ნაწარმს მაღალ ჰი-გიენურობას ანიჭებს. 300°-სს დაბლა მინანქრები ელექტრო-დენს არ ატარებენ... მინანქრები ფართოდაა გამოყენებული კვების, ქიმიურ, ფარმაცევტულ და სანიტარიულ-ჰიგიენურ მრეწველობაში. მინანქრებით სარგებლობენ აგრეთვე არქიტექ-ტურული დეტალების წარმოებაში, იუველირულ ნაკეთობათა, აბრების, გზის მაჩვენებლების, აგრეთვე სიბრუნვის მნათი ცი-ფერბლატების დამზადებისას.

ლითონების მინანქრით დაფარვის ხელოვნება, როგორც ჩანს, შორეულ წარსულში წარმოიშვა. ამ ხელოვნებას უაღ-რესად საიდუმლოდ ინახავდნენ და ოჯახში მამიღან შვილს გა-დაეცემდა. ამიტომ სავსებით ბუნებრივია, რომ დამინანქრე-ბის ოსტატობა ძლიერ დაჭვებითდა.

მან კვლავ მიიპყრო ყურადღება მხოლოდ XVIII საუკუნე-ში, როცა მეცნიერება და მრეწველობა დიდი აღმოჩენებით გამდიდრდა. გენიალურმა ლომონოსოვმა ქიმია არამცუ მარ-ტო მეცნიერული განვითარების გზაზე დააყენა, არამედ უდი-დესი წვლილიც შეიტანა მინის მრეწველობის განვითარებაში. ლომონოსოვის თანამედროვემ ვინოგრადოვმა გამოიგონა „რუ-სული ფაიფური“. რუსმა აკადემიკოსმა ვ. მ. სევერგინმა (1765—1826) ბევრი იმუშავა სილიციუმის ნაერთების შესწავ-ლაზე (მინერალები, კერამიკული ნაწარმები, ჭიქურები). ამ პე-რიოდში მძაფრად იწყო განვითარება მეტალურგიულმა მრეწ-ველობამ. რათა ლითონის საგნები დაუანგვისაგან დაეცვა, დაიწყეს მათი დაფარვა სხვადასხვა ნივთიერებებით, მათ შორის — მინანქრითაც.

დამინანქრების მრეწველობა მეფის რუსეთში მეტად სუ-

რად ვითარდებოდა. მისი აღორძინება დაიწყო მხოლოდ საბ-ჭოთა ხელისუფლების დროს. საბჭოთა მემინანქრებმა შექმნეს მაღალხარისხს სხვანი მინანქრები, რომლებსაც მაღალი ქიმიური, მექანიკური და თერმული მდგრადობა ახასიათებს. წვრილი, ნახევრადკუსტარული სამინანქრო სახელოსნოები მოწინავე ტექნიკით აღკაზმულმა მსხვილმა საწარმოებმა შეცვალა.

მინანქრები წარმოადგენენ სილიკატურ მინას. მინანქრის შემადგენლობაში აუცილებლად შედის კარიტი — SiO_2 , მაგ-რა კარიტი. აქვს ლლობის მეტად მაღალი ტემპერატურა ($\sim 1700^\circ$), რომელიც მნიშვნელოვნად აღემატება დასამინან-ქრებელი ლითონის (მაგალითად, თუკის) ლლობის ტემპერატუ-რას. კარიტის ლლობის ტემპერატურის დაწევის მიზნით მინან-ქრის შემადგენლობაში შეაქვთ მღლობები, რომლის როლს ას-რულებენ ტუტები (ნატრიუმისა და კალიუმის ნაერთები). ხსნადი მინების წარმოქმნის თავიდან აცილების მიზნით, ე. ი.: მინანქრის ქიმიური მდგრადობის გასაღიდებლად, მის შემადგე-ლობაში შეაქვთ თიხირი — Al_2O_3 . გარდა აღნიშული სავალდე-ბულო კომპონენტებისა მინანქრაში (აუცილებელი ფიზიკური თვისებების მისანიჭებლად) შეაქვთ კიდევ ზოგიერთი სპეცია-ლური ნივთიერებანი. მაგალითად, მინანქრის მინის შემადგე-ლობაში თითქმის ყოველთვის შედის ბორმეუვას ანჭიღრიდი — B_2O_3 , რომელიც მაღლობებისა და მინის წარმომქმნელის როლს ასრულებს და ამცირებს მინანქრის თერმულ გაფართო-ებას; მინანქრის შემადგენლობაში შეტანილი კალციუმის უან-გი — CaO ამაღლებს მის ქიმიურ მდგრადობას; მაგნიუმის უანგი — MgO აუმჯობესებს მინანქრის ელასტიკურობას და ამცირებს მის თერმულ გაფართოებას; ბარიუმის უანგი — BaO ადიდებს მინანქრის ქიმიურ მდგრადობას და ბზინვას.

სპეციალური ნივთიერებების რიცხვს ეკუთვნიან ავრეთვე ნივთიერებანი, რომლებიც მინანქრის გაუმჭვირვალედ ხდიან, ევრეთ წოდებული „მაყუჩები“. მათ უნარი აქვთ მინანქრის მი-ნაში გამოიყონ წვრილი კრისტალების სახით ან დაშლისას იძ-ლევიან აირს, რომელიც მინანქრაში თანაბრად ნაწილდება უწვრილესი ბუშტულების სახით...

სპეციალურ ნივთიერებებს ეკუთვნის სალებარებიც...

მინანქრის მისაღებად აღგენენ ნაზავს. ნაზავში ჩვეულებ-რივად შედის კვარცის ქვიშა, მლლობი შპატი, მინდვრის შპა-ტი ან ცეცხლგამძლე თიხა, სოდა, ბორაკი და გვარჯილა. შემ-ზადებულ ნაზავს შეალლობენ მბრუნავ ალქმედ ლუმელებში, რომლებიც შიგნიდან ცეცხლგამძლე აგურებითაა ამოგებული. ნაზავი $1.5—2$ საათის განმავლობაში $1200—1300^\circ$ -ზე შე-ლვება მინისმსგავს მასად. მინანქრი მზად ითვლება, როცა იგი წვრილ ბრჭყვიალა ჭავრილობა მოედინება და შენაღნობის ზე-დაპირი სარკისებური ხდება.

როცა მინანქრი შელლვება, მას, განუწყვეტლივი მორევის პირობებში, ასხამენ ცივ წარმდინარე წყალში. ამ პროცესს გრანულაცია ეწოდება. მიიღება გრანულებული, ქერცლოვანი მინანქრი, ეგრეთ წოდებული ფრიტე, რომელიც კარგად გა-ნიცდის შემდგომ დაწილადებას. წყლით მინანქრის გრანულა-ციის დროს ხდება შენალლობის ნაწილობრივი გამოტუტვა. ამიტომ არის წინადაღება წყალით გრანულაცია შეიცვალოს მშრალად გრანულაციით, რისთვისაც ჩევვას იძლევიან გალ-ლობილი მინანქრი გაატარონ ლილვებში ან დისკოებში, რომ-ლებიც ცივდება...

* მასალა იბეჭდება ჩვენი უურნალის მკითხველის თ. მიქ- ბერიძის (დ. ბაკურიანი) თხოვნით.

ქასუნი

ტექნიკური მუზეუმის წერილები

ამ. 3. ვალიშვილს

გიპასუხებთ თქვენ შეკითხვებზე ელჭექის შესახებ:

1. ელექტრული მოვლენები, რომლებიც ელჭექს ახასიათებენ, დაკავშირებულია წყლის ორთქლის ინტენსიურ კონდენსაციასთან და, მაშასადამე, ტენით მდიდარი ჰაერის მძლავრ აღმავალ დენთან. ამიტომ ელჭექები თან ახლავს გროვა-წვიმის ლრუბლებს მეტად არამდგრად ჰაერში.

ელჭექების წარმოშობა მოკლედ შემდეგნაირად შეიძლება ავწეროთ.

წვიმის წვეთების ვარდნის სიჩქარე დამოკიდებულია მათ სიღიდეზე. თუ წვეთის დიამეტრი 4 მილიმეტრს აღემატება, მაშინ ის იწყებს ვარდნას სიჩქარით, რომელიც აღემატება 8 მ/სეკ. ასეთი დიდი სიჩქარის გამო წვეთები გზაში იყოფა უფრო წვრილ წვეთებად, რომლებიც შედარებით ნაკლები სიჩქარით ვარდებიან.

თუ აღმავალი დენის სიჩქარე გროვა-წვიმის ლრუბელში 8 მ/სეკ აღემატება, მაშინ ყველაზე დიდი წვეთები წვრილ წვეთებად დაყოფა და ჰაერის დენით აიტაცება ზემოთ. წვეთები შეიძლება რამდენჯერმე იქნეს მაღლა ატაცებული და შემდეგ ისევ დაბლა ჩამოვარდეს, დამსხვილდეს და კვლავ დაიყოს წვრილ წვეთებად.

დიდი წვეთების წვრილ წვეთებად დაყოფასთან ერთად ყოველთვის ხდება უარყოფითი და დადებითი ელექტრო-მუხტების დაყოფა. ამასთან — ჰაერი იძენს უარყოფით, წვეთი კი—დადებით მუხტს. წვეთების განმეორებითი დაყოფისას თავისუფლდება მუხტების ძალიან დიდი რაოდენობა. ვინაიდან ჰაერი მაღლა უფრო სწრაფად ადის, ვიდრე წვეთები იყოფა, ამიტომ დადებითი მუხტები გროვდება ლრუბლების იმ ნაწილში, სადაც აღმავალი დენი უფრო ძლიერია. ლრუბლის დანარჩენ ნაწილს აქვს უარყოფითი მუხტი ანდა ნეიტრალურია.

ძლიერ ელჭექს ხშირად თან ახლავს სეტყვა. მისი მარცვლის სტრუქტურა გვიჩვენებს, რომ ელჭექის ღროს ადგილი აქვს ძალიან ძლიერ აღმავალ დენას. სეტყვის მარცვლები ხშირად შედგება გამჭვირვალე ყინულისა და თოვლის კონცენტრიული ფენებისაგან. ეს იმაზე მიგვითითებს, რომ სეტყვის მარცვალი რამდენიმეჯერ გადასულა ლრუბლის წყლიანი ნაწილიდან (იგი დაბლა მდებარეობს) ყინულოვან ნაწილში (იგი მაღლა მდებარეობს).

ელჭექს, სრული განვითარების შემთხვევაში, თან ახლავს ძლიერი ჰარი, წვიმა ან სეტყვა და ელვა.

2. თერმული ელჭექები. ელჭექების დიდი ნაწილი დაკავშირებულია დღისით ქვემდებარე ზედაპირის გათბობასთან, რაც ძლიერი ადგილობრივი აღმავალი დენის განვითარებას იწვევს. ეს თერმული ელჭექია. მათ ეკუთვნიან: ტროპიკული ელჭექები და ნაშუადღევის ელჭექები, რომელიც რეგულარულად წარმოიშვებიან ზომიერ განედებში, ხმელეთზე — ზაფხულის წყნარ და ცხელ ამინდში. თერმული ელჭექები შეიძლება მიმდინარეობდნენ ძლიერ სწრაფად და ხასიათდებოდნენ უხვი ჭექა-ჭუხილით. ასეთი ელჭექები ადგილობრივი ხასიათისაა და საერთოდ არახანგრძლივი არიან.

3. ფრონტალური ელჭექები. მათი წარმოშობა უმთავრესად დაკავშირებულია ცივ ფრონტებთან. აქ ჰაერის მძლავრი აღმავლობა გამოწვეულია შემოკრილი ცივი ჰაერის მასის მიერ თბილი ჰაერის სწრაფად მაღლა განდევნით. ამ შემთხვევაში ელჭექს ახასიათებს არალოკალური ხასიათი.

ფრონტალურ ელჭექებს თან ახლავს ამინდის მკვეთრი შეცვლა: ჰაერის ტემპერატურის სწრაფი და მნიშვნელოვანი კლება, წნევის სწრაფი შემცირება, ძლიერი ჰარი, ხშირად ნერევითი მოქმედებით.

შუა ევროპაში ფრონტალური ელჭექების ზონის განი 40-დან 80 კილომეტრს აღწევს და სიგრძე — რამდენიმე ასეულ კილომეტრს.

4. ელჭექების გავრცელება და სიხირე. ეკვატორულ ზონაში ელჭექების რაოდენობა ძალიან დიდია (წელიწადში 100—150 დღე). ჰასატების არეში, უდაბნოებში და სტეპებში ელჭექები იშვიათია: ზომიერ განედებში ელჭექები წელიწადში 30—50 დღეა. პოლუსის მიმართულებით კი ელჭექების ერთეული შემთხვევებია.

ზომიერ განედებში ელჭექების შემთხვევები ზღვებზე, ხმელეთთან შედარებით ნაკლებია. ელჭექების უდიდესი სიხირე ხმელეთისათვის დაკავშირებულია წლის თბილ პერიოდთან, ზამთრის ელჭექები კი იშვიათია. ზღვებზე ჭარბობს ზამთრის ელჭექები.

მოყვანილი განმარტებიდან ჩანს, რომ ელჭექები და მათი სიხირე დაკავშირებულია კონკრეტულ ადგილთან, ჰაერის მასების მოძრაობასთან და მათ ინტენსივობასთან და არა მარტო მოლრუბლულობასთან.

თ. ცომაია

სტუდენტებს — პ. ტორიკაშვილს, ნ. ჭურიას და თ. კვანტალიას

თქვენს კითხვაზე გიპასუხებთ შემდეგს:

1. აჩქარება არსებობს იმ შემთხვევაშიაც, როდესაც სხეულის სიჩქარე მოცემულ მომენტში ნულია ტოლია. მაგალითად, ვერტიკალურად ასროლილი ქვის შემთხვევაში ქვის სიჩქარე თანდათან კლებულობს და რომელიდაც მომენტში ის ნულის ტოლი ხდება, რის შემდეგ იგი იცვლის მიმართულებას და აბსოლუტური მნიშვნელობით იზრდება, აჩქარება კი, რომელიც მიზიდულობის ძალით არის გამოწვეული, მუდმივად არსებობს. იმ შემთხვევაში კი, როდესაც სხეულის სიჩქარე მუდმივი ან მუდმივად ნულის ტოლია, არავითარ აჩქარებას აღგილი არ ექნება.

2. თუ სხეულის სიჩქარე გასროლის მომენტში ავტომობილის სიჩქარის ტოლია და საწინააღმდეგოდ არის მიმართული უძრავი დამკვირვებლის მიმართ, სხეული ვერტიკალურად იმოძრავებს და დაეცემა გასროლის წერტილის გეგმილზე. რამდენადაც მოძრაობა ვერტიკალურად არის მიმართული, ჰაერის წინააღმდეგობას მასზე გავლენა არ ექნება. რაც შეეხება დედამიწის ბრუნვით გამოწვეულ გადაადგილებას ქვის მოძრაობაში, იგი იმდენად მცირეა, რომ შეიძლება უგულებელვყოთ.

სხეულის მოძრაობაზე დედამიწის ბრუნვით გამოწვეული გავლენა ანალიზურად განხილულია მათე მირიანაშვილის წიგნის — „ზოგადი ფიზიკის კურსის“ პირველი ტომის თავში „არაინერციული სისტემები“.

ასპირანტი ი. საუვარელიძე

ს. ზედა-საზანოს (თერჯოლის რ-ნი) საშუალო სკოლის მასწავლებელს ამხ. გ. ლოთოვას

თქვენ გაინტერესებთ ზოგიერთი ხეხილის უნაყოფობის მიზეზი. გიპასუხებთ.

მცენარის მსხმიარობის ერთი მთავარი ფაქტორთაგანი განაყოფიერებაა. გამანაყოფიერებელი ელემენტები მოცემულია მცენარის ყვავილში მდედრობითი და მამრობითი უგრედების სახით (მდედრობითი — ბუტკოებშია, მამრობითი — მტკრიანებში). ეს ელემენტები შეიძლება ერთსა და იმავე ყვავილში იყოს განვითარებული და მაშინ ყვავილი ორსქესიანია. მაგრამ ხშირია შემთხვევა, როცა ყვავილში მხოლოდ მდედრობითი ან მამრობითი ელემენტი ვითარდება. ამ შემთხვევაში ყვავილი ერთსქესიანია და მცენარე შეიძლება იყოს ერთსახლიანი ან ორსახლიანი. ერთსახლიანია, თუ ორივე სქესის ყვავილები ერთ მცენარეზეა, და ორსახლიანი, — თუ ცალკეული სქესის მატარებელი ყვავილები სხვადასხვა მცენარეზეა განვითარებული. უკანასკნელ შემთხვევაში, როდესაც მცენარეზე მხოლოდ მამრობითი ყვავილებია, მცენარე, ცხადია, უნაყოფოა. ასეთ მოვლენას აქვს ადგილი ზოგიერთი ლელვის, თუთის, ხურმის და სხვა მცენარეების შემთხვევაში.

ლელვის ყვავილები ერთსქესიანია, ერთსახლიანი და ორსახლიანიც. არჩევენ ლელვის მამრობით (მტკრიანებიანს) და მდედრობით (ბუტკოებიანს) ყვავილებს. მდედრობით ყვავილებში განასხვავებენ გრძელსვეტიანს და მოკლესვეტიანს. — უნაყოფოს. ლელვის ყვავილები შეკრებილია ბურთისებრ ან მსხლისებრ ყვავილედად და განლაგებულია ხორცოვანი ყვავილსაჭდომის შიგნითა კედლებზე. ყვავილედის თავზე ხვრელი მოიპოვება. ეს ხვრელი მიიმართება შიგნით და ძლიერ ფართოვდება ყვავილედის ღრუს სახით. ყვავილედის ხვრელისა და ღრუს კედლები დაფარულია მამრობითი და მდედრობითი სქესის ყვავილებით.

ლელვებში ორგვარი ყვავილედი ვითარდება: ზოგი ფუნქციონალურად მამრობითია, ზოგი კი — მდედრობითი. პირველ ყვავილედში ჩვეულებრივ მამრობითი ყვავილები ნორმალურად ვითარდება და უხვად იძლევა მტკრის. ამ ყვავილედში მოკლესვეტიანი ყვავილები (უნაყოფო) ფარივს ღრუს კედლებს. მეორე ყვავილედში კი ვითარდება მდედრობითი სქესის მხოლოდ გრძელსვეტიანი ყვავილები.

უმთავრესად ველური ან გაველურებული ლელვის მცენარეებში არჩევენ ორგვარ ფორმას: ზოგი მცენარე ივითარებს ფუნქციონალურად მამრობით ყვავილედს, ზოგი კი — მდედრობითს. ამ უკანასკნელის ყვავილების განაყოფიერება ხდება მამრობითი მცენარის ყვავილების მტკრით, მწერის — ბლასტოფაგას დახმარებით. მწერი ბლასტოფაგას განვითარება მიმდინარეობს მამრობითი ყვავილედის ღრუში. მწერი მოკლესვეტიან ყვავილების ნასკვში დებს კვერცხებს, საიდანაც ვითარდება მატლი, რომელიც იქვებება ნასკვის შიგნითა ნაწილებით. განვითარებული მწერი ნასკვიდან გამოდის ყვავილედის ღრუში და აქედან გარეთ. გარეთ გამოსვლის ღრუს იგი ეხება მამრობითი ყვავილების მტკრიანებს და უხვად იგანგლება მტკრით. რამდენიმე ხნის შემდეგ კვერცხების დასადებად კვლავ ყვავილედებში შეფრინდება. თუ მდედრობით ყვავილედში მოხვდა, მწერი მოკლესვეტიანი ყვავილების ძებნაში ამტკრიანებს გრძელსვეტიანი ყვავილების დინგს, განაყოფიერების შედეგად ამ გრძელსვეტიანი ყვავილების ნასკვიდან ვითარდება წვრილი ნაყოფები (თესლები), რის შედეგად ყვავილსაჭდომი რბილოვანი, წვნიანი და ტკბილი ხდება და იძლევა „ნაყოფს“. მწერი ამ გრძელსვეტიანი ყვავილების ნასკვში კვერცხების ჩადებას კი ვერ ახერხებს, რადგან მისი კვერცხსადები ყვავილის სვეტზე მოქლეა. მხოლოდ როცა მწერი მოხვდება მამრობით ყვავილედში, აქ პოულობს მოკლესვეტიან ყვავილებს და მათ ნასკვში დებს კვერცხებს, რომლებიც ამის

გამო ზიანდება და ნაყოფს (თესლს). არ იძლევა. ამიტომ ყვავილსაჭდომიც არ ვითარდება „ნაყოფად“.

ლელვის კულტურულ ჯიშებს უმთავრესად აქვთ გრძელსვეტიანი ყვავილედი, მდედრობითი ყვავილებით, რაღვან ნაყოფის მნიშვნელობა მხოლოდ მათ აქვთ. მათში გამოირჩევა ისეთი ფორმები, რომლებიც „ნაყოფს“ (ციპლოდი) დაუმტკრებლად იძლევა. არის აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც „ნაყოფს“ მხოლოდ დამტკრებვის შედეგად იძლევა. გვხვდება შუალედი ფორმებიც, რომლებიც იძლევა ორ მოსავალს: პირველს — დაუმტკრებლად, მეორეს — მხოლოდ დამტკრებვის შედეგად და, ბოლოს, არიან ისეთებიც, რომლებიც „ნაყოფს“ სრულიად არ იძლევიან.

სუბტროპიკულ პირობებში წლის განმავლობაში ლელვის ხეზე ყვავილედის სამი თაობა ვითარდება: პირველ თაობაში ყვავილედი მამრობითი სქესის და მოკლესვეტიანი მდედრობითი ყვავილებითაა. ეს თაობა გაზაფხულზე ვითარდება. მეორე თაობის ყვავილედში მამრობითი სქესის ყვავილები განვითარებული არ არის, მდედრობითი ყვავილები კი — გრძელსვეტიანია. ეს თაობა ზაფხულში ვითარდება. მესამე თაობა ვითარდება შემოღვმაზე (სექტემბრის ბოლოს). მაში მატლის ან კვერცხის სახით ზამთრობს მწერი ბლასატოფაგა.

თუთის ყვავილებიც ერთსქესიანია, ერთსახლიანი ან ორსახლიანი. ყვავილები ყვავილედადა შეკრებილი — მდედრობით და მამრობით ყვავილებად. მდედრობითი ყვავილედი მომწიფებისას იძლევა ნაყოფებს, ე. ი. იმას, რასაც ჩვენ თუთის „ნაყოფს“ ვეძახით.

ამგვარად, თუ ყვავილები ერთსახლიანია, ერთ ხეზე მოთავსებულია მდედრობითი და მამრობითი ყვავილედები, — მამრობითი ცვივა, მდედრობითი კი ხეზე ჩეხბა და ნაყოფებს იძლევა. იმ შემთხვევაში, როდესაც ყვავილი ორსახლიანია, ერთ ხეზე მდედრობითია და მეორეზე — მამრობითი (რასაც ფურცელს ეძახიან), ცხადია, მამრობითი ყვავილებიანი ხეები უნაყოფოა.

6. ბრებაძე

ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი

ძ. და გ. ნაცვეტარიძეებს

თქვენი აზრი იმის შესახებ, რომ წყალი და თუჭი, როგორც გათბობით, ისე გაციებით ფართოვდება, სწორი არ არის.

ფიზიკის კურსიდან ცნობილია, რომ „ტემპერატურის აწევის დროს სხეულის სიმკვრივე და კუთრი წონა მცირდება, ტემპერატურის შემცირებისას — იზრდება. გამონაკლისს წარმოადგენს წყალი, რომელსაც უდიდესი სიმკვრივე აქვს მაშინ, როცა მისი ტემპერატურა 40-ს უდრის.

წყალი 40-ზე ზევით გათბობისას და 40-ზე ქვევით 00-მდე გაცივებისას ფართოვდება. ამ მოვლენის ბუნება ჯერჯერობით არ არის დადგენილი.

წყალი და ეგრეთწოდებული რუხი თუჭი, სხეულთა დიდი უმრავლესობისაგან განსხვავებით, გამყარებისას ფართოვდება, ხოლო დნობის დროს — იკუმშება.

წყალისათვის ამ მოვლენის დამაქმაყოფილებელი ასენა ჯერობით არ არის.

რაც შეეხება რუხ თუჭს, აქ მდგომარეობა შემდეგია: რუხი თუჭის გაფართოება გამყარების დროს აიხსნება. თხევადი ლითონიდან გრაფიტის გამოყოფით (რომელიც რუხი თუჭის ერთ-ერთი შემაღებელია), გრაფიტს კი გაცილებით უფრო მცირე კუთრი წონა აქვს, ვიდრე თვით გამდნარ თუჭს. აქედან გასაგები ხდება, რომ გრაფიტის გამოყოფამ გამყარების დროს მოცულობის გაზრდა უნდა გამოიწვიოს.

ამ საკითხის უფრო ღრმა გაშუქება თქვენ შეგიძლიათ იპოვთ ფ. თავაძის, ე. გიორგაძის და სხვ. ახლად გამოსულ სახელმძღვანელოში „ლითონთა ტექნოლოგია“, თავი IV („ტექნიკა და შრომა“-ს გამოცემა).

ლ. თოფჩიაშვილი

ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

ცოც. ობუჯი (ფალენჯიხის რ-ნი). მოსწავლე

ქ. ქაკაჩიას

თქვენ გაინტერესებთ, თუ რატომ მოძრაობს დედამიწა მზის გარშემო არათანაბარი სიჩქარით: მეტით — როცა იგი ახლოსაა მზესთან და ნაკლებით — როცა შორსაა.

აღნიშნული გარემოება დაპირობებულია მოძრაობის რაოდენობის მომენტის მუდმივობის კანონით.

დედამიწისა და მზისათვის ის შემდეგნაირად გამოიხატება: თუ — მუდმივ სიდიდეს. აქ თ — დედამიწის მასაა, უ — დედამიწის სიჩქარის პროექცია დედამიწა-მზის შემაერთებელი ხაზის მართობ მიმართულებაზე, ხოლო რ — მანძილი დედამიწასა და მზეს შორის.

ვინაიდან დედამიწის მასა არ იცვლება, ცხადია, თუ ნამრავლის მუდმივობისათვის უნდა იყოს დაცული შემდეგი პირობა: თუ შემცირდება, ე. ი. თუ დედამიწა მიუახლოვდება მზეს, უ უნდა გაიზარდოს, ე. ი. დედამიწამ უფრო სწრაფად უნდა იმოძრაოს მზის გარშემო და, პირიქით.

ს. ძველი ხიბული (ხობის რ-ნი). ე. ნადარაიას

თქვენ კითხულობთ: რატომ არის, რომ მთვარიან ღამეში ზოგიერთი ვარსკვლავები აღილს იცვლიან?

მთვარე მოძრაობს დედამიწის გარშემო დასავლეთიდან აღმოსავლეთით და ერთ სრულ შემოვლას ანდომებს $27\frac{1}{3}$ დღე-ლამეს. ამ მოძრაობის შედეგად აღილი აქვს მთვარის ხილულ გადანაცვლებას ცაზე ვარსკვლავების მიმართ აღმოსავლეთით, რაც საშუალოდ დღე-ლამეში 13° -ს უდრის. თქვენ შეამჩნიეთ სწორედ ეს ხილული გადანაცვლება მთვარისა და ვარსკვლავების მიმართ, მხოლოდ მანწერეთ ის არა მთვარის, არამედ ვარსკვლავების გადანაცვლებას. თქვენ რომ დაკვირვებოდით იმ ვარსკვლავთა მდებარეობას, რომელთაც თითქოს გადაინაცვლეს სხვა ვარსკვლავების მიმართ, დაინახავდით, რომ ვარსკვლავთა ურთიერთგანლაგება არ შეცვლილა.

ს. პვევო ნატანები (მახარაძის რ-ნი). თ. გარანიძეს

თქვენს კითხვებზე: 1. შეიძლება თუ არა პლანეტებამდე მანძილების გაზომვა? 2. აეროსტატიდან, რომელიც დიდ სიმაღლეზეა ჰაერში, შეიძლება თუ არა ადამიანმა შეამჩნიოს დედამიწის მოძრაობა? 3. შეიძლება თუ არა დედამიწა დღისით სივრცეში ანათებდეს ისე, როგორც ლამით მთვარე? — პასუხს იპოვით სათანადოდ: 1. ნ. კ ა ლ ა ნ დ ა ძ ი ს წერილში „მანძილების განსაზღვრა მნათობებამდე“, რომელიც მოთავსებულია „მეცნიერება და ტექნიკის“ 1951 წლის № 8-ში; 2. ვ. ჯ ა ფ ი ა შ ვ ი ლ ი ს პასუხში მკითხველ კობიაშვილისადმი, რომელიც მოთავსებულია „მეცნიერება და ტექნიკის“ 1952 წლის № 12-ში.

ცოც. სორმონი (ჭუთაისის რ-ნი). ვ. აზრიძონიძეს

თქვენ გაინტერესებთ: 1. რა სიჩქარით მოძრაობს დედამიწა? 2. თუ შეიძლება დედამიწამ შეანელოს თავისი მოძრაობის სიჩქარე და რაზეა დამოკიდებული ეს? 3. დედამიწის ზედაპირზე ამერამად სიცივის პოლუსად რომელი უნდა მივიჩნიოთ: ვერხოიანსკი, დაბა ომეკონი თუ გრანტის მიწა?

1. დედამიწის მზის გარშემო მოქცევის საშუალო სიჩქარე შეაღებს 30 კმ-ს წამში (საშუალო სიჩქარეზე უნდა ვილაპარაკოთ, რადგან დედამიწა მზის გარშემო მოქცევა ელიფსით და, მაშასადამე, მოძრაობს არათანაბარი სიჩქარით).

2. დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის საშუალო სიჩქარე დედამიწა-მზეს შორის საშუალო მანძილის ფუნქციაა. თუ ეს მანძილი გაიზრდება, სიჩქარე შემცირდება და, პირიქით.

გარდა მზის მიზიდულობის ძალისა, დედამიწაზე მოქმედებენ აგრეთვე ცოომილთა მიზიდულობის ძალებიც. ამ უკანასკნელთა მოქმედებით დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის ორბიტი განიცდის ე. წ. შეშფოთებებს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ დედამიწა ღრღვადრო რამდენიმედ უხვევს იმ გზიდან, რომელზედაც ის იმოძრავებდა მხოლოდ მზის მიზიდულობის ძალის მოქმედებით. ეს შეშფოთებები ძალიან მცირე სიდიდეებია, მაგრამ ხშირად ატარებენ საუკუნეობრივ ხასიათს. ასე, მაგალითად, უკანასკნელი ასეული წლის განმავლობაში ცოომილთა მოქმედების შედეგად დედამიწა-მზეს შორის საშუალო მანძილი სულ იზრდება, ხოლო 24 000 წლის შემდეგ ის დაიწყებს შემცირებას. ცხადია, შესაბამისად შემცირდება და გაიზრდება აგრეთვე დედამიწის მზის გარშემო მოძრაობის საშუალო სიჩქარეც, მაგრამ ეს ცვლილება წლების განმავლობაში შეუმჩნეველი იქნება, ვინაიდან თვით შეშფოთებებიც უმნიშვნელოა წლების განმავლობაში.

3: დედამიწის ზედაპირზე სიცივის პოლუსად წინათ ითვლებოდა ვერხოიანსკი, სადაც იანვრის საშუალო ტემპერატურა მინუს 50° 5'-ს უდრის, ხოლო აბსოლუტური მინიმუმი — მინუს $67^{\circ} 8'$ -ს. მაგრამ ბოლო ხანებში გამოირკვა, რომ ვერხოიანსკის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე იმეკონში აბსოლუტური მინიმუმი მინუს 70° -დე ეცემა (აღნიშნულია მინუს 69.8°). ასე რომ, სიცივის პოლუსად დღეს იმეკონი უნდა ჩაითვალოს.

რაც გარდაიარა აბასთუმნის ასტროფიზიკური ობსერვატორიის მეცნიერი თანამშრომელი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატი

მასობრივი ყოველთვიური მეცნიერულ-პოპულარული


ურნალი მეცნიერება და ტექნიკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერთვის 1955 წლისათვის

ხელისმოწერის პირობები:

1 თვით	5 მან.
6 თვით	30 მან.
1 წლით	60 მან.

ხელისმოწერა შილდება „სოიუზპეჩატის“ ყველა განყოფილებაში



ევანგელიკური ტრადიცია

၁၂၈။၁၃၀

Nº 11

၆၀၁

1954

ლევან ებანოძე	
დღი იქტოვბრის ძლევამოსილი დროშით	1
ა. თ. იოზე	
ფიზიკური და სოფლის მეურნეობა	5
ლევან გველესიანი	
ასაწყობი რკინაბეჭონი საქართველოს ახალმშენებლობებზე	11
ლევან მარუაშვილი	
გამყინვარების ხანა კავკასიის ტერიტორიაზე	17
დავით ჯოხაძე	
დარვინიზმის გამოძახალი საქართველოში	21
ბულგარელ მეცნიერთა დელეგაცია თბილისში	26
ვ. რომალინი	
დამორჩილებული ატომი—ატომური ენერგიით მომუშავე ელექტროსადგური	27
ნინო ბენაშვილი	
საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა—ნორჩ ნატურალისტთა პავილიონი	31
მიხეილ მახათაძე	
დიდმიწოდებანი ჩქარული ჭრის მეთოდი	34
ნინო ილაშვილი	
მოგზაური თეიმურაზ ბაგრატიონი	39
საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები: შენაწევრებული ორთქლმავალი (გვ. 20), კატიონიტური ფილტრი (41)	
მეცნიერებისა და ტექნიკის კალენდარი	42
თავისუფალ დროს	43
მინანქარი და დამინანქრება	45
პასუხი მკითხველთა წერილებზე და შეკითხვებზე ,	46

ନୀତିକାଳିକୀ ପରିଷଦ - ପରିଷଦ ପାଇଁ ମୁଖ୍ୟ ଉପଚାରୀ

სარედაქციო კოლეგია:

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ქუპრაძე, პროფესორი ვ. ქაჩაბაძე, დოცენტი
ა. გილიანაშვილი, ინუინერი ქ. გურგენიძე, ინუინერი შ. ჯაბუა, ე. ჭულაძე (რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი)

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლესელიძის ქ. №29. ტელეფ. № 8-46-49

**Ежемесячный научно-популярный журнал «Мецниереба да техника»
(на грузинском языке)**

ქალაქის ზომა 60×92 , 3 საბ. ფ., 1 ფურცელზე 73 000 სასტამბო ნიშანი.

სელმლწერილია დასაბუძოდათ 12.11.54 წ., უ 14695, შეკვ. № 1566. ტირაჟი 6500

საქართველოს სასრ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციის სტამბა, თბილისი, ა.შ. წერეთლის ქ. № 3/5

Типография Академии Наук Грузинской ССР, Тбилиси, ул. А. Церетели № 3/5.

6-83/124

ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ

ՅԱՆ 5 ՅՏԵ

